საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

№288
(12 358)
10 დეკემბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

# ამერის სუპერდოლი

ზედმიწევნით ზუსტია ამერისთვის სათასო გუნდის ზედწოდება. გიორგი ჩიხრაძის გაწვრთნილი გუნდი ეგაა, რომ ჯერჯერობით ვერაფრით ახერხებს საქართველოს ჩემპიონობას, თორემ არც ქვეყნის თასს და არც სუპერთასს ორი სეზონია არავის უთმობს. თავის მხრივ სუპერთასი კი ასევე ორი სეზონი, ცივ ზამთარში, დეკემბრის თვეში ბარდება პატრონს. სუპერთასის მატჩის ზამთარსა და რეგიონში გამართვის საკითხის, ბუნებრივია, როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები მრავლად ეყოლება. ძნელია ამა, თუ იმ პოზიციას გადაჭრით დაეთანხმო, ან შეეწინააღმდეგო, ვინაიდან არგუმენტები, ვფიქრობთ საკმარისი ექნება ორივე მხარეს, მაგრამ ერთი შეიძლება გადაჭრით ითქვას, „ფოლკსვაგენის“ თასის რეგიონში გასვლა გარკვეულწილად მაინც ხელს უწყობს ადგილზე ფეხბურთის განვითარებას. ცხადია არასასიამოვნო და ცოტა მოულოდნელი იყო, რომ გორში ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაზე სტადიონი ვერ შეავსო მაყურებელმა. ძნელი სათქმელია რატომ არ ჩათვალეს გორელებმა აღნიშნული შეხვედრა საინტერესოდ. ქართული საზომით ამ მატჩმა სანახაობის თვალსაზრისით დიდწილად გაამართლა. დაძაბულობაც, სუპერთასისათვის შესაფერისი, ანუ ისეთივე ახლდა გორულ მატჩს, როგორც მატჩისწინა სამზადისი იყო „თენგიზ ბურჯანაძეზე“.

2



# ლიპარტელიანი ტალანტია


ნუგზარ სუარიძის ფოტო

ირაკლი თავაძე

ამ უქმეებზე ვერის ბაღში გაიმართა ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატი, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონ-პრიზიორებთან ერთად, 26-27 იანვარს გასამართი თბილისის მსოფლიო თასის მონაწილენიც გამოავლინა. სწორედ ამ თასის გამო, ჩემპიონატში ნაკრების არც ერთი ლიდერი არ გამოსულა - იმ ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად მწვრთნელებმა შეგნებულად დაასვენეს, თუმცა მაინც ფრიად საინტერესო ჩემპიონატი გამოვიდა. ლიდერთა არყოფნაში შეჯიბრების მთავარ ფუნქციად ახალი ტალანტების გამოვლენა იქცა, რასაც ტურნირმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. არაერთ საინტერესო მოჭიდავეთაგან მაინც ერთს გამოვარჩევთ - 90-ში გამარჯვებულ ვარლამ (ვალერი) ლიპარტელიანს, რომელიც ნამდვილი ტალანტია. იგი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ უკვე თითქმის სრულყოფილი მოჭიდავეა.

11

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოლქსვაგენის სუპერთასი

www.pfl.ge

# ამერის სუპერდოლი

**ოლიმპი-ამერი**

**1:4**

9.12. გორი. თ. ბურჯანაძე
2 500 მაყურებელი

0:1 დოლიძე (29. ჯელაძის პასით), 0:2 დოლიძე (65), 0:3 დოლიძე (71), 0:4 გოცირიძე (88. ჯელაძის პასით), 1:4 ყრუაშვილი (90)

ოლიმპი: მერლანი - დევდარიანი, ორბელაძე, მახვილაძე, ნავალოვსკი (50. კოშკაძე), აკუასაგა - სილაგაძე (73. ქებაძე), გენაძე, ჯიქია, კახელიშვილი - დვალიშვილი (73. ყრუაშვილი)

*სათადარიგოები: ალავიძე, ჩივაძე, მგელაძე, მოდებაძე*

ამერი: ქვაჩახია - ელბაქიძე, დავითნიძე, ჩიკვილაძე, კაკაშვილი - ჯელაძე, დიდავა, დეკანოსიძე, დოლიძე (75. ალავიძე), ბოლქვაძე (75. მესხი) - ტატანაშვილი (80. გოცირიძე)

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, დავითაშვილი, შალამბერიძე, კობაური*

გაფრთხილება: ჩიკვილაძე (26), ორბელაძე (30) ელბაქიძე (45), ქვაჩახია (55), დიდავა (56)

გაძევება: ორბელაძე (65)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**18.** დავით ბოლქვაძის შორეულ დარტყმას სიზუსტე დააკლდა

**19.** დასარტყმელ პოზიციაში მყოფ გრიგოლ დოლიძეს ცოტა დააკლდა, რომ თანაგუნდელის ფლანგური პასი კარში გადაეგზავნა.

**21.** მარჯვენა ფრთიდან გიორგი კახელიშვილი შეიჭრა საჯარიმოში და კარის გასწვრივ ჩააწოდა, გიორგი დავითნიძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი, ჩამოწოდებულზე უკვე ნავალოვსკი დაემუქრა ამერის კარს, ისევ კუთხური.

**23.** კახელიშვილმა დასარტყმელ პოზიციაში, კარიდან ორიოდ მეტრში მყოფი ვლადიმერ დვალიშვილს გაუკეთა ზუტი პასი, რომელიც ზურაბ ქვაჩახიამ ფაქტობრივად ფეხიდან ააცალა მეტოქეს და გოლისაგან იხსნა კარი.

**29.** 0:1 - ჯელაძის ფლანგურ ჩაწოდებას ვერ შეწვდა მისი ადრესატი დიმიტრი ტატანაშვილი და ვერც რუსთაველი მცველები, სამაგიეროდ დოლიძემ ჩაიგდო ბურთი და მახვილი კუთხიდან გაიტანა.

**41.** დვალიშვილმა საჯარიმოს მისადგომებთან მოიგდო ბურთი, ორი მცველის ჩამოცილებით მოსახერხებელ პოზიციაზე გავიდა, თუმცა მისმა დარტყმულმა ძელთან ჩაიქროლა.

**55.** ჯიქიამ გაიტანა, მაგრამ მსაჯმა შემტევი დააჯარიმა და გოლი არ ჩათვალა.

**65.** 0:2 - დოლიძე ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და მახვილი კუთხიდან გააქვს მეორე გოლი.

**71.** 0:3 - ოლიმპის უკანახაზელებმა ვერაფერი მოუხერხეს საჯარიმოში შეჭრილ გრიგოლ დოლიძეს, რომელმაც წინგამოსულ მეკარეს გადაუგდო თავზე და ჰეთ-თრიკი შეასრულა.

**84.** რევაზ გოცირიძის პასს ალავიძე ვერ იყენებს.

**88.** 0:4 - ამჯერად უკვე თავად გოცირიძე იყენებს შედეგიანად ჯელაძის პასს.

**90.** 1:4 - სასტვენის მოლოდინში ყუდადლებამოდუნებული ამერელები მოწინაალმდეგს იერიშს სათანადოდ ვერ ეგებებიან და ნიკოლოზ ყრუაშვილს პრესტიჟის გოლი გააქვს.



მეოთხე გოლი რევაზ გოცირიძემ გაიტანა

*პირველი გვერდიდან*

თბილისის „ამერმაც" ყველაფერი გააკეთა არასახარბიელო ასპარეზობითა და ბოლო ტურში მატჩის ჩაშლით გაფუჭებული ხასიათის გამოსაკეთებლად. რასაკვირველია ჟინის ნაკლებობას არც „ოლიმპი" უჩიოდა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მაგრამ მეტოქის მონდომებას ვერ გაუწია წინაალმდეგობა. „ამერმა" „ოლიმპი" შედარებით მაღალი კლასით, უკეთესი ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებითა და ცოტა გამართლებით გატეხა.

საწყისი 15-20 წუთი რუსთაველთა უპირატესობა უფრო შეიმჩნეოდა. მერე კი ვითარება შეიცვალა. პირველი წუთების უხიფათო შეტევებმა მალე შეიძინეს საგოლე პრეტენზიების დატვირთვა. თბილისელები ძირითადად ცენტრიდან უფრო ახორციელებდნენ იერიშებს. „ოლიმპი" ფლანგებიდან უკეთ აქტიურობდა. **კახელიშვილმა** ერთხანს მოსვენება არ მისცა დედაქალაქელ მცველებს და მართალია თავად ვერ გაჰქონდა გოლი, ერთზე მეტი მეურვის ყურადღებას მაინც იქცევდა. **პისკოვეცკს** განსაკუთრებით 23-ე წუთზე გამოუყენებელმა მომენტმა დასწყვიტა გული. არავინ იცის **დვალიშვილს** რომ გაეტანა, როგორ განვითარდებოდა თამაშის სცენარი. შევეშვათ მისნობას, რომელიც არც გვეხერხება და ახლა არც აქვს აზრი. ფაქტია, ჩიხრაძის შეგირდები მეტოქის მიერ შექმნილ ზემოთნახსენებ საგოლე მომენტებებამდეც კარგად პასუხობდნენ რუსთაველებს და იმის შემდეგაც. მათ განხორციელებაში ეფექტურად ჩართულმა ფლანგებმა შედეგი პირველად 29-ე წუთზე მოიტანა. 65-ე წუთზე თბილისელთა მარჯვენაფლანგელმა **მერლანს** აულებელი დაურტყა კიდევ ერთხელ. ერთი კაცით და ორი გოლით ჩამორჩენილი რუსთაველები ერთხანს სულ აირივნენ. ზედიზედ და მრავლად დაითვლებოდა ამ დროს მათი დაცვის ხაზის შეცდომები. მესამე გოლი დოლიძემ ფსიქოლოგიურად მოშლილ „ოლიმპს" და კარიდან წინგამოსულ მირზა მერლანს გაუტანა. დარჩენილი პერიოდი გუნდებმაც და გულშემატკივრებმაც მსაჯის სასტვენისა და თასის გადაცემის მოლოდინში გაატარეს. ამ მოლოდინმაც თითო გოლი მოიცვა მოწინაალმდეგეთა კარებში და შემდგომ უკვე **ნოდარ ახალკაცმა** თასების საზეიმოდ ალმართვას მიჩვეულ **გიორგი დავითნიძეს** ახალი თასი გადასცა. „იბერია ბიზნეს ჯგუფის" პრეზიდენტმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა** კი თამაშის დაწყებამდე ბავშვთა ადგილობრივ საფეხბურთო გუნდები ბურთებით უხვად რომ დაეჯილდოვებინა, ათი ათასი ლარის ოდენობის ჩეკი უძლვნა ტრიუმფატორებს.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე პისკოვეცკი არ გამოცხადდა, მის ნაცვლად ინფორმაცია იმაზე, რომ რუსთაველებს კომენტარის გაკეთება არ სურდათ გუნდის პრეს-ატაშემ **პაატა კვანტალიანმა** გააცხადა.

**გიორგი ჩიხრაძე:** *„ძალიან საინტერესო, დაძაბული მატჩი გამოდგა. მომეწონა მატჩი ორგანიზაციული თვალსაზრისითაც. თავად თამაშში კი პირველ ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ ჩემი ბიჭების სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ გატანაც შეძლეს და კარიც მშრალად შეინახეს, შესვენების მერე, „ოლიმპის" შემოტევას ველოდით და ამის მიხედვით ავაწყეთ ტაქტიკა. ბუნებრივია მატჩზე იმოქმედა მეტოქე გუნდის კაცნაკლულად დარჩენამაც და ჩვენ ბოლოს უკვე იოლად, მაგრამ მთავარია, რომ დამსახურებულად გავიმარჯვეთ".*

**„იბერია ბიზნეს ჯგუფის" პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი:** *„მისასალმებელია, რომ მატჩმა არა მხოლოდ სანახაობრივი, ორგანიზაციული თვალსაზრისითაც გაამართლა. ჩვენ ფეხბურთში დღეს არ დაგვიწყია მოღვაწეობა. არაერთი პროექტი განვახორციელეთ და მომავალში კიდევ არაერთს შევასხამთ ხორცს. ფეხბურთის ფედერაციასთან სამომავლო თანამშრომლობისთვისაც მზად ვართ და ალბათ, უახლოეს მომავალში ჩვენ და სფფ მივუსხდებით მაგიდას და თანამშრომლობის გაგრძელებაზეც მოვილაპარაკებთ. ქართულ ფეხბურთში ჩახედულებს მოეხსენებათ, რომ ჩვენ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა გვაქვს. ამ მხრივაც დიდი გეგმები გვაქვს და აღნიშნულზე უფრო კონკრეტულად უახლოეს მომავალში შეიტყობთ."*

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



ჰეთ თრიკის ავტორი გრიგოლ დოლიძე



ნუგზარ სუარიძის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ოლიმპი

# პისკოვეცი რჩება, ლეგიონერები მიდიან

## რუსთავის გუნდი მგლების პრეზიდენტს ჩააბარეს

რუსთავის „ოლიმპმა" საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე ჩაავლო. ამაზე გუნდის ხელმძღვანელები არც დაობენ. შარშანდელმა ჩემპიონმა საშემოდგომო სეზონი მხოლოდ მეხუთე ადგილით დაასრულა.

გუნდში რამდენიმე დღის წინათ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ზუგდიდის „მგლების" პრეზიდენტი **ლაშა დარასელია** რუსთავის „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა.

რუსთავისა და ზუგდიდის კლუბების სპონსორები პარტნიორი კომპანიები არიან. შეიძლება ითქვას, რომ დარასელიას „ოლიმპში" საქმეების გამოსწორება „მგლებში" წარმატებული მუშაობის შემდეგ დაევალა.

მართალია, დარასელია მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტია, მაგრამ პრეზიდენტი **ტარიელ შავერდაშვილი** ბიზნესით ძალიან დაკავებულია, ფეხბურთისთვის დრო აღარ რჩება და როგორც გვითხრეს, ამიერიდან საფეხბურთო საქმეებს დარასელია გაუძღვება. წარუმატებელი წრის შემდეგ, ხმები დაირხა, თითქოს, „ოლიმპის" მეპატრონეები მთავარი მწვრთნელის, **ანატოლი პისკოვეცის** გაშვებას აპირებენ.

„ოლიმპის" პრეს-ატაშე **პაატა კვანტალიანმა** ხმები უარყო: *„პისკოვეცის გათავისუფლებაზე საუბარი არ ყოფილა. თანამეგობრობის თასისთვის გუნდს მოამზადებს, მალე კი გუნდის გადახალისებას და ხელახალ დაკომპლექტებას შეუდგება".*

კვანტალიანის თქმით, „ოლიმპი" მეორე წრისთვის გაძლიერებას აპირებს და ამავდროულად, რამდენიმე მოთამაშესთან დამშვიდობებასაც არ გამორიცხავს. დიდი ალბათობაა, რუსთაველებმა კონგოელი თავდამსხმელი **მასუანგა ბოდრი ჯილდასი** გაუშვას. მან თავი ვერაფრით გამოიჩინა, აქაურობას ვერ შეეწყო და ალბათ, ასეთი გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის მისაღები იქნება.

სერბი ნახევარმცველი **ვლად ჟივკოვიჩიც** წასვლას აპირებს. ევროპაში ნათამაშევ სერბსაც გაუჭირდა საქართველოსთან და ჩვენ ფეხბურთთან ადაპტაცია. ლეგიონერებიდან ერთადერთი გაბონელი ცენტრალური მცველი **აკუასაგა** რჩება.

რაც შეეხება დანამატს, ანატოლი პისკოვეცმა თანამემამულე უკრაინელებთან მოლაპარაკება დაიწყო. მათ გარდა, კიდევ რამდენიმე უცხოელზეა საუბარი. საბოლოოდ, მათგან რამდენიმეს შეარჩევენ და ისინი კლუბს შეკრებაზე შეუერთდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**



ჯაბა მუჯირი

მსოფლიო ჩემპიონატი კლუბებს შორის

# კარლო ანჩელოტი: მუჯირი კალაძეს ვერ შეხვდება

**იაპონიაში მიმდინარე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის პირველ ტურში ისპაჰანის „სეპაჰანმა" ოკეანეთის საუკეთესო გუნდს, ახალზელანდიურ „ვაიტაკერე იუნაიტედს" 3:1 მოუგო. სეპაჰანელმა მუჯირმა სრულად ითამაშა. დღეს „სეპაჰანი" მეოთხედფინალში იაპონურ „ურავა რედს" შეხვდება, ვისთანაც აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხდა (1:1, 0:2). მუჯირს გუშინ შევეხმიანეთ იაპონიაში.**

- ძალიან სერიოზული ტურნირია. ახალზელანდიელებს ტოკიოში ვეთამაშეთ, შეხვედრას ოციათასამდე მაყურებელი დაესწრო. „ურავას" კი ტოიოტაში ვეთამაშებით „ტოიოტას" სტადიონზე, სადაც დღეს ვივარჯიშეთ.

**- „ურავას" აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაახლოებით თვენახევრის წინ ეთამაშეთ...**

- წავაგეთ, მაგრამ მოგება ნაღდად შეიძლებოდა. პირველ შეხვედრაში ოთხი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, საპასუხო მატჩში კი კარში ორჯერ დაგვირტყეს და ორივეჯერ გოლი გავიდა. ზოგს ჰგონია, რომ „ურავასთან" უშანსოდ ვართ.

**- მაინც, ვის?**

- თუ „ურავას" დავამარცხებთ, ნახევარფინალში „მილანს" ვხვდებით. იტალიელები უკვე ჩამოვიდნენ აქ, დღეს კარლო ანჩელოტიმ პრესკონფერენციაც გამართა და როცა ჰკითხეს, თქვენს შესაძლო მეტოქეებზე რას ფიქრობთო, უპასუხა, „სეპაჰანს" მეტოქედ ვერ განვიხილავ, უეჭველად „ურავა" იქნება ჩვენი მოწინააღმდეგეო.

**- კახა კალაძეს თუ დაუკავშირდი მანდ?**

- არა, კახას, უბრალოდ, არ ვიცნობ.

**- ტურნირის საპრიზო ფონდი როგორ ნაწილდება?**

- გამარჯვებული ხუთ მილიონ დოლარს მიიღებს, ფინალისტი - ოთხს. „სეპაჰანს კი, რადგან პირველი ტური გავიარეთ, ერთი მილიონი უკვე გარანტირებული აქვს.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერები

# კალაძე ლივერპულში, კვლავ აქტუალურია

**კახა კალაძე** „მილანთან" ერთად იაპონურ იოკოჰამაშია, სადაც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მატჩისთვის ემზადება. „მილანის" მომავალი მეტოქის ვინაობა დღეს გაირკვევა და ის, შესაძლოა, **ჯაბა მუჯირის** „სეპაჰანი" იყოს. თუკი ირანელები იაპონურ „ურავას" დაამარცხებენ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელთან თამაშის უფლებას დაიბევებენ. ვნახოთ, შესაძლოა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში ორი ქართველი მცველის დაპირისპირებაც კი შედგეს. „არ იქნება იოლი გასეირნება ჩვენთვის. ეს რომ კარგად ვიცოდით ამიტომაც ჩამოვედით იაპონიაში ნაადრევად და სრული სერიოზულობით ვიწყებთ მზადებას. ჩვენ უკვე გვაქვს ჩემპიონთა თასი და სუპერთასი, თუმცა კიდევ ერთი ტიტული გვსურს", - ეს უკვე საქართველოს ნაკრების კაპიტნის სიტყვებია იოკოჰამაში პრესკონფერენციის დროს.

ამით კალაძის თემა არ ამოგვიწურავს, ბრიტანული „მირორი" იტყობინება, რომ კახა კალაძის „ლივერპულში" გადასვლის საკითხი კვლავაც აქტუალურია. „მირორის" ინფორმაციით კლუბის ამერიკელი მეპატრონეები **რაფაელ ბენიტესს** დაუტკბნენ და იანვარში სატრანფერო ფანჯრის გახსნასთან ერთად ერთ სურვილს აუცილებლად შეუსრულებენ, რაფას მითითებით ცენტრალურ მცველს იყიდიან, ყველაზე რეალური კანდიდატი კი კვლავ ქართველი ფეხბურთელია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კახა კალაძე

ახალგაზრდული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# ნაკრებმა ივარჯიშა და გაფრინდა

12 დეკემბერს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ლუქსემბურგის ახალგაზრდულ ნაკრებთან გასვლით ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ თამაშისთვის ჩვენი გუნდი "ბასაში" გუშინ შეიკრიბა და 15 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ივარჯიშა. წვრთნას **გელა შეყილაძე, ლევან ხომერიკი, სერგო კოტრიკაძე** და **ოთარ გაბელია** უძლვებოდნენ. რაც შეეხება **პეტარ სეგრტს**, ის გუნდს ლუქსებურგში შეუერთდება. მის მიერ ნაკრებში გამოძახებულ შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა და სიის საბოლოო ვარიანტს აქვე გთავაზობთ:

მეკარეები: რევაზ თევდორაძე (მერანი), გიორგი ლორია (დინამო).

მცველები: უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), გიორგი ნავალოვსკი, გიორგი ჩიხრაძე (ორივე ოლიმპი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ზურაბ გვაძაბია (ამერი)

ნახევარმცველები: მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), გიორგი ხიდეშელი, მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი (ყველა ზესტაფონი), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), თემურ აფრიამაშვილი (მესხეთი), ირაკლი შეყილაძე (ბაია).

თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), სანდრო კობახიძე (დინამო), ზაქარია ბეგლარიშვილი (ოლიმპი-აკადემია).

რაც შეეხება ვარჯიშს, ნაკრებში გამოძახებული 19 ფეხბურთელიდან გუშინ ჩატარებულ წვრთნაში **გიორგი ნავალოვსკის, მირზა ბჟალავასა** და **ამირან სანაიას** გარდა ყველა ფეხბურთელი მონაწილეობდა. სუპერთასის გამო ნავალოვსკი გუშინ სალამოს შეუერთდა გუნდს. სანაია და ბჟალავა კი გუნდს ლუქსემბურგში დახვდებიან.

*"სეგრტი 17-წლამდელთა ნაკრებს ახლდა პორტუგალიაში. ის ლუქსემბურგში დაგვხვდება და ხვალიდან უკვე თავად გაუძღვება ვარჯიშებს. ტრავმები არავის აწუხებს. ლუქსემბურგში ხვალ და ზეგ თითო ვარჯიში გვექნება, ოთხშაბათს კი უკვე ამხანაგური მატჩი გველის"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა გელა შეყილაძემ.

ახალგაზრდული ნაკრები ლუქსემბურგში დღეს გამთენიისას ვენის გავლით გაფრინდა. ლუქსემბურგ-საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი, "გრენდგელვალდის" სტადიონზე, თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

ჩვენმა მომავალმა მეტოქემ ბოლოს 20 ნოემბერს ითამაშა და გერმანის ახალგაზრდულ გუნდთან შინ 0:7 დამარცხდა.

**დავით ცაბაძე**



ოთარ ხიზანეიშვილი

# ოთარ ხიზანეიშვილმა სანდერლენდზე არაფერი იცის

**ამ სეზონში „ფრაიბურგს" ურიგოდ არ მისდის საქმე, მეორე ბუნდესლიგაში მესამე ადგილზეა, ოთარ ხიზანეიშვილს კი არა და არ უწევს ძირითად შემადგენლობაში თამაში. ოთარს წინა სეზონი ფაქტობრივად გაუცდა ტრავმიანობის გამო, ახლა კი სალ-სალამათია და არ ათამაშებენ. ხიზანეიშვილს მისი უთამაშებლობის გარდა სხვაზეც ვესაუბრეთ.**

- აღარაფერი მაწუხებს, ჯანზე ვარ, მაგრამ წინა სეზონში რომ ვერ ვთამაშობდი, კლუბმა ჩეხი მცველი, პაველ კრმაში იყიდა. ის კარგად თამაშობს, „ფრაიბურგიც" რიგიანად გამოდის მეორე ბუნდესლიგაში და მწვრთნელიც არ ცვლის შემადგენლობას. მის ადგილას რომ ვიყო, მეც ასე მოვიქცეოდი.

**- იქნებ დროა, სხვა გუნდში გადახვიდე...**

- ამაზე ჯერ კიდევ სეზონის წინ ვესაუბრე მწვრთნელს, რაზეც უარი მითხრა, მინდა, რომ დარჩეო.

**- რომელ გუნდში გქონდა გადასვლის შანსი?**

- იყო თურქული და გერმანული ვარიანტები, მეორე ბუნდესლიგის გუნდების გარდა ბილეფელდის „არმინიას" ვარიანტიც იყო.

**- ამ ბოლო დროს აღარ გისაუბრია მწვრთნელთან?**

- როგორ არა, მაგრამ ისევ მითხრა, არ უნდა წახვიდეო. ჯერ არ ვარ თავისუფალი აგენტი, სეზონის ბოლოს მეწურება კონტრაქტი „ფრაიბურგთან" და თუ რამე არ შეიცვალა, კიდევ რამდენიმე თვე მომიწევს უთამაშებლობის მოთმენა.

**- გერმანულ პრესაში დაიწერა ხიზანეიშვილით „სანდერლენდი" დაინტერესდაო...**

- ჩემთვის არავის შემოუთავაზებია „სანდერლენდში" გადასვლა. „კიკერში" დაიწერა ამის შესახებ და მყისვე ჩემ აგენტს დავუკავშირდი, რომელმაც მითხრა, რომ რაღაც ინტერესი არის, მაგრამ კონკრეტული და რეალური ჯერ არაფერიაო.

**- დავით თარგამაძე როგორ შეეწყო „ფრაიბურგის" მეორე გუნდს?**

- მან უკვე რამდენიმე მატჩი ითამაშა და მწვრთნელი მისით ძალიან კმაყოფილია. მაგარი ბიჭია, ოღონდ ცოტა ტაქტიკურად უნდა მოუმატოს.

**დავით თავართქილაძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. პირველი წრე. მონაწილეთა სრული მონაგარი

# ფეხბურთელები და ციფრები

## დინამო

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| კრაშკო | 13 | 13 | - | 3 | - |
| ზელიჩი | 13 | 13 | - | - | - |
| აკირემი | 13 | 13 | 6 | 1 | 1 |
| დიღმელაშვილი | 13 | 13 | 1 | 2 | - |
| ხმალაძე | 13 | 13 | 1 | 2 | - |
| ხუციშვილი | 13 | 11 | 10 | 4 | - |
| სპასოევიჩი | 13 | 7 | 6 | 3 | - |
| ოვონო (მეკ.) | 12 | 12 | -3 | 2 | - |
| შ. კაშია | 12 | 12 | - | - | - |
| გ. მერებაშვილი | 12 | 11 | 8 | 2 | - |
| დობეში | 11 | 11 | - | - | - |
| კობახიძე | 11 | 3 | 2 | 1 | - |
| ოდიკაძე | 11 | 3 | - | - | - |
| ფეიქრიშვილი | 9 | 4 | - | - | - |
| გ. კაშია | 7 | 3 | - | 1 | - |
| ფირცხალავა | 3 | - | - | - | - |
| ვაწაძე | 2 | - | - | - | - |
| ლორია (მეკ.) | 1 | 1 | -1 | - | - |
| თომაშვილი | 1 | - | - | - | - |

## ბორჯომი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ლ. მერებაშვილი | 13 | 13 | - | 5 | - |
| ლ. ჭელიძე | 13 | 13 | - | 2 | - |
| შეყრილაძე (მეკ.) | 12 | 12 | -4 | 1 | - |
| ნერგაძე | 12 | 12 | 1 | 3 | - |
| მეგარნიშვილი | 12 | 12 | 1 | 5 | - |
| შ. ჯიქია | 12 | 10 | 6 | 3 | - |
| ყველაშვილი | 12 | 7 | 2 | 2 | - |
| ბაბუნაშვილი | 11 | 11 | - | 3 | 1 |
| კ. ხანიშვილი | 11 | 10 | 1 | 2 | - |
| შ. გრიგალაშვილი | 11 | 10 | 4 | 4 | - |
| თ. ლონდაძე | 10 | 10 | - | 2 | - |
| აკობია | 10 | 10 | - | 2 | - |
| ქართოზიაშვილი | 10 | 7 | 1 | 1 | - |
| თედიაშვილი | 7 | 1 | 1 | - | - |
| გოგიჩაიშვილი | 7 | 1 | - | - | - |
| დევიძე | 4 | 1 | - | 1 | - |
| ნასყიდაშვილი | 4 | - | - | - | - |
| ნ. ლომიძე | 2 | 1 | - | - | - |
| გლუნჩაძე (მეკ.) | 1 | 1 | -3 | - | - |

## მესხეთი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ზ. ჩხეტიანი | 13 | 13 | 2 | 9 | - |
| გ. თურმანიძე | 13 | 13 | - | - | - |
| გვირჯიშვილი | 13 | 12 | - | 1 | - |
| ინასარიძე | 13 | 9 | 4 | - | - |
| ლეკიშვილი | 12 | 12 | - | 5 | - |
| მ. თაყაძე | 12 | 11 | - | 2 | 1 |
| სომხიშვილი (მეკ.) | 11 | 11 | -16 | 3 | 1 |
| გ. ნადირაშვილი | 10 | 10 | - | 2 | - |
| ქვანია | 10 | 9 | 2 | 3 | 1 |
| კობესაშვილი | 10 | 5 | - | 1 | - |
| ძამსაშვილი | 9 | 9 | - | 1 | - |
| კაიდარაშვილი | 9 | 9 | 3 | 1 | - |
| მ. ლონდაძე | 9 | 3 | 1 | 2 | - |
| ვ. აკოფიანი | 8 | 8 | - | 1 | - |
| გ. სუდაძე | 7 | - | 1 | 1 | - |
| აფრიამაშვილი | 6 | 3 | 1 | - | - |
| კევლიშვილი | 6 | - | - | - | - |
| ძამუნაშვილი (მეკ.) | 3 | 2 | -1 | 1 | - |
| პ. აკოფიანი | 3 | 1 | - | - | - |
| რუსია | 2 | 1 | - | - | - |
| ძოჩორაშვილი | 1 | 1 | - | - | - |



დინამომ პირველობა არავის დაუთმო

## ლოკომოტივი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| გულორდავა | 13 | 13 | - | 2 | - |
| დ. ფოფხაძე | 13 | 13 | - | 1 | - |
| გვარამაძე (მეკ.) | 12 | 12 | -19 | 1 | - |
| იმედაძე | 11 | 7 | 1 | - | - |
| სამხარაძე | 10 | 10 | 1 | 2 | 1 |
| მალიჩავა | 10 | 10 | - | 2 | - |
| ლაღაძე | 10 | 10 | - | 3 | - |
| გ. მიქაძე | 10 | 8 | 1 | 5 | - |
| ბარბაქაძე | 10 | 7 | 1 | 4 | - |
| გუშარაშვილი | 9 | 9 | 3 | 3 | - |
| ხოხონიშვილი | 9 | 8 | - | 3 | 1 |
| ძუხილავა | 8 | 8 | - | 1 | - |
| გ. კვახაძე | 8 | 7 | - | 1 | - |
| დ. ჩაგელიშვილი | 8 | 1 | - | - | - |
| ტიკურიშვილი | 7 | 2 | - | 2 | - |
| მ. ჭლენტი | 6 | 3 | - | 1 | - |
| ალავერდაშვილი | 6 | 2 | - | 1 | - |
| ბობოხიძე | 5 | 2 | - | - | - |
| ყენია | 4 | 4 | 1 | 4 | 1 |
| ა. კობიაშვილი | 3 | 3 | - | - | - |
| ლ. ჩაგელიშვილი | 2 | 2 | - | - | - |
| ბუდაღაშვილი | 2 | - | - | - | - |
| გ. კირკიტაძე | 2 | - | - | - | - |
| მიგინეიშვილი (მკ.) | 1 | 1 | -2 | - | - |
| ბერიძე | 1 | 1 | - | - | - |
| ბახტაძე | 1 | - | - | - | - |

## ზესტაფონი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| კესანი | 13 | 13 | - | 3 | - |
| ს. თოდუა | 13 | 13 | - | 2 | - |
| ჭანტურია (მეკ.) | 13 | 13 | -5 | 1 | - |
| რ. ონიანი | 12 | 12 | 2 | 1 | - |
| კ. ჩხეტიანი | 12 | 12 | - | - | - |
| საჯაია | 12 | 12 | 1 | 3 | - |
| ჟონატასი | 12 | 12 | 2 | - | - |
| ფიფია | 12 | 9 | 4 | 1 | - |
| გ. ნოდ. ჭელიძე | 11 | 10 | 8 | 1 | - |
| ვიეირა | 10 | 9 | 3 | 1 | - |
| იონანიძე | 10 | - | 5 | 2 | - |
| ლობჟანიძე | 8 | 8 | - | 1 | - |
| ბ. გოცირიძე | 8 | 6 | 1 | 1 | - |
| შ. ღონღაძე | 8 | 3 | - | - | - |
| ბიტოო | 7 | 1 | - | - | - |
| ხიდეშელი | 5 | 1 | - | - | - |
| გ. ნუგ. ჭელიძე | 4 | 3 | - | - | - |
| ნ. კვასხვაძე | 4 | 3 | - | 1 | - |
| გ. ჩხეტიანი | 3 | 3 | - | 1 | - |
| ბენაშვილი | 3 | - | - | - | - |
| დაუშვილი | 1 | - | - | - | - |
| რ. კვასხვაძე (მეკ.) | 1 | - | - | - | - |

## ოლიმპი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ორბელაძე | 13 | 13 | 1 | 2 | - |
| ნავალოვსკი | 13 | 13 | - | 1 | - |
| რ. ჯიქია | 13 | 13 | 6 | 4 | - |
| მახვილაძე | 12 | 12 | - | 2 | - |
| სილაგაძე | 12 | 12 | - | 3 | - |
| დვალიშვილი | 12 | 10 | 1 | - | - |
| ძებაძე | 12 | 9 | - | 1 | - |
| კოშკაძე | 12 | 2 | 2 | - | - |
| კახელიშვილი | 11 | 9 | 1 | 2 | 1 |
| აკუასაგა | 10 | 9 | - | 2 | 1 |
| ბეწაძე | 9 | 9 | - | 1 | - |
| მერლანი (მეკ.) | 9 | 9 | -4 | 1 | - |
| დევდარიანი | 8 | 7 | 1 | - | - |
| უივკოვიჩი | 7 | 3 | - | - | - |
| ბ. ჯილდასი | 6 | 4 | - | - | - |
| ნ. მგელაძე | 5 | 1 | - | - | - |
| მ. ალავიძე (მეკ.) | 4 | 4 | -4 | 1 | - |
| კორსანტია | 3 | 1 | - | - | - |
| გ. ჩივაძე | 2 | 1 | - | - | - |
| დვალი | 2 | - | - | - | - |
| ი. მოდებაძე | 2 | - | - | - | - |
| მესხი | 2 | - | - | - | - |
| სებისკვერაძე | 1 | 1 | - | - | - |
| ყრუაშვილი | 1 | 1 | - | - | - |
| გ. იაშვილი | 1 | - | - | 1 | - |

## სიონი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ლ. ბაჯელიძე | 13 | 13 | 1 | - | - |
| სანიკიძე | 12 | 12 | 1 | 1 | - |
| ჩასემი | 12 | 11 | 5 | 2 | 1 |
| ნადირაძე | 12 | 11 | - | 2 | - |
| ძარდავა | 12 | 7 | 5 | 1 | - |
| ბოიომო | 11 | 10 | - | 2 | 1 |
| ძურასბედიანი | 11 | 10 | - | 1 | - |
| რაქვიაშვილი | 11 | 10 | 1 | 2 | - |
| გ. ოქროპირიძე | 11 | 10 | - | 2 | - |
| სვანიძე | 10 | 10 | - | 1 | - |
| ლ. ვაშაკიძე | 9 | 7 | - | 1 | - |
| კვიტაიშვილი | 9 | 5 | - | - | - |
| ძუცურუა | 8 | 5 | - | 1 | - |
| სტურუა (მეკ.) | 7 | 7 | -11 | - | - |
| ძუთათელაძე | 7 | 1 | 2 | - | - |
| მენთესაშვილი | 5 | 2 | - | 1 | - |
| გაგუა | 5 | 2 | - | - | - |
| კვიციანი | 4 | - | - | 2 | - |
| ბოზლიაშვილი (მკ.) | 3 | 3 | -2 | - | - |
| გ. იაშვილი (მეკ.) | 3 | 3 | -4 | 1 | - |
| თავბერიძე | 3 | 3 | - | - | - |
| ა. ნოზაძე | 1 | 1 | - | - | - |
| ძოსტავა | 1 | - | - | - | - |

## სპარტაკი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| მამუკაშვილი | 12 | 12 | - | 1 | - |
| ძარია | 12 | 11 | - | 2 | 1 |
| ბახტურიძე | 12 | 11 | - | 1 | - |
| ჯანელიძე | 12 | 8 | 2 | 1 | - |
| ჩირიკაშვილი | 11 | 11 | 1 | 1 | - |
| თარხნიშვილი | 11 | 11 | 1 | 3 | - |
| ხაჭიპერაძე | 11 | 11 | - | 1 | - |
| ხიდეშელი | 11 | 11 | - | 2 | - |
| გოგოხია | 11 | 10 | - | - | - |
| ძემოკლიძე | 10 | 10 | - | - | - |
| კოდალაევი (მეკ.) | 9 | 9 | -10 | 2 | - |
| დარბაიძე | 8 | 3 | - | - | - |
| მედოევი | 8 | - | 1 | - | - |
| კუპრეიშვილი | 7 | 4 | - | - | - |
| კ. ავალიანი | 7 | 4 | - | 2 | - |
| პარამონოვი | 5 | 5 | - | - | - |
| ივანაშვილი | 5 | 2 | - | - | - |
| ქვილითაია (მეკ.) | 4 | 4 | -4 | - | - |
| კეტაშვილი | 4 | 3 | - | - | - |
| ტატაევი | 4 | - | - | - | - |
| დ. გოგოლაძე | 3 | 1 | - | - | - |
| ცქვიტაია | 2 | 1 | - | - | - |
| ძამუკაშვილი | 1 | 1 | - | - | - |
| დათუნაშვილი | 1 | - | - | - | - |

## დილა

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ბალაშვილი | 13 | 13 | - | 3 | - |
| ბალიაშვილი | 13 | 13 | - | 2 | - |
| დ. ხანიშვილი | 13 | 13 | - | 4 | - |
| სამადაშვილი | 13 | 12 | - | 1 | - |
| ბ. ჩიტაია | 13 | 11 | 2 | 3 | - |
| ტლაშაძე | 13 | 8 | 1 | - | - |
| ლაცაბიძე | 12 | 12 | - | - | - |
| სულთანიშვილი | 12 | 10 | - | 1 | - |
| ნ. ნოზაძე | 12 | 9 | 1 | - | - |
| სადალაშვილი | 11 | 10 | 2 | - | - |
| შატაკიშვილი | 11 | 9 | - | 4 | - |
| ილურიძე (მეკ.) | 9 | 8 | -17 | - | 1 |
| კეჩხუაშვილი (მკ.) | 5 | 5 | -7 | - | - |
| შერმადინი | 5 | 1 | - | 1 | - |
| ლ. თურმანიძე | 5 | - | - | - | - |
| მასურაშვილი | 4 | 4 | - | 1 | - |
| კურტაიძე | 4 | 1 | - | - | - |
| ი. ლომიძე | 4 | - | - | - | - |
| ჩუკვუ | 3 | 2 | - | - | - |
| იჩქითი | 2 | 1 | - | - | - |
| ი. კობახიძე | 1 | 1 | - | - | - |
| კვიტაიშვილი | 1 | - | - | - | - |

## ვიტ ჯორჯია

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ა. კვახაძე | 13 | 13 | - | 3 | - |
| ბედიაშვილი (მეკ.) | 13 | 13 | -7 | - | - |
| პ. დათუნაიშვილი | 13 | 13 | - | 1 | - |
| გ. დათუნაიშვილი | 13 | 13 | 3 | 3 | - |
| კლიმიაშვილი | 13 | 13 | 2 | 3 | - |
| გელაშვილი | 13 | 13 | 8 | 3 | - |
| სახოკია | 13 | 12 | 3 | 3 | - |
| რაზმაძე | 12 | 12 | 2 | 3 | - |
| დ. ლომაია | 12 | 12 | 1 | 2 | - |
| გ. მელქაძე | 12 | 7 | 3 | 1 | - |
| ღუჭაშვილი | 12 | 1 | 1 | - | - |
| ბეჟვაია | 10 | 8 | - | 2 | - |
| ინჯგია | 9 | 2 | - | 2 | - |
| ბერიაშვილი | 7 | - | - | - | - |
| ჯაფარიძე | 6 | 6 | - | - | - |
| კაიშაური | 6 | 5 | - | - | - |
| მაისაშვილი | 1 | - | - | - | - |
| ლიპარტია | 1 | - | - | - | - |
| მიქაბერიძე (მეკ.) | 1 | - | -1 | - | - |

## ამერი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| დოლიძე | 13 | 12 | 3 | 2 | - |
| დეკანოსიძე | 13 | 12 | - | 1 | - |
| რ. გოცირიძე | 13 | 10 | 3 | 3 | - |
| ტატანაშვილი | 13 | 7 | 5 | 3 | - |
| ქვაჩახია (მეკ.) | 12 | 12 | -11 | 1 | 1 |
| დიდავა | 12 | 12 | - | 2 | - |
| დავითნიძე | 11 | 11 | 3 | 5 | - |
| ელბაქიძე | 11 | 11 | - | 1 | 1 |
| დობროვოლსკი | 11 | 10 | 1 | 3 | - |
| ბოლქვაძე | 10 | 10 | 1 | 3 | - |
| ჯელაძე | 11 | 6 | 1 | 1 | - |
| დავითაშვილი | 9 | 7 | 2 | 1 | - |
| ჩიკვილაძე | 9 | 7 | 1 | 1 | - |
| ა. ალავიძე | 9 | - | 1 | 1 | - |
| მესხი | 5 | 4 | - | - | - |
| კაკაშვილი | 5 | 4 | - | 2 | - |
| ქობაური | 5 | 3 | - | 2 | - |
| ხვადაგიანი | 3 | 3 | - | 1 | - |
| ზ. ცხადაძე | 3 | - | - | - | |
| ლ. ნადირაშვილი | 2 | 1 | -3 | - | - |
| მჭედლიშვილი | 1 | 1 | - | - | - |

## მგლები

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| მაჭავარიანი | 13 | 13 | - | 1 | - |
| ივარდავა (მეკ.) | 12 | 11 | -15 | 1 | - |
| ძირია | 12 | 11 | 2 | 1 | - |
| გაბედავა | 12 | 4 | 1 | 2 | - |
| მ. კაკაბაძე | 11 | 11 | - | 2 | - |
| ხუბუა | 11 | 11 | - | 3 | - |
| ბაკარანძე | 11 | 5 | 2 | - | - |
| ექონია | 10 | 10 | - | 3 | - |
| ვართაგავა | 10 | 10 | - | 2 | 1 |
| ჯოჯუა | 10 | 10 | - | 1 | 1 |
| ჭედია | 9 | 9 | 6 | 1 | - |
| კრასოვსკი | 9 | 9 | 1 | 1 | - |
| ლ. კუტალია | 9 | 5 | 2 | 4 | - |
| ფარულავა | 8 | 8 | - | - | - |
| წურწუმია | 8 | 3 | - | - | - |
| ლიპარტია | 6 | - | - | - | - |
| ნარსია | 4 | 3 | - | - | - |
| ძომეთიანი | 4 | 2 | - | - | - |
| ხუხია | 3 | 3 | - | - | - |
| ზ. ჯანაშია | 3 | 3 | - | 1 | - |
| ჭკადუა | 3 | - | - | - | - |
| ჭითანავა (მეკ.) | 1 | 1 | -3 | - | - |
| დევაძე (მეკ.) | 1 | 1 | -1 | - | - |

## მერანი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| სარალიძე | 13 | 13 | - | 4 | - |
| გიგაური | 13 | 12 | - | 2 | - |
| ტეყმელაშვილი | 12 | 10 | 1 | 1 | - |
| თ. კობიაშვილი | 11 | 11 | - | 1 | 1 |
| ვ. გოჩაშვილი | 11 | 11 | 3 | - | - |
| ლომაშვილი | 10 | 9 | - | 2 | - |
| თევდორაძე (მეკ.) | 9 | 9 | -13 | 3 | - |
| ლოლაძე | 9 | 9 | - | 2 | - |
| ჯანგიძე | 9 | 8 | - | 2 | 1 |
| ბ. ნოზაძე | 7 | 7 | - | 1 | - |
| ბ. ჭლენტი | 7 | 6 | - | 1 | - |
| ფურთუხია | 6 | 4 | - | 1 | - |
| ზ. ავალიანი | 6 | 3 | - | - | - |
| ძემაშვილი | 6 | 2 | - | - | - |
| ბესარაშვილი | 5 | 4 | - | - | - |
| ა. კალაძე | 5 | 2 | - | - | - |
| სეფიაშვილი (მეკ.) | 4 | 4 | -10 | 1 | - |
| ი. შენგელია | 4 | 3 | - | 1 | - |
| კობერიძე | 4 | 2 | - | - | - |
| სევასტოპულო | 3 | 2 | - | - | - |
| ბურჯანაძე | 3 | 2 | - | 1 | - |
| იაგო დეისაძე | 3 | 2 | - | 1 | - |
| ხუჭუა | 3 | - | 1 | - | - |
| წიქარიშვილი | 2 | 2 | - | - | - |
| კ. ავალიანი | 2 | 2 | - | - | - |
| კილასონია | 2 | 1 | - | - | - |
| იაკობ დეისაძე | 2 | 1 | - | - | - |
| ძობალია | 2 | - | 1 | - | - |
| გ. ძორიძე | 1 | 1 | - | - | - |
| ლ. გრიგალაშვილი | 1 | 1 | - | - | - |
| სირბილაძე | 1 | - | - | - | - |
| ძოძიაშვილი | 1 | - | - | - | - |
| ცისკარაული | 1 | - | - | - | - |

## ბათუმი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| თედორაძე | 13 | 13 | - | 1 | - |
| დარჩიძე | 13 | 12 | 1 | 3 | - |
| ბეჟანიძე | 13 | 12 | - | - | - |
| ოძრუაშვილი | 13 | 6 | - | 2 | - |
| დემურაძე | 12 | 8 | - | 1 | - |
| გალოგრე | 11 | 11 | 1 | 1 | - |
| კუნჭულია | 11 | 11 | - | - | - |
| მაკარიანი | 10 | 9 | - | 1 | - |
| ცანავა | 10 | 7 | - | 3 | 1 |
| კ. მახარაძე | 9 | 9 | 1 | 2 | 1 |
| ზ. ჭელიძე | 8 | 8 | - | 2 | - |
| გ. მოდებაძე | 8 | 8 | 1 | - | - |
| თოთლაძე (მეკ.) | 8 | 7 | -19 | 3 | - |
| კაკალაძე | 7 | 7 | - | 1 | - |
| ლ. მახარაძე | 7 | 5 | - | - | - |
| მამინაშვილი (მეკ.) | 6 | 5 | -9 | - | - |
| ბაციკაძე | 6 | 3 | 1 | 1 | - |
| ტულუში | 6 | - | - | - | - |
| ა. ბაჯელიძე | 2 | - | - | - | - |
| ნაჭყებია | 1 | 1 | - | - | - |
| ზ. მახარაძე | 1 | - | - | - | - |
| ფარტენაძე | 1 | - | - | - | - |

## ქართული ლეგიონის მონაგარი




იაშვილის (20) საგოლე პასით კარლსრუემ ბოხუმიდან ქულა წამოიღო

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XVI ტური | | | | |
| კახა კალაძე | რეჯინა-მილანი | - | გადაიდო | 10 თ. 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XVI ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | აინტრახტი-შალკე | 2:2 | ტრავმა | 4 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | ბოხუმი-კარლსრუე | 2:2 | 90 წუთი, საგოლე პასი | 11 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XV ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | კაიზერი-კარლ ცაისი | 2:3 | 69 წთ. (შეცვალეს) | 9 თ. 0 გ. |
| გიორგი ონიანი | კაიზერი-კარლ ცაისი | 2:3 | 90 წუთი | 8 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კაიზერი-კარლ ცაისი | 2:3 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-გლადბახი | - | დღეს | 1 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | პადერბორნი-ვეენი | 1:1 | ტრავმა | 9 თ. 0 გ. |
| მათე ღვინიანიძე | ოსნაბრიუკი-მიუნხენი | 3:0 | ტრავმა | 13 თ. 0 გ. |
| რეგიონალლიგა. XVI ტური | | | | |
| მიხეილ საჯაია | ჰესენი-როიტლინგენი | - | 15 დეკემბერს | 5 თ. 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XV ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 0:1 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. თასი | | | | |
| ვასილ გიგიაძე | მეტალურ დ.-ნეფტიანიკი | 1:0 | 18 წთ. (შეცვლაზე) | 13 თ. 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XV ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-რეკრეატივო | 0:2 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XVIII ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | ლუცერნი-თუნი | 1:2 | 20 წთ. (შეცვლაზე) | 15 თ. 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXII ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | ავსტრია-შტურმი | 1:2 | 90 წუთი | 21 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XX ტური | | | | |
| მირზა ბუალავა | ავსტრია ლ.-პარნდორფი | 3:2 | სათადარიგო | 4 თ. 0 გ. |

# იაშვილის საუკეთესო მატჩი

**ზამთარი** დადგა და ქართული ლეგიონის სათამაშო არეალიც დროებით შემცირდა. ამ უქმეებზე გამოვყოფთ ალექსანდრე იაშვილის საგოლე პასსა და კარგ თამაშს ბუნდესლიგაში და ავსტრიულ ბუნდესლიგაში გიორგი შაშიაშვილის „შტურმის" გალიდერებას.

### გერმანიის ქართული ლაზარეთი

მორიგ ტურში **ალექსანდრე იაშვილი** დაუბრუნდა „კარლსრუეს" შემადგენლობას, მისი კლუბი კი სტუმრად „ბოხუმს" 2:2 დაუზავდა. იაშვილი მოედნის სიღრმიდან მოქმედებდა, **ფრაისი** კი ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი იყო, მატჩის 24-ე წუთზე იაშვილის დარტყმული 14 მეტრიდან მეკარე **რენომ** ვერ შეიმაგრა და **ჰაინალმა** თავურით დაამატა, ამით ანგარიში 1:1 გახდა. ქართველმა ფეხბურთელმა 90 წუთი ითამაშა. მისთვის წლევანდელ სეზონში მე-11 მატჩში მეორე საგოლე გადაცემა იყო, იაშვილს ჯერ გოლი არ გაუტანია. „შპორტალმა" იაშვილს გუნდში საუკეთესო შეფასება - 2,5 ქულა დაუწერა.

**ლევან კობიაშვილი** მალე გამოჯანმრთელდება და თამაშს შეძლებს, მანამდე კი მისმა „შალკემ" სტუმრად ასევე 2:2 ითამაშა ფრანკფურტის „აინტრახტთან". „კარლსრუე" 27 ქულით მეექვსე ადგილზეა, „შალკეს" ერთი ქულით ნაკლები აქვს და მეშვიდეა.

მეორე ბუნდესლიგაში მცირე სასწაული მოახდინა იენის „კარლ ცაისმა", გუნდი სტუმრად 0:2-ს აგებდა პირველი ტაიმის შემდეგ „კაიზერსლაუტერნთან" და 3:2 მოგება შეძლო. ორივე გუნდი ცხრილის ქვედა მხარეს იმყოფება, ასე რომ, მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. „კარლ ცაისი" 13 ქულით ბოლოსწინა საფეხურზეა, ხოლო „ლაუტერნი", სადაც, შესაძლოა, **ლევან ცქიტიშვილი** ვიხილოთ, ორი ქულით მეტით, მე-16 ადგილზეა. „კარლ ცაისის" სასტარტოში ითამაშეს **გიორგი ონიანმა** და **ილია კანდელაკმა**. 69-ე წუთზე კანდელაკი გამარჯვების გოლის ავტორმა **პეტერსენმა** შეცვალა. შინ ფრე ითამაშა („ვეენთან" 1:1) **დავით სირაძის** „პადერბორნმა" და 11 ქულით ბოლო ადგილზეა. სირაძეს, მოგეხსენებათ, ტვინის შერყევა აქვს. მოულოდნელად, „ოსნაბრუკთან" 0:3 განადგურდა **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენი". 20 წლის ქართველს არ უთამაშია. პადერბორნთან" მატჩში მას მუხლი ეტკინა და ერთი კვირაა არც უვარჯიშია. „ლომები" 25 ქულით მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდნენ. „შპორტალმა" ონიანის გარჯა 3,5 ქულით, ხოლო კანდელაკისა 4 ქულით შეაფასა.

### არც უშვებენ და არც ათამაშებენ

**კახა კალაძე** და „მილანი" ამომავალი მზის ქვეყანაში იმყოფება, სადაც იტალიური გუნდი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ასე რომ, „რეჯინასთან" მატჩი სერია A-ის ეგიდით გადაიდო. ესპანეთში ჯერაც ველით ტრავმირებული **შოთა არველაძის** დებიუტს პრიმერაში, რაც, ალბათ, წლეულს არ მოხდება.

საოცარია, მაგრამ ფაქტია - „ბლექბერნის" თავკაც **მარკ ჰიუზს** სურს **ზურაბ ხიზანიშვილმა** კონტრაქტი გააგრძელოს კლუბთან, მაგრამ ქართველ მცველს არაფრით ათამაშებს, გუშინ „ვესტ ჰემთან" მატჩში ხიზანიშვილი განაცხადშიც ვერ მოხვდა.

### შაშიაშვილი გალიდერდა

შვეიცარიაში „თუნმა" ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა (17 ქულა) წელინადი, შესვენებამდე ბოლო ტურში **სანდრო იაშვილის** გუნდმა „ლუცერნი" სტუმრად 2:1 დაამარცხა და ქულათა მარაგით გაუთანაბრდა. ქართველი ფორვარდი სათადარიგო იყო და მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე შევიდა პირველი გოლის ავტორ **მილაიმ რამას** ნაცვლად, იმ დროისთვის „თუნი" 2:0-ს იგებდა.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო **გიორგი შაშიაშვილის** „შტურმმა", გრაცულმა კლუბმა სტუმრად კონკურენტი ვენის „აუსტრია" დაამარცხა - 2:1. 22 ტურის მერე სამ ლიდერს 36-36 ქულა აქვს, „შტურმს", „აუსტრიას" და „ზალცბურგს". ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით ჩვენებურის გუნდი პირველია. ქართველმა მცველმა როგორც წესი სრულად ითამაშა.

### რა ღირს ვასო

უკრაინის ჩემპიონატში შესვენებაა, ამ უქმეებზე თასის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა, რომელთაგან მხოლოდ ერთი გვაინტერესებდა - დონეცკში „მეტალურგი" „ნეფტიანიკს" მასპინძლობდა. მასპინძლებმა 1:0 მოიგეს და ნახევარფინალში გავიდნენ. სტუმართა შემადგენლობაში 72-ე წუთზე გამოჩნდა **ვასილ გიგიაძე**. ქართველმა ფორვარდმა ერთხელ დაარტყა საჯარიმოს ხაზიდან, თუმცა ბურთი ხარიხას გადაცდა. ახტირკელთა მთავარმა მწვრთნელმა **კოსევიჩმა** დაადასტურა, რომ გიგიაძის შეძენა „ზარიას" სურს, თუმცა ამისთვის საჭიროა „კრივბასთან" კომპენსაციის თანხაზე მორიგება, რადგან ვასო ისევ „კრივბასის" საკუთრებაა. კოსევიჩმა აღნიშნა, რომ კრივოი როგული კლუბის ხელმძღვანელობა კომპენსაციის არარეალურ ფასს ასახელებს.

### ვეტერანი გააფრთხილეს

**ლევან მაღრაძის** ლიმასოლის აპოლონმა დერბიში „არისი" დაამარცხა - 2:1. ამ მოგებით „აპოლონი" 22 ქულით მეოთხე ადგილზე გავდავიდა. ქართველ ფეხბურთელს არ უთამაშია. **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსი" სტუმრად 0:1 დამარცხდა „ოლიმპიაკოსთან". ქებაძემ სრულად ითამაშა, ვეტერანმა ქართველმა ყვითელი ბარათი მიიღო. კვიპროსის ჩემპიონატს **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი" ლიდერობს ერთპიროვნულად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




იტალია. სერია A. XV ტური

# პოცი, ჯოვინკო... მჭედლიძე

## ინტერი დაიძრა, გვიდოლინი კი ყოველთვის კარგად იწყებდა...



ტურის გმირი ნიკოლა პოცი

ტურის გახსნით მატჩში „ლაციომ“ 2:0 მოუგო „კატანიას“, რაც წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობის გარდა, იმის მაუწყებელიცაა, რომ **დელიო როსიმ** პოსტი შეინარჩუნა. მძიმე სატურნირო მდგომარეობამ აიძულა „ბიანკოჩელესტე“, მთელი ენერგია არც თუ ძლიერი ოპონენტის განეიტრალებაზე დაეხარჯა. ვფიქრობთ, „ლაციალეს“ პრობლემა მაინცდამაინც არც მწვრთნელშია და არც მოთამაშეთა გულგრილობაში. საქმე ისაა, რომ ამ მოთამაშეთა ძალიან ცოტანი არიან იმ კლასის ფიგურები, რომელთაც დიადი მიზნების უზრუნველყოფა შეუძლიათ, თუმცა ყოფილ გრანდს ის მაინც მოეთხოვება, რომ გასავარდნად განწირული არ იყოს...

კონკრეტულ თამაშს რაც შეეხება, აქ დიდი როლი ითამაშა ადრეულმა გოლმა, რომელიც **როკის** აქტივში ჩაიწერა. მაგრამ მანამდე, კატანიელებს უფრო შთამბეჭდავი დასაწყისი ჰქონდათ. **ბალოტა** აბსოლუტურად უძლური იყო მცველ **ტერლიცის** თავურზე, რომელიც ხარიხას მოხვდა. მაგრამ გავიდა ზუსტად 120 წამი და ანგარიში „ლაციომ“ გახსნა. **ლედესმას** მიერ შესრულებულ ჯარიმას როკიმ თავი შეაგება და **პოლიტოს** ბურთის ბადიდან გამოტანა მოუხდა.

თამაშის სადავეები რომაელთა ხელში გადავიდა, თუმცა რამდენჯერმე ბალოტასაც მოუხდა თავის შეწუხება, ერთ ეპიზოდში კი ლამის ის შეცდომა გაიმეორა, რაც მის გუნდს „სიენასთან“ ქულების დაკარგვად დაუჯდა... მაგრამ საერთო ჯამში როსის ბიჭები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ და ლოგიკურია, რომ თამაშის მიწურულს ეს მეორე გოლშიც აისახა: **პანდევმა** კარგად გაითავისუფლა თავი, საჯარიმოში შეიჭრა და დაახლოებით 13-14 მეტრიდან მიზანში დასცხო. ალვნიშნოთ ისიც, რომ სიცილიელებმა ბოლო წუთები 10 კაცით ჩაატარეს. ფორვარდი **სპინეზი** ჯერ მეტოქეს მოექცა ულირსად, მერე კი არბიტრიც გამოლანძლა. ეს გაძევება რომ არა, იქნებ, „კატანიას“ რაღაც შანსი მაინც ჰქონოდა...

**ფრანჩესკო გვიდოლინმა** „რენცო ბარბერაზე“ დაბრუნება გამარჯვებით აღნიშნა. „პალერმომ“ დაამარცხა „ფიორენტინა“, რომელსაც ბოლო ოთხ ტურში უკვე 3 მარცხი დაუგროვდა. ამდენად, სტუმრებს მხოლოდ მოგებაზე უნდა ეფიქრათ. ალბათ, ამ ამოცანიდან გამომდინარე გაძლიერდა წინა ხაზი, რაც **იორგენსენის, პაცინისა** და **მუტუს** ერთობლივ ქმედებებში აისახა. გვიდოლინისთვის კი მნიშვნელოვანი იყო **მიკოლის** გამოჯანმრთელება, რამაც საშუალება მისცა, წინა ხაზზე ის **ამაურისთვის** შეეწყვილებინა. და სწორედ ამ წყვილის შემოქმედება იყო პირველი გოლი, რომელიც მე-17 წუთზე გავიდა. ამაურიმ, **იბრაჰიმოვიჩის** სტილში, ქუსლით შეუგდო ბურთი მიკოლის, რომელსაც **ფრეის** ძლევა დიდად არ გასჭირვებია. და რაკი ფრეი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ ფრანგმა კიპერმა „იები“ კატასტროფული ანგარიშით წაგებას გადაარჩინა. არადა, ძლიერი ქარი მეკარეებსაც ურთულებდა საქმეს, თუმც არც ფრეის და არც მის კოლეგა **ფონტანას** ამ მხრივ პრობლემები არ შექმნიათ.

ასეთი უნიათო „ფიორენტინა“ დიდი ხანია არ გვინახავს. სიცილიელთა მრავალრიცხოვანმა მცდელობამ კი თამაშის მიწურულსღა მოიტანა მეორე გოლი, რაც საბოლოოდ გამარჯვების გარანტია გახდა. **სიმპლისიუს** სოლოგარღვევის შემდეგ ფრეიც უძლური აღმოჩნდა. მოკლედ, **ჩეზარე პრანდელის** სერიოზული პრობლემები დაუგროვდა. გარდა **უიფალუშისა** და **ვიერისა**, ახლა **პოტენცა** და **გამბერინიც** დაშავდნენ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის გამო, ფლორენციელებმა ბოლო 22 წუთი კაცნაკლულებმა ჩაატარეს, რაკი პრანდელის სამივე ცვლილება გაკეთებული ჰქონდა. თანაც, ამ მომენტმა აიძულა მწვრთნელი, იორგენსენისთვის დაცვითი ფუნქციების შესრულება დაევალებინა, რაც თავისთავად დაეტყო თავდასხმას. გვიდოლინი კი კარგ ხასიათზე იყო. ნამატჩევს ის გუნდის საბრძოლო სულისკვეთებით ამაყობდა - ასე თუ გავაგრძელეთ, სერიოზულ წარმატებებს მივაღწევთო (იმედია, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას გულისხმობდა). ისე, გვიდოლინი ყოველთვის კარგად იწყებდა...

კვირას „ინტერმა“ 4:0 მოუგო „ტორინოს“ და მდევარ „რომასთან“ სხვაობა ხუთ ქულამდე გაზარდა. რა თქმა უნდა, ეს არ არის გადამწყვეტი უპირატესობა, მაგრამ ფაქტია, რომ „ნერაძურიმ“ ტემპი აკრიფა და მისი გაჩერება წარმოუდგენლად ძნელი იქნება, თუ შეუძლებელი არა. „ტორომ“ მეტოქეს მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა. **ვენტოლამ, დი მიკელემ** და **როზინამ** რამდენჯერმე სცადეს **ჟულიო სეზარის** შეწუხება, მაგრამ უშედეგოდ. სამაგიეროდ, „ინტერმა“ პირველი ტაიმის მიწურულს დამსახურებული პენალტი მოიპოვა, როცა **კომოტომ იბრაჰიმოვიჩი** წააქცია. ზლატანმა მარჯვენა კუთხეს დაუმიზნა და სერენის ბურთი ხელებქვეშ გაუძვრა. მასპინძელთა გამარჯვებისთვის გადამწყვეტი იყო მეორე ტაიმის ორწუთიანი მონაკვეთი: ჯერ **კრუსმა** დააგვირგვინა **კივუს** ჩაწოდება, მერე კი **ხიმენესმა,** რომელიც სულ რაღაც ხუთიოდ წუთის შესული იყო მოედანზე, იმავეკრუსთან გაათამაშა კომბინაცია და მიზანშიც მოარტყა. „ტორო“ მაშინვე გატყდა და „სან სიროზე“ **რეკობას** გამოჩენას ეფექტი აღარ ჰქონია, შესაბამისად, „ელ ჩინოს“ დაპირება - ჩემს ყოფილ გუნდს აუცილებლად გავუტანო, დაპირებადვე დარჩა. გატანით კი ისევ „ინტერმა“ გაიტანა: 77-ე წუთზე **კორდობა** შორეულ ძელთან სრულიად უმეთვალყუროდ დარჩა და **ბურდისოს** ჩაწოდების შემდეგ, უზადო თავურით მეოთხედ აიღო მომხვდურთა კარი.

„რომამ“ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა „ლივორნოში“, 1:1. ორივე გოლი მატჩის დასაწყისში გავიდა. ჯერ **დე როსიმ** შეაგდო თავით, ხოლო ორიოდ წუთში **დიეგო ტრისტანმა** ახლო მანძილიდან შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მართალია, „ჯალოროსი“ საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ საერთო ჯამში მაინც ცუდად ითამაშა. არაფრად ვარგოდა **ტოტი**, კაპიკი იყო **მანსინისა** და **ჟიულის** ფასი, მხოლოდ ჩერნოგორიელი **ვუჩინიჩის** გამოსვლას მოჰყვა რომაელთა შეტევის ხაზის გააქტიურება, მაგრამ სტუმარი მაინც ვერაფერს გამორჩა. გამოვყოფდით **ჟუანის** თავურს, რომელიც ხარიხას მოხვდა და **ესპოზიტოს** მეტად სახიფათო გასროლას, რომელიც **ამელიამ** განმუხტა.

სერია A-ში მე-300 საიუბილეო მატჩი გოლი აღნიშნა **ნედვედმა**, რომელმაც „იუვენტუსს“ ძნელი გამარჯვება მოუტანა „ატალანტასთან“ საშინაო შეხვედრაში. მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე პაველმა **დე აშენტისს** აართვა ბურთი, დერეფანი დაიგულა და ასე 25 მეტრიდან განგმირა **კოპოლა**, რომელმაც მეტი ყურადღება მართებდა. ბერგამოელებმა კარგად ითამაშეს და სულაც არ იქნებოდა უსამართლობა, ქულისთვის რომ გამოეკრათ ხელი.

სერია A-ს საუკეთესო მატჩი ჩაატარა „ემპოლიმ“, რომელმაც შუა კვირაშიც აალაპარაკა პრესა, როცა „იუვენტუსს“ თასზე მოუგო (2:1). ეს **ალბერტო მალეზანის** პირველი საჩემპიონატო გამარჯვებაა (4:1). მართალია, ოთხივე გოლი 21 წლის **ნიკოლა პოციმ** გაიტანა, მაგრამ არასწორი იქნებოდა იმის თქმა, თითქოს მოგება მხოლოდ მისი დამსახურებაა. საგოლე კომბინაციები წმინდა გუნდური თამაშის ნაყოფი იყო. პოცის გარდა, ალვნიშნოთ კიდევ ერთი ახალგაზრდის, **ჯოვინკოს** ბრწყინვალე გარჯაც. „იუვეს“ საკუთრებაში მყოფმა გამთამაშებელმა, რომელსაც ახალ „დელ პიეროს“ უწოდებენ, ოთხივე საგოლე შეტევაში მიიღო მონაწილეობა. საერთოდ, „ემპოლის“ ტალანტებით სავსე ახალგაზრდული გუნდი ჰყავს და იმედია, ამ ბიჭებს შორის მალე ჩვენი **ლევან მჭედლიძეც** დამკვიდრდება...

„ჯენოა“, რომელსაც 7 ოქტომბრის მერე აღარ მოუგია, „სიენასთან“ საკუთარ მოედანზე უსახელოდ დამარცხდა (1:3). ტოსკანელთა მწვრთნელმა **მარიო ბერეტამ,** პოსტზე დაბრუნების შემდეგ, პირველი გამარჯვება იზეიმა. აღსანიშნავია, რომ სიენელებმა სამი ქულა პირველი ტაიმის შუაწელისთვის გაინაღდეს.

დრამატულად და გარდამავალი უპირატესობით წარიმართა „უდინეზე“-“სამპდორიის“ მატჩი, რომელშიც მასპინძელმა დამსახურებულად მოიგეს და ეს იმ **კვალიარელას** დახმარებით (დუბლი) შეძლეს, ვინც შარშან სწორედ „სამპის“ ღირსებას იცავდა. ახლა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რეალურად, ოთხეულს „ფიორენტინაზე“ მეტად „უდინეზე“ უმიზნებს (ან გნებავთ, იმსახურებს). **პასკუალე მარინოს** შეგირდებმა ბოლო ექვს ტურში ხუთჯერ გაიმარჯვეს.

### მომდევნო ტური

**15 დეკემბერი. კატანია-უდინეზე, ლაციო-იუვენტუსი. 16 დეკემბერი. ემპოლი-ჯენოა, ატალანტა-პალერმო, პარმა-რეჯინა, სამპდორია-ფიორენტინა, სიენა-ნაპოლი, ტორინო-რომა, კალიარი-ინტერი. 13 თებერვალი, 2008. მილანი-ლივორნო.**

### ლაციო-კატანია 2:0

**ლაციო:** ბალოტა-6, კრიბარი-6, დე სილვესტრი-5.5, სკალონი-6, ძაური-6, ლედესმა-6.5, მეგნი-6.5 (76. მაური-შ.გ), მუდინგაი-6 (90. კ. მანფრედინი-შ.გ), მუტარელი-6.5, მაკინვა-6 (73. პანდევი-7), როკი-7.

**კატანია:** პოლიტო-5.5, სარდო-5, სტოვინი-5.5, ტერლიცი-5.5, ვარგასი-5, ბაიოკო-5.5, კოლუჩი-5 (58. მორიმოტო-შ.გ), ედუსეი-5 (58. ბიაჯანტი-6), იცკო-5, მასკარა-5, სპინეზი-4.

**გოლები:** 1:0 როკი (8), 2:0 პანდევი (89)

**გაძევება:** სპინეზი (86. კატანია)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 15-6 (12-2); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 18 000

### პალერმო-ფიორენტინა 2:0

**პალერმო:** ა. ფონტანა-7, ძაკარდო-6, ბიავა-6, ბარძალი-6.5, კაპუანო-6.5, მილიაჩო-6.5, გუანა-6.5, სიმპლისიუ-6.5, კავანი-6.5, მიკოლი-6.5 (59. ბრეშანო-6), ამაური-7.

**ფიორენტინა:** ფრეი-8, პოტენცა-5 (39. სანტანა-6), დაინელი-6.5, გამბერინი-5.5, გობი-5 (65. პასკუალი-5.5), დონადელი-6, ლივერანი-5 (46. სემიოლი-5.5), მონტოლივო-6, იორგენსენი-5, პაცინი-5.5, მუტუ-6.

**გოლები:** 1:0 მიკოლი (17), 2:0 სიმპლისიუ (80)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 23-17; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 14-18 (12-10); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 20 000

### ინტერი-ტორინო 4:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6.5, კორდობა-6.5, ბურდისო-6, კივუ-6.5, ხ. ძანეტი-6.5, მაიკონი-6, მატერაცი-6 (60. პელე-6), კამბიასო-6.5, სეზარი-6 (46. ხიმენესი-6.5/77. სოლარი-შ.გ), იბრაჰიმოვიჩი-6, კრუსი-6.5.

**ტორინო:** სერენი-6, ნატალი-6, დელაფიორე-5, ლანა-5.5 (56. გრელა-5.5), კომოტო-6, დი ლორეტო-5.5, პ. ძანეტი-5.5, ბარონე-6, როზინა-6 (65. რეკობა-5.5), დი მიკელე-5.5, ვენტოლა-5 (61. სტელონე-6).

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (37-პენ), 2:0 კრუსი (50), 3:0 ხიმენესი (51), 4:0 კორდობა (77)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 20-19; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 8-10 (6-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 45 000

### ლივორნო-რომა 1:1

**ლივორნო:** ამელია-6, პავანი-6.5 (71. რეზაეი-შ.გ), პასკუალე-6, ბალერი-6, გრანდონი-6.5, გალანტე-6.5, ე. ფილიპინი-6, პულცეტი-6.5 (90. ლოვიზო-შ.გ), დე ვეცე-6 (76. ჯანიკედა-შ.გ), ტავანო-6.5, დიეგო ტრისტანი-7.

**რომა:** ა. დონი-6.5, ტონეტო-5.5 (87. სისინიო-შ.გ), ფერარი-6, პანუჩი-6, ჟუანი-6.5, ტადეი-6, დე როსი-6.5, პისარო-5.5, ჟიული-5, მანსინი-4.5 (56. ვუჩინიჩი-6), ტოტი-5 (70. ესპოზიტო-შ.გ).

**გოლები:** 0:1 დე როსი (5), 1:1 დიეგო ტრისტანი (7)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 7-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 16-20 (14-14); **ბურთის ფლობა:** 28%-72%.

**მაყურებელი:** 5 500

### იუვენტუსი-ატალანტა 1:0

**იუვენტუსი:** ბუფონი-6.5, ლეგროტალიე-7, მოლინარო-7, ზებინა-5.5, კიელინი-6.5, ნოჩერინო-6.5, კ. ძანეტი-6, ნედვედი-6.5 (90. ტიაგო-შ.გ), ტრეზეგე-6.5, იაკუინტა-5.5 (46. დელ პიერო-7), პალადინო-5.5 (46. მარკიონი-6).

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6.5, კაროციერი-6.5, პელეგრინო-6, ბელინი-6, კაპელი-6 (60. ბელერი-6), კ. დონი-6.5, გაურენტე-6 (72. ტისონე-შ.გ), პადოინი-6.5 (65. ლანჯელა-შ.გ), პინტუ-5.5, დე აშენტისი-6, ფლოკარი-6.5.

**გოლი:** 1:0 ნედვედი (86)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 19-14; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 17-10 (9-8); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 000

### უდინეზე-სამპდორია 3:2

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6, საპატა-6.5, ფელიპე-6.5, ლუკოვიჩი-6, ზაპოტოჩნი-5 (46. სიკეირა-6), ერიომენკო-6, ინლერი-6.5, მესტო-6, ასამოა-6 (62. ფლორო ფლორესი-6.5), კვალიარელა-7.5 (90. პეპე-შ.გ), დი ნატალე-7.

**სამპდორია:** კასტელაცი-6, სალა-5.5, გასტალდელო-5.5, მაჯო-6.5, კამპანიარო-6, სამარკო-6 (76. დ. ფრანჩესკინი-შ.გ), პალომბო-6, ვოლპი-6, პიერი-6.5 (86. აკარდი-შ.გ), კასანო-7 (66. ბონაცოლი-6), ბელუჩი-6.5.

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (24), 1:1 ბელუჩი (32-პენ), 1:2 მაჯო (40), 2:2 კვალიარელა (70), 3:2 კვალიარელა (85)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 12-4; **ჯარიმა:** 21-21; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 28-6 (10-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 14 000

### ჯენოა-სიენა 1:3

**ჯენოა:** რუბინიო-5.5, ბოვო-5, ლუკარელი-4.5, ფაბიანო-5 (27. სკული-5.5), ლეონი-5.5, იურიჩი-5, პარო-5.5, მ. როსი-5, კონკო-4.5 (46. გლეისონი-5.5), ბორიელო-6, დი ვაიო-5 (61. ფიგეროა-5.5).

**სიენა:** მანინგერი-6.5, პორტანოვა-7, დე ჩელიე-6.5, ლორია-7, ბერტოტო-6.5, კოდრეა-6.5, ვერგასოლა-6.5, გალოპა-7, ფრიკი-7.5 (62. კორვია-6), მაკარონე-7.5 (82. ალბერტო-შ.გ), ლოკატელი-6.5 (70. იაროლიმი-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ფრიკი (11), 0:2 ლორია (20), 0:3 ფრიკი (24), 1:3 ფიგეროა (69)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 14-4; **ჯარიმა:** 16-23; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 18-13 (8-10); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 25 000

### ემპოლი-კალიარი 4:1

**ემპოლი:** ბალი-6, მარძორატი-6, ტოსტო-6.5, რაჯი-6.5, პრატალი-6, ვანუკი-7, მარკიზიო- (80. მარიანინი-შ.გ), ბუშე-6.5, ჯოვინკო-7.5 (62. ანტონინი-6), მორო-6.5, პოცი-8 (68. საუდატი-შ.გ).

**კალიარი:** მარუოკო-6, ლოპესი-4.5, აგოსტინი-5, ფერი-5 (57. ფ. პიზანო-5.5), ბისერა-4.5, ფოჯა-4.5 (75. მანკოზუ-6), კონტი-6, პაროლა-5, ბუდელი-5, ფინი-5 (46. მატრი-5.5), ლარივეი-5.

**გოლები:** 1:0 პოცი (2), 2:0 პოცი (10), 3:0 პოცი (50), 4:0 პოცი (65), 4:1 კონტი (76)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 22-25; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 14-8 (6-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 2 000

### ნაპოლი-პარმა 1:0

**ნაპოლი:** იეცო-6, კუპი-6, კანავარო-6, კონტინი-6, გრავა-6, ბლასი-6.5, გარგანო-6.5 (84. ჰამსიკი-შ.გ), სავინი-6, ბოლიაჩინო-6.5, ლავეცი-6.5 (75. კალაიო-5.5), სალაიეტა-7 (90. სოსა-შ.გ).

**პარმა:** ბუჩი-5.5, კოლი-6.5, ფალკონე-5.5, პაჩი-6, დ. ძენონი-6 (85. პაპონი-შ.გ), დესენა-5.5 (61. მორფეო-6), პარავიჩინი-6, მარიგა-6.5, პიზანუ-6.5, რეჟინალდო-5.5 (72. მატეინი-5.5), კორადი-5.

**გოლი:** 1:0 სალაიეტა (17)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 17-27; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 6-13 (3-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 30 000

**რეჯინა-მილანი** *30 იანვარს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 15 | 11 | 4 | 0 | 33-8 | 37 |
| 2. რომა | 15 | 9 | 5 | 1 | 31-18 | 32 |
| 3. იუვენტუსი | 15 | 8 | 4 | 2 | 30-13 | 29 |
| 4. უდინეზე | 15 | 8 | 4 | 3 | 20-17 | 28 |
| 5. ფიორენტინა | 15 | 6 | 6 | 3 | 19-13 | 24 |
| 6. ატალანტა | 14 | 5 | 6 | 3 | 21-17 | 21 |
| 7. ნაპოლი | 15 | 6 | 3 | 6 | 23-20 | 21 |
| 8. პალერმო | 15 | 5 | 6 | 4 | 20-24 | 21 |
| 9. სამპდორია | 15 | 6 | 2 | 7 | 20-20 | 20 |
| 10. მილანი | 13 | 4 | 6 | 3 | 20-10 | 18 |
| 11. კატანია | 15 | 4 | 6 | 5 | 14-16 | 18 |
| 12. ლაციო | 15 | 4 | 5 | 6 | 15-20 | 17 |
| 13. ტორინო | 15 | 2 | 9 | 4 | 14-19 | 15 |
| 14. პარმა | 15 | 3 | 6 | 6 | 16-23 | 15 |
| 15. ჯენოა | 15 | 3 | 6 | 6 | 14-22 | 15 |
| 16. ლივორნო | 15 | 3 | 5 | 7 | 18-26 | 14 |
| 17. სიენა | 15 | 2 | 7 | 6 | 16-22 | 13 |
| 18. ემპოლი | 15 | 3 | 4 | 8 | 11-21 | 13 |
| 19. რეჯინა | 14 | 1 | 7 | 6 | 9-21 | 10 |
| 20. კალიარი | 15 | 2 | 4 | 9 | 12-26 | 10 |

**ბომბარდირები:** 11 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 9 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 8 - ბელუჩი (სამპდორია), კრუსი (ინტერი); 7 - ბორიელო (ჯენოა), კ. დონი (ატალანტა), კაკა (მილანი), სალაიეტა (ნაპოლი), ტოტი (რომა); 6 - დი ნატალე (უდინეზე), იაკუინტა (იუვენტუსი), კვალიარელა (უდინეზე), მუტუ (ფიორენტინა), ტავანო (ლივორნო); 5 - ამაური (პალერმო), ამორუზო (რეჯინა), დელ პიერო (იუვენტუსი), ჯილარდინო (მილანი), მაკარონე (სიენა), მარტინესი (კატანია), პანდევი (ლაციო), პოცი (ემპოლი), როკი (ლაციო).

## სერია B

XVII ტური

**ალბინოლეფე-პიაჩენცა** 2:0

**გოლები:** 1:0 ჩელინი (51), 2:0 კოლომბო (77)

**ბარი-ასკოლი** 1:1

**გოლები:** 0:1 პეშე (50), 1:1 დონდა (70-პენ)

**ბრეშა-მოდენა** 2:0

**გოლები:** 1:0 ძობოლი (30), 2:0 პოსანცინი (89)

**გაძევება:** ლუიზი (34. მოდენა)

**ჩეზენა-ფროზინონე** 3:0

**გოლები:** 1:0 მოსკარდელი (55), 2:0 ჯურიჩი (77), 3:0 ფერეტი (89)

**გაძევება:** ბოკეტი (63. ფროზინონე)

**გროსეტო-ტრევიზო** 1:1

**გოლები:** 0:1 ბეგეტო (22), 1:1 ტერა (54)

**მანტოვა-ლეჩე** 1:0

**გოლი:** 1:0 ფიორე (24)

**მესინა-რავენა** 2:1

**გოლები:** 0:1 ანცალონე (22), 1:1 ბიანკოლინო (45), 2:1 სტენდარდო (66)

**გაძევება:** პიცოლა (72. მესინა), სტენდარდო (88. მესინა)

**სპეცია-კიევო** 0:1

**გოლი:** 0:1 ჩარამიტარო (73)

**ტრიესტინა-რიმინი** 1:0

**გოლი:** 1:0 როსეტი (56)

**ვიჩენცა-ბოლონია** 0:1

**გოლი:** 0:1 მარაცინა (61)

**პიზა-აველინო** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალბინოლეფე | 17 | 11 | 3 | 3 | 31-15 | 36 |
| 2. ბოლონია | 17 | 10 | 6 | 1 | 21-7 | 36 |
| 3. კიევო | 17 | 10 | 4 | 3 | 29-19 | 34 |
| 4. პიზა | 17 | 10 | 4 | 3 | 29-23 | 34 |
| 5. ლეჩე | 17 | 9 | 5 | 3 | 24-13 | 32 |
| 6. ბრეშა | 17 | 9 | 3 | 5 | 25-18 | 30 |
| 7. მანტოვა | 17 | 8 | 4 | 5 | 25-16 | 28 |
| 8. რიმინი | 17 | 8 | 4 | 5 | 26-18 | 28 |
| 9. მესინა | 17 | 7 | 4 | 6 | 15-20 | 25 |
| 10. ასკოლი | 17 | 6 | 6 | 5 | 24-18 | 24 |
| 11. ფროზინონე | 17 | 7 | 3 | 7 | 25-25 | 24 |
| 12. ტრიესტინა | 17 | 6 | 5 | 6 | 23-28 | 23 |
| 13. მოდენა | 17 | 6 | 4 | 7 | 24-23 | 22 |
| 14. გროსეტო | 17 | 4 | 7 | 6 | 14-22 | 19 |
| 15. პიაჩენცა | 17 | 6 | 1 | 10 | 13-22 | 19 |
| 16. ბარი | 17 | 3 | 8 | 6 | 17-23 | 17 |
| 17. სპეცია | 17 | 3 | 7 | 7 | 21-22 | 16 |
| 18. ტრევიზო | 17 | 4 | 3 | 10 | 15-24 | 15 |
| 19. აველინო | 17 | 3 | 4 | 10 | 14-23 | 13 |
| 20. რავენა | 17 | 3 | 3 | 11 | 19-32 | 12 |
| 21. ვიჩენცა | 17 | 2 | 6 | 9 | 16-29 | 12 |
| 22. ჩეზენა | 17 | 1 | 8 | 8 | 16-26 | 11 |

**ბომბარდირები:** 13 - კასტილიო (პიზა); 12 - ჩელინი (ალბინოლეფე); 11 - გოდეასი (მანტოვა), გრანოკე (ტრიესტინა), ჟედა (რიმინი); 9 - ლოდი (ფროზინონე), სონჩინი (ასკოლი); 8 - ბრუნო (მოდენა), ჩერჩი (პიზა), პოსანცინი (ბრეშა).

## სერია C1/A

XVII ტური

**კავეზე-პადოვა 2:2; ჩიტადელა-პაგანეზე 3:3; კრემონეზე-ლეკო 2:0; ფოჯა-ტერნანა 2:0; პრო სესტო-მონცა 2:2; პროპატრია-ფოლინიო 0:0; სასუოლო-ნოვარა 1:1; ვენეცია-ლენიანო 0:1; ვერონა-მანფრედონია 1:0.**

## სერია C1/B

XVII ტური

**არეცო-პოტენცა 3:0; გალიპოლი-იუვე სტაბია 3:2; ლანჩანო-პესკარა 1:1; პერუჯა-მარტინა 0:1; პისტოიეზე-ლუკეზე 2:3; სალერნიტანა-მასეზე 2:0; სამბენედეტეზე-სანჯოვანეზე 3:1; სორენტო-კროტონე 1:1; ტარანტო-ანკონა 1:0.**

გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტური

# არანორმალური ტური

## ჰანკემ ვერდერი დაამღერა, ტრემელი ჰამბურგთან გაგიჟდა, ბაიერნი კი... კაცმა არ იცის, რა სჭირს ბაიერნს

დიდი ხანია, ბუნდესლიგაში ასეთი ალოგიკური ტური ალარ ჩატარებულა – თავად განსაჯეთ: ლიდერთა ტრიოდან ვერცერთმა ვერ მოიგო. ნახეთ: „ბაიერნმა“ საკუთარ მოედანზე ბოლოსწინა ადგილზე მყოფ (!) „დუისბურგთან“ წაიმტვრია ცხვირი (0:0), „ჰამბურგმა“ კი ასევე საკუთარ კედლებში აუტსაიდერ „კოტბუსს“ ვერაფერი მოუხერხა (0:0). ამათ ფონზე, „ვერდერის“ წაგება მოძლიერებულ „ჰანოვერთან“ (3:4), ლამისაა, წარმატებად შევრაცხოთ. ერთი სიტყვით, ბუნდესლიგის მე-16 ტური ზუსტად ისე უცნაურად გაგრძელდა და დასრულდა, როგორც დაიწყო.

პარასკევს, დორტმუნდის „ბორუსიამ“ მიმდინარე სეზონის ყველა ჯავრი „არმინიაზე“ ამოიყარა და **ერნსტ მიდენდორპის** გუნდი მიწასთან გაასწორა: 6:1. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ბილეფელდური კლუბი კატასტროფული ანგარიშით მარცხდება და მოკლედ, პარასკევს ისე ითამაშეს, როგორც ობერლიგის წარმომადგენელი იასპარეზებდა. გუშინ გამოცემა „ნოიე ვესტფალიშემ“ ცნობა გაავრცელა, „არმინიამ“ მწვრთნელი გააგდოო, მაგრამ ეს ინფორმაცია გუშინ არ დადასტურდა. თუმცა ფაქტია, რომ მიდენდორპის გათავისუფლების შანსი უკვე 99 პროცენტია. დორტმუნდელებმა კი, თავიანთი გალაკონცერტი მე-13 წუთზე დაიწყეს: **ბლაშჩიკოვსკის** ჩაწოდებას **ტინგა** გამოეხმაურა და ანგარიში გახსნა. 6 წუთის შემდეგ **პეტრიჩმა** სპურტს ლამაზი პასი მოაყოლა, ბილეფელდელთა მეკარე **ფერნანდესმა** ბურთს ფეხი წაჰკრა, მაგრამ **შულერმა** თავის კარში ჩაჭრა იგი – 2:0. დაიწყო მეორე ტაიმი და „ვესტფალენშტადიონის“ პუბლიკამ მყისვე მე-3 გოლი იხილა: **დედეს** ჩაწოდება, პეტრიჩის ნახტომი, თავური დარტყმა და 3:0 (47). „არმინიის“ მცველები ქათმებს გავდნენ: 55-ე წუთზე განრისხებულმა **გაბრიელმა** საკუთარ საჯარიმოში „რატომღაც“ ხელით ითამაშა, **ვალდესმა** კი პენალტი გოლად აქცია. 61-ე წუთზე უკვე პეტრიჩი მოგვევლინა ასისტენტის რანგში. მის ჩაწოდებას **კრინგე** ანდგილზე დახვდა და 5:0. გადის კიდევ 6 წუთი და ანგარიში უკვე 6:0 ხდება (**ფედერიკო**). „არმინიას“ უკვე 38 გოლი აქვს გაშვებული...

„ბაიერნისა“ და „დუისბურგის“ მატჩის მიწურულს **ოტმარ ჰიტცფელდი** აუტის ხაზთან თავჩაქინდრული იდგა და უსმენდა ტრიბუნებიდან წამოსულ სტყვენას, თანდათან უფრო და უფრო რომ ძლიერდებოდა. 0:0 ერთ-ერთ აუტსაიდერ „დუისბურგთან“ - რეკორდმაისტერი ქომაგებს ველარ ახარებს! არადა, ბავარიელები გამარჯვების შემთხვევაში შემოდგომის ჩემპიონობას ინაღდებდნენ! გაიხსენეთ „ბაიერნის“ წინა საშინაო შეხვედრებიც: „ვოლფსბურგთან“ 2:1, „აინტრახტთან“ 0:0. მიუნხენელი ფანები არც იმ მატჩების შემდეგ იყვნენ მაინცდამაინც ბედნიერები. „ალიანს არენაზე“ კი ისევ ჩასვრილი განწყობა იყო: გულშემატკივრებმა ხმას მხოლოდ ორჯერ, შესვენებაზე და საფინალო სასტვენის დროს აუწიეს. ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ **კლოზე, რიბერი** და **სოსა**. დუისბურგელი „ზებრები“ კი ვაჟკაცურად იბრძოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „დუისბურგს“ ოთხიდან სამი მცველი დაუშავდა და შესაცვლელი გაუხდა და მიუხედავად იმისა, რომ 81-ე წუთზე **მაჰამადუ იდრისუმ** წითელი ბარათი მიიღო, MSV-მ „ალიანს არენიდან“ ქულა წაიღო და ეს გახლავთ ამ გუნდის პირველი ფრე მიმდინარე სეზონში. „ზებრებს“ სამჯერ გაუმართლათ: ორჯერ მაშინ, როცა **შტარკემ** რიბერის ორი დარტყმა მოიგერია, მესამედ კი მაშინ, როცა **ბიორნ შლიკემ ლუკა ტონის** უთავაზა, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ყველა სხვა შეტევა დუისბურგელთა ბრაზილიელმა მცველმა **როკე ჟუნიორმა** უპრობლემოდ მოიგერია. **ფილიპ ლამი** ამბობს, როგორც ჩანს, საქმეს ძალიან მარტივად მივუდექით და ამის გამო დავისაჯეთო. ასეცაა: „დუისბურგთან“ ფრეს სხვა ახსნა არც მოეძებნება.

როგორც ჩანს, „ჰამბურგიც“ ძალიან მარტივად მიუდგა ბოლოადგილოსან „კოტბუსთან“ მატჩს – HSV-მ „ბაიერნთან“ მიახლოვების შესანიშნავი შანსი ხელიდან გაუშვა. ჩრდილოელებმა „კოტბუსის“ კარისკენ 24-ჯერ დაარტყეს და ის, რომ ვერცერთი გოლი ვერ გაიტანეს „ენერგის“ მეკარე **გერჰარდ ტრემელის** დამსახურებაა. ტრემელმა „კოტბუსს“ უშველა, მსაჯმა **გიუნტერ პერლმა** კი „ჰამბურგი“ დაინდო, როცა **ფრანკ როსტის** კარში 100 პროცენტიანი პენალტი არ დანიშნა. გამეორებაზე ნათლად ჩანს, რომ ბურთი **იორის მატიისენს** საკუთარ საჯარიმოში ხელზე მოხვდა, მეტიც, ჰოლანდიელმა ხელით ითამაშა, მაგრამ არბიტრის სასტვენი დუმდა. მაგრამ მატჩის გმირი კოტბუსელთა მეკარე გახლდათ: 42-ე წუთზე ტრემელმა **გერეროს** დარტყმა სასწაულებრივ ნახტომში მოიგერია, 81-ე წუთზე **ვან დერ ვაარტს** ძალიან ახლო მანძილიდან აუღო, 88-ე წუთზე კი **ჩუპო-მოტინგსაც** არ გაატანინა. ერთი სიტყვით, ის, რომ „ჰამბურგმა“ ამ სეზონში მოედანი უგოლოდ პირველად დატოვა, სწორედ კოტბუსელთა მეკარის დამსახურებაა. მატჩის შემდეგ HSV-ს თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** ისევ ჰალსტუხიან კაცებს შემოსწყრა: *„ჩვენ ისევ შაბათს ვთამაშობდით, უეფას თასის ზოგიერთ სხვა მონაწილეს კი ხვალ ექნება მატჩი. ზედიზედ მეორე კვირაა, ასე ვიჩაგრებით! არ გამაგონოთ ისეთი განცხადება, როგორიცაა „ჰამბურგმა შანსი დაკარგა, რომ...“ „კოტბუსიც“ გუნდია, რომელსაც ბრძოლა შეუძლია!“*

„ვერდერმა“ კი სულაც წააგო! „მუსიკოსები“ ჰანოვერში, დრამატულ შეხვედრაში დაეცნენ – 3:4. ამ მარცხმა „ვერდერს“ არა მარტო 3 ქულა, არამედ ნერვებიც დააკარგვინა: მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე **უგო ალმეიდამ** მსაჯს წითელი ბარათი გამოსტყუა, ხოლო სხვა დროს ყოველთვის მშვიდი **თორსტენ ფრინგსი** კი, აუტის ხაზთან **მიხაელ ტარნატს** ეკამათებოდა და ლამის ხელითაც შეეხო. გერმანიის ნაკრების ბრემენელი ფეხბურთელი **ტიმ ბოროვსკი სტივ ჩერუნდოლოს** ეჩხუბა, მეკარე **ტიმ ვიზე** კი **პინტუს**. რამ გადარია „ვერდერი“? „მუსიკოსებმა“ გალიდერების ჩინებული შანსი ხელიდან გაუშვეს. ცხადია, რომ „ვერდერი“ საკუთარი გუნდის დაცვის ამაზრზენმა თამაშმაც გააცოფა და მსაჯმა **ვოლფგანგ შტარკმაც**. ამ უკანასკნელმა „ვერდერს“ დასადები პენალტი არ დაუდო (**კლაინე სანოგოს** ტრუსზე ჩამოეკიდა). ბრემენული კლუბის მენეჯერი **კლაუს ალოფსი** ამბობს, უმჯობესი იქნება, თუ მომავალში ჰერ შტარკი „ვერდერის“ თამაშებს ალარ განსჯის, კარგი იქნება, თუ ჩვენ ერთმანეთს ალარ შევხვდებითო. მატჩის და საერთოდ ტურის გმირი კი ჰანოვერელი **მაიკ ჰანკე** გახდა, რომელმაც ბრემენულ კლუბს ჰეთ-თრიკი შეუსრულა. და ის მეოთხე გოლიც, რომელიც **ფრანკ ბაუმანმა** საკუთარ კარში გაიტანა, ასევე ჰანკეს დამსახურებაა. *„ბავშვობაში ერთ თამაშში 10 გოლიც გამიტანია, მაგრამ ბუნდესლიგაში ჰეთ-თრიკი დღემდე შესრულებული არ მქონდა და ძალიან მიხარია, რომ დღეს პირველად გავიტანე 3 გოლი,“* – განაცხადა ჰანკემ.

გადავინაცვლოთ ფრანკფურტში, სადაც „აინტრახტი“ „შალკეს“ დაუზავდა (2:2). ეს იყო არა მარტო ამ ტურის, არამედ მთლიანად პირველი წრის ყველაზე ემოციური მატჩი. მატჩის მიწურულს გელზენკირხენელებმა ნერვები ველარ მოთოკეს და თამაშიც უმართავი გახდა. 86-ე წუთი: „აინტრახტი“ 2:1-ს იგებს. შალკელი **ფაბიან ერნსტი** „აინტრახტის“ ფორვარდ **მიხაელ თურკთან** მიიჭრა და მინდორზე დასცა. ამ ფაქტს, ცხადია, შეხლა-შემოხლა მოჰყვა, მაგრამ არავინ იცის, რა ესაქმებოდა „შალკეს“ სათადარიგო ფეხბურთელ **კარლოს გროსმიულერს** მოვლენების ეპიცენტრში – ურუგვაელმა თურკს უთავაზა და გასახდელისკენ გაიქცა. გროსმიულერი ჩადენილი დანაშაულის შემდეგ ისე მალე განერიდა იქაურობას, რომ მსაჯმა მისთვის წითელი ბარათის მიცემა ვერ მოასწრო (?!) და ის, რომ გროსმიულერი გაძევებულია და დისკვალიფიკაცია მიესჯება, არბიტრმა ურუგვაელ ნახევარმცველთან „შალკეს“ კაპიტან **მარსლო ბორდონს** დააბარა. კურიოზია ისიც, რომ ჩხუბის შემდეგ „შალკემ“ ანგარიში მაინც გაათანაბრა, რასაც ნამდვილად არ იმსახურებდა. განა ის კი ნორმალურია, რომ ცენტრალურმა მცველმა **ჰაიკო ვესტერმანმა** დუბლი შეასრულა? მაგრამ „შალკეს“ თავკაც **სლომკასთვის** ფრეც მიულებელი შედეგია – მირკო ამბობდა, შობამდე ყველა თამაში უნდა მოვიგოთ, რათა ჩემპიონთა ლიგის საგზური თვალთახედვის არედან არ დაგვეკარგოსო. ხვალ **კობიაშვილის** გუნდს ჩემპიონთა ლიგაში, „რუსენბორგთან“ გადამწყვეტი მატჩი აქვს.

**ფელიქს მაგათის** ცვლილებამ არ გაამართლა, „ვოლფსბურგმა“ ისევ ვერ მოიგო – „მგლებს“ მეკარის შეცვლამ არ უშველა. **ანდრე ლენცი** ვერაფერი ხვითო გამოდგა და თავისიანები ვერ გადაარჩინა: „მგლები“ „შტუტგარტთან“ 1:3 დამარცხდნენ. „ბოხუმმა“ კი „კარლსრუეს“ წაართვა ქულა (2:2). გუშინ ლევერკუზენის „ბაიერმა“ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ეს გუნდი ამ სეზონში სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს – „ფარმაცევტებმა“ ამჯერად „ჰანზა“ გაანადგურეს (3:0). „ნიურნბერგმა“ კი გასავარდნ ზონას თავი დააღწია, დაამარცხა რა ბერლინის „ჰერტა“ (2:1).

### მომდევნო ტური

14 დეკემბერი. **კოტბუსი-ჰანოვერი.** 15 დეკემბერი. **შალკე-ნიურნბერგი, ვერდერი-ლევერკუზენი, ჰერტა-ბაიერნი, არმინია-შტუტგარტი, ვოლფსბურგი-ბორუსია (დ), კარლსრუე-ჰამბურგი.** 16 დეკემბერი. **ჰანზა-ბოხუმი, დუისბურგი-აინტრახტი.**




მაიკ ჰანკემ ვერდერს ფაქტობრივად მარტომ მოუგო!

### ბორუსია (დ)-არმინია 6:1

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-4.5, ბლაშჩიკოვსკი-3, ამედიკი-3.5, კოვაჩი-3.5, დედე-2.5, კელი-2.5 (74. კრუსკა), კრინგე-2, ტინგა-2 (78. ბაკლი), ფედერიკო-2.5, ვალდესი-4 (78. კლიმოვიჩი), პეტრიჩი-1.5.

**არმინია:** ფერნანდესი-4, კორზინიტცი-6, ბოლმანი-5.5, გაბრიელი-6, შულერი-6, კაუფი-5, ზუმა-5.5 (61. კამპანტაისი-4.5), კირხი-5, ტ. მარქსი-5.5 (58. ფერზიკი-5), კამპერი-5.5, ვიხნიარეკი-5.

**გოლები:** 1:0 ტინგა (13), 2:0 შულერი (19-საკ. კარში), 3:0 პეტრიჩი (47), 4:0 ვალდესი (55-პენ), 5:0 კრინგე (61), 6:0 ფედერიკო (67), 6:1 კირხი (81).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 17-3; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 18-10; **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 78 500.

### შტუტგარტი-ვოლფსბურგი 3:1

**შტუტგარტი:** რ. შეფერი-2, ოსორიო-3, მეირა-2.5, დელპიერი-4, მანინი-5, პარდო-2.5, ჰილბერტი-4 (73. ევერტონი), ჰიტცლშპერგერი-3, ბაშთურქი-3.5, მარიკა-2.5 (89. მაისნერი), კაკაუ-3 (59. ბოკა-3).

**ვოლფსბურგი:** ლენცი-4, ბაიერი-5.5 (84. რიტერი), შიმუნეკი-4, მადლუნგი-4, კარიმოვი-4, რიკარდო კოშტა-3, გენტნერი-2.5, ჟოსუე-3.5 (64. დეჟაგა-3), მარსელინიო-4, ჯეკო-3, გრაფიტე-4.5 (64. რადუ-4.5).

**გოლები:** 1:0 მარიკა (26), 2:0 კაკაუ ;48), 2:1 ჯეკო (51), 3:1 ჰიტცლშპერგერი (86).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 18-20; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 11-26; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 53 000.

### ჰამბურგი-კოტბუსი 0:0

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-3.5, დემელი-4, ბ. რაინჰარდტი-3.5, მატიისენი-3.5, ჯ. ბოატენგი-3 (80. ატუბა), დე იონგი-3, კომპანი-3, ტროხოვსკი-3 (65. კასტელენი-4), ვან დერ ვაარტი-4, ოლიჩი-5, გერერო-3 (77. ჩუპო-მოტინგი).

**კოტბუსი:** ტრემელი-1.5, ვ. და სილვა-3.5, მიტრესკი-3, კვიტაკოვიჩი-3.5, ციბიგი-2.5, ბასილა-3.5, ტ. როსტი-4, რივიჩი-3.5 (86. იპსა), სკელა-4.5, დ. სიორენსენი-3.5 (69. ალონეფტისი-4), რანგელოვი-5 (89. შაო).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 24-6; **კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 19-20; **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 56 132.

### ბაიერნი-დუისბურგი 0:0

**ბაიერნი:** კანი-3.5, ლელი-4 (71. სანიოლი), ვან ბუიტენი-3, დემიკელისი-2.5, ლამი-3.5, ვან ბომელი-4.5, ზე რობერტო-4 (71. შვაინშტაიგერი), სოსა-5, რიბერი-3, კლოზე-5, ტონი-4.5 (76. პოდოლსკი).

**დუისბურგი:** შტარკე-2, ვებერი-3, როკე ჟუნიორი-3.5 (76. ფილიპესკუ), შლიკე-3.5 (49. ფერნანდო-3.5), ვილი-3.5 (37. ლამეი-4), გრლიჩი-3, ტარარაჩე-3, ი. მოხტარი-4.5, გეორგიევი-3.5, იდრისუ-5, ლავრიჩი-4.

**გაძევება:** იდრისუ (80. დუისბურგი).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 22-8; **კუთხური:** 13-5; **ჯარიმა:** 13-25; **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 69 000.

### აინტრახტი-შალკე 2:2

**აინტრახტი:** პრიოლი-3, ჰ. ოხსი-3, გალინდო-3.5, კირიაკოსი-3, შპიხერი-3, რუსი-3, მ. ფინკი-3.5, კიოლერი-4, მაჰდავიკია-4 (83. თურკი), ტოსკი-3.5 (72. ვაისენბერგერი), ამანატიდისი-2.

**შალკე:** ნოიერი-4.5, რაფინია-3, ბორდონი-3, კრსტაიჩი-3.5, ვესტერმანი-2.5, ჯონსი-3.5, ფ. ერნსტი-4, რაკიტიჩი-4.5 (64. ლოვენკრანდსი-4), იოზილი-3.5 (92. ბაირამოვიჩი), კურანი-4, ჰალილ ალთინთოფი-5 (46. ასამოა-5).

**გოლები:** 1:0 ტოსკი (49), 1:1 ვესტერმანი (77), 2:1 ამანატიდისი (82), 2:2 ვესტერმანი (89).

**გაძევება:** გროსმიულერი (87. შალკეს სათადარიგოთა სკამიდან).

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 16-15; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 24-16; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 51 500.

### ჰანოვერი-ვერდერი 4:3

**ჰანოვერი:** ენკე-3, ჩერუნდოლო-3.5, ვინიციუსი-5, კლაინე-4.5, ტარნატი-1.5, ბალიტში-2.5 (72. როზენტალი), კ. შულცი-3.5, კრებსი-3.5 (69. შტაინერი-4), ს. პინტუ-3.5 (84. ჰაშემიანი), ჰუშტი-3.5, ჰანკე-1.

**ვერდერი:** ვიზე-4.5, პასანენი-4, მერტეზაკერი-5 (46. ჰანტი-3), ნალდო-3, ტოშიჩი-3.5, ბაუმანი-5, ვრანიეში-4 (79. ბოროვსკი), დ. იენსენი-2.5, დიეგო-3, როზენბერგი-1, სანოგო-3.5 (80. უგო ალმეიდა).

**გაძევება:** უგო ალმეიდა (93. ვერდერი).

**გოლები:** 0:1 როზენბერგი (10), 1:1 ჰანკე (12), 2:1 ბაუმანი (20-საკ. კარში), 3:1 ჰანკე (21), 3:2 დიეგო (41-პენ), 3:3 როზენბერგი (54), 4:3 ჰანკე (77).

**გაფრთხილება:** 2-6; **დარტყმა:** 7-16; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 27-25; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 49 000.

### ბოხუმი-კარლსრუე 2:2

**ბოხუმი:** რენო-4, კონჩა-4, მალტრიტცი-3.5 (60. დრშეკი-4), პფერტცელი-4, პ. ბიონიგი-4, იმჰოფი-3 (85. ჟდებელი), დაბროვსკი-4.5, ეპალე-3, დ. ფუხსი-3, სესტაკი-1.5, მიჩიელი-3.5 (81. ბეხმანი).

**კარლსრუე:** კორნეტცკი-3.5, ა. გიორლიტცი-3.5, ეგიმანი-2.5, ფრანცი-4, ბუკი-3.5, მუტცელი-4.5, პორცელო-4, ტიმი-3, ჰაინალი-4, იაშვილი-2.5, ფრაისი-3.

**გოლები:** 1:0 სესტაკი (18), 1:1 ჰაინალი (24), 1:2 ფრაისი (56), 2:2 სესტაკი (59).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 17-11; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 21-10; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 20 784.

### ლევერკუზენი-ჰანზა 3:0

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-2, შარპეი-2, მ. ფრიდრიხი-3.5, ჰაგი-3, გრეშკო-3.5, ზინკივიჩი-3, კასტრო-2 (84. ფატი), როლფესი-2.5, ფრაიერი-2, ბარნეტა-3 (80. დუმი), გეკასი-3 (74. ბულიკინი).

**ჰანზა:** ჰანელი-4.5, დ. ლანგენი-5.5 (76. ბიულოვი), სებასტიანი-4.5, ორესტესი-3.5, მ. შტაინი-4, რათგები-4, ბაინლიხი-4.5, კერნი-3.5, პირსი-4, ცეტკოვიჩი-4.5 (83. ბარტელსი), აგალი-6 (46. ჰენგე-4.5).

**გოლები:** 1:0 როლფესი (4), 2:0 ფრაიერი (55-პენ), 3:0 გეკასი (73).

**გაფრთხილება:** 0:2; **დარტყმა:** 17-6; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 16-2?; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 22 500.

### ნიურნბერგი-ჰერტა 2:1

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი-3.5, დ. რაინჰარდტი-4, ა. ვოლფი-2.5, გლაუბერი-3.5, ენგელჰარდტი-4 (79. რ. შმიდტი), გალაშეკი-3.5, კლუგე-4, ნ. ადლერი-4.5 (60. საენკო-3.5), მინტალი-3 (84. კრისტიანსენი), მისიმოვიჩი-2, ხარისტეასი-2.5.

**ჰერტა:** დრობნი-4, ა. ფრიდრიხი-3.5, ა. შმიდტი-5 (46. გრანი-4.5), ფონ ბერგენი-5, ფათი-4.5, დარდაი-4, შიმუნიჩი-4.5, ლუსტენბერგერი-3.5, ჟილბერტო-3.5 (73. ტრაორე), ანდრე ლიმა-5.5 (46. ოკორონკვო-4.5), პანტელიჩი-4.5.

**გოლები:** 1:0 ხარისტეასი (5), 2:0 მისიმოვიჩი (39), 2:1 ლუსტენბერგერი (65).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 14-8; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 13-13; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 41 490.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 16 | 10 | 5 | 1 | 31-8 | 35 |
| 2. ვერდერი | 16 | 10 | 3 | 3 | 37-22 | 33 |
| 3. ჰამბურგი | 16 | 9 | 4 | 3 | 23-12 | 31 |
| 4. ლევერკუზენი | 16 | 9 | 3 | 4 | 30-11 | 30 |
| 5. ჰანოვერი | 16 | 8 | 3 | 5 | 26-23 | 27 |
| 6. კარლსრუე | 16 | 8 | 3 | 5 | 18-20 | 27 |
| 7. შალკე | 16 | 6 | 8 | 2 | 24-16 | 26 |
| 8. შტუტგარტი | 16 | 8 | 1 | 7 | 24-23 | 25 |
| 9. ბორუსია (დ) | 16 | 6 | 3 | 7 | 26-26 | 21 |
| 10. აინტრახტი | 16 | 4 | 8 | 4 | 18-23 | 20 |
| 11. ბოხუმი | 16 | 5 | 4 | 7 | 25-25 | 19 |
| 12. ჰერტა | 16 | 6 | 1 | 9 | 19-24 | 19 |
| 13. ვოლფსბურგი | 16 | 4 | 5 | 7 | 26-30 | 17 |
| 14. ნიურნბერგი | 16 | 4 | 3 | 9 | 20-26 | 15 |
| 15. არმინია | 16 | 4 | 3 | 9 | 17-38 | 15 |
| 16. ჰანზა | 16 | 4 | 2 | 10 | 14-26 | 14 |
| 17. დუისბურგი | 16 | 4 | 1 | 11 | 14-25 | 13 |
| 18. კოტბუსი | 16 | 2 | 6 | 8 | 12-26 | 12 |

**ბომბარდირები:** 9 – ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), კლოზე (ბაიერნი), ტონი (ბაიერნი); 8 – სესტაკი (ბოხუმი), დიეგო (ვერდერი), პეტრიჩი (ბორუსია დ), ჰანკე (ჰანოვერი), გეკასი (ლევერკუზენი); 7 – პანტელიჩი (ჰერტა), უგო ალმეიდა (ვერდერი), სანოგო (ვერდერი), გომესი (შტუტგარტი); 6 – ვიხნიარეკი (არმინია), ოლიჩი (ჰამბურგი), ჰუშტი (ჰანოვერი), კურანი (შალკე).

### II ბუნდესლიგა

XVI ტური

**მაინცი-კიოლნი 1:0**

გოლი: 1:0 ჰოოგლანდი (59).

**ალემანია-ზტ. პაული 2:2**

გოლები: 0:1 მეგლე (15), 1:1 რეგეკამპფი (51), 2:1 კოლევი (64), 2:2 კურუ (69).

**აუე-კობლენცი 0:0**

**კაიზერსლაუტერნი-კარლ ცაისი 2:3**

გოლები: 1:0 იენდრიშეკი (19), 2:0 სიმპსონი (45+2), 2:1 ტორგელე (61), 2:2 ომოდიაგბე (73), 2:3 პეტერსენი (81).

**აუგსბურგი-ფიურტი 3:0**

გოლები: 1:0 ლედეზმა (29), 2:0 მიორლე (57), 3:0 ბ. კერნი (59).

გაძევება: ახენბახი (81. ფიურტი).

**პადერბორნი-ვეენი 1:1**

გოლები: 1:0 კოენი (21), 1:1 კიონიგი (73).

**ჰოფენჰაიმი-ოფენბახი 2:2**

გოლები: 1:0 ბა (40), 2:0 კოპადო (42), 2:1 ტოპმიოლერი (59), 2:2 ტიურკერი (91).

**ოსნაბრიუკი-მიუნხენი 3:0**

გოლები: 1:0 რაიხენბერგერი (9), 2:0 კიხონი (34-პენ), 3:0 რაიხენბერგერი (58).

**ფრაიბურგი-ბორუსია (მ) დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 15 | 9 | 5 | 1 | 32-16 | 32 |
| 2. მაინცი | 16 | 9 | 4 | 3 | 31-15 | 31 |
| 3. ფრაიბურგი | 15 | 8 | 5 | 2 | 24-15 | 29 |
| 4. კიოლნი | 16 | 8 | 3 | 5 | 30-22 | 27 |
| 5. ფიურტი | 16 | 7 | 5 | 4 | 25-20 | 26 |
| 6. მიუნხენი | 16 | 6 | 7 | 3 | 24-18 | 25 |
| 7. ვეენი | 16 | 5 | 7 | 4 | 24-24 | 22 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 16 | 5 | 7 | 4 | 23-23 | 22 |
| 9. კობლენცი | 16 | 5 | 6 | 5 | 21-25 | 21 |
| 10. ალემანია | 16 | 5 | 5 | 6 | 22-23 | 20 |
| 11. ზტ. პაული | 16 | 5 | 4 | 7 | 19-24 | 19 |
| 12. ოსნაბრიუკი | 16 | 5 | 4 | 7 | 22-29 | 19 |
| 13. აუგსბურგი | 16 | 4 | 5 | 7 | 21-27 | 17 |
| 14. ოფენბახი | 16 | 4 | 5 | 7 | 14-26 | 17 |
| 15. აუე | 16 | 4 | 4 | 8 | 21-25 | 16 |
| 16. კაიზერსლაუტ. | 16 | 3 | 6 | 7 | 16-19 | 15 |
| 17. კარლ ცაისი | 16 | 3 | 4 | 9 | 22-31 | 13 |
| 18. პადერბორნი | 16 | 1 | 8 | 7 | 9-18 | 11 |

**ბომბარდირები:** 14 – ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 9 – ბორხა (მაინცი), ფრინდი (ბორუსია მ), რაიხენბერგერი (ოსნაბრიუკი); 8 – რაიზინგერი (ფიურტი); 7 – გუნკელი (მაინცი), ნოივილი (ბორუსია მ), დი სალვო (მიუნხენი); 6 – კოპადო (ჰოფენჰაიმი), ჰელმესი (კიოლნი), გიოქთანი (კიოლნი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXI ტური

ჰამბურგი-ფერლი (გადაიდო); უნიონი-ალენი 4:4; ერფურტი-ბორუსია (დ) II 0:0; ბაბელსბერგი-ემდენი 1:1; ესსენი-დიუსელდორფი 0:0; ვერდერი II-ლიუბეკი 3:2; კოტბუსი II-მაგდებურგი 2:1; ბრაუნშვაიგი-ვოლფსბურგი II 3:1; ვუპერტალი-ობერჰაუზენი 2:0.

### რეგიონალლიგა (სამ)

XIX ტური

რეგენსბურგი-შტუტ. კიკერსი 1:1; ზიგენი-ფრანკფურტი 0:1; კარლსრუე II-აალენი 1:1; ინგოლშტადტი-ელვერსბერგი 1:1; პფულენდორფი-უნტერჰახინგი 2:1; ზანდჰაუზენი-ბურგჰაუზენი 3:0; ბაიერნი II-მიუნხენი II 1:0; შტუტგარტი II-ოგერსჰაიმი 2:0.

ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტური

# ორი სენსაცია

## არსენალი და ლივერპული ადვილ მატჩებში უქულოდ დარჩნენ...

„მიდლსბრომ“ საჩემპიონო მარათონს ინტრიგა შემატა. „არსენალმა“ წაუგებელი სერია „რივერ საიდზე“ დაასრულა. მასპინძლებმა 11-მატჩიანი წაუგებელი სერია „მეთოფეებთან“ შეწყვიტეს. ეს ტურის ყველაზე ხმაურიანი სენსაცია იყო. **გარეთ საუთგეიტის** შეგირდებმა გასავარდნ ზონასაც დააღწიეს თავი, რითაც მწვრთნელს ამოსუნთქვის საშუალება მისცეს. საუთგეიტის პოზიციები საკმაოდ სუსტია. მისი გუნდი პრემიერლიგაში დასარჩენად იბრძვის. მისთვის თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

„არსენალს“ მეორე ადგილოსანი მანჩესტერ იუნაიტედისაგან“ ერთი ქულალა ჰყოფს. მომდევნო ტურში „მეთოფეებს“ „ჩელსისთან“ დერბი აქვთ. ცხრილის სათავეში ბევრი რამ შეიძლება, შეიცვალოს. „მიდლსბროსთან“ მარცხმა „არსენალს“ გეგმები აურია. 90-ე წუთზე ლონდონელებმა პრესტიჟის გოლი შეაგდეს. მათ პრემიერლიგის ყველა მატჩში მინიმუმ ერთი გოლი აქვთ გატანილი.

„ბოროსთან“ მატჩს ბევრი ფორმალობად მიიჩნევდა. ამ გუნდების ბოლო 12 შეხვედრიდან „არსენალს“ ცხრა მოგებული ჰქონდა და ორი - ფრედ დამთავრებული. მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. ბოლო ხუთი დღის განმავლობაში „მეთოფეებმა“ ინგლისის ჩრდილოეთში ორი მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვეს. ვგულისხმობთ, „ნიუკასლთან“ ოთხშაბათის გამოტოვებულ მატჩსაც, რომელიც ფრედ დასრულდა, 1:1. „არსენალს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მათ შორის, **ფრანსესკ ფაბრეგასი**. სტუმართა ნახევარდაცვას ესპანელის არყოფნა ძალიან ეტყობოდა.

„მიდლსბრომ“ თამაში აქტიურად დაიწყო და მე-3 წუთზე პენალტი დაიმსახურა. **გარი ონილმა** მეტოქის საჯარიმოში **ჟერემი ალიადიერისაკენ** ჩაჰკიდა ბურთი. **კოლო ტურემ** ყოფილი თანაგუნდელი არ დაინდო და მინდორზე დაანარცხა. არბიტრმა **ჰოვარდ ვებმა** მაშინვე ნიშნულისაკენ გაიშვირა ხელი. **სტიუარტ დაუნინგმა მანუელ ალმუნია** აუღელვებლად დაამწუხრა.

მომდევნო სახიფათო მდგომარეობა ისევ „არსენალის“ კართან შეიქმნა. **ვილიამ გალასმა** საჯარიმოდან ბურთის გატანა დააპირა, მაგრამ ის ალიადიერს მოარტყა. ახსლეტილი ბურთი ალმუნიას მიუგორდა. „მეთოფეებმა“ პირველი გააზრებული კომბინაცია 22-ე წუთზე გაითამაშეს. იერიში **ტომაშ როსიცკის** არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

შესვენებისას **ედუარდო ნიკლას ბენდტნერმა** შეცვალა. „არსენალმა“ თამაშში გარდატეხის შეტანა ვერ მოახერხა. ლონდონელები ხშირად ჯარიმდებოდნენ. ბურთს კი უმეტესად ისევ „მიდლსბრო“ აკონტროლებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მასპინძლებმა სტუმრები პასებშიც კი დაჯაბნეს. არადა, მოგეხსენებათ, მოკლე პასებით თამაში „არსენალის“ კოზირია. ვენგერმა თამაშში **დენილსონი** და **თეო უოლკოტი** ჩართო. მან თავდასხმა გააძლიერა. „მიდლსბრო“ კონტრშეტევებზე გადაერთო. 74-ე წუთზე მან მეორე გოლი გაიტანა. რივერსაიდელებმა კუთხური მოაწოდეს. „არსენალის“ მცველებს ბურთის გატანა გაუჭირდათ. ონილმა ახლო მანძილიდან დასცხო. ალმუნიამ მოიგერია. **თუნჯაი სანლიმ** დაამატა და ანგარიში ორამდე გაზარდა. ცნობისთვის, თურქმა ლეგიონერმა პირველი მიდლსბროული გოლი წინა ტურში შეაგდო. როსიცკის გოლი და საფინალო სასტვენი ერთი იყო. „არსენალი“ პირველად დამარცხდა...

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა, მაგრამ თამაში სულაც არ აღმოჩნდა ისეთი იოლი, როგორიც ანგარიშიდან შეიძლება ჩანდეს. მარადმწვანე **რაიან გიგზმა** „მენიუს“ მაისურით მე-100 გოლი გაიტანა. ის რეკორდს ვერ შესწვდება - „იუნაიტედის“ შემადგენლობაში ყველაზე მეტი, 199 გოლი სერ **ბობი ჩარლტონს** აქვს გატანილი - მაგრამ 100 გოლი ისტორიაში მოსახვედრად უკვე საკმარისია. „მანჩესტერ იუნაიტედის“ არსებობის განმავლობაში ასეთი შედეგისათვის მხოლოდ 11 ფეხბურთელს მიუღწევია. **კარლოს ტევესმა** დუბლი შეასრულა. ჰეთ თრიკსაც გაიფორმებდა, **კრისტიანო რონალდოს** მედიდურობა რომ არა. ბოლო წუთზე, „დერბის“ კარში პენალტი დაინიშნა. არგენტინელმა თანაგუნდელს სთხოვა, მე დავარტყამო. რონალდომ არ მოუსმინა, 11-მეტრიანი თვითონ გაიტანა და საამსეზონო აქტივი 14 გოლამდე აიყვანა. „დერბიმ“ მორიგი მატჩი წააგო დიდი ანგარიშით. წინა ტურებში, „ტოტენჰემმა“ მას ოთხი გოლი გაუტანა, „არსენალმა“ - ხუთი, ხოლო „ლივერპულმა“ - ექვსი. ოლდ ტრეფორდზე იმთავითვე დიდი ანგარიშის მოლოდინი იყო. საბოლოოდ მოლოდინი ახდა.

როგორც აღჩნიშნეთ, გიგზმა ისტორიული მნიშვნელობის გოლი გაიტანა. მის წარმატებას მაყურებელი დიდი ოვაციებით შეხვდა. მომდევნო შეტევისას **უეინ რუნის** მეორე გოლი გატანა შეეძლო. მან პასი გიგზისაგან მიიღო, მეკარე **ბაივოტერი** მოატყუა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. ტევესის გოლი რონალდოს საჯარიმოს მოჰყვა. მეკარის საჯარიმოში ჩაწოდებულმა ბურთმა „დერბის“ მცველები პანიკაში ჩააგდო. არგენტინელმა არეულობით ისარგებლა და ტაიმის ბოლო წუთზე მეორედ აილო ბაივოტერის კარი.

ტევესის მომდევნო გოლის თანაავტორი **ვეს ბრაუნი** იყო. მისი მანჩესტერული მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ბრაუნი ახალ კონტრაქტს არ აფორმებს. მას პირობები არ აკმაყოფილებს. მცველის აბარგებას უკვე იანვრის ტრანსფერებისას ელიან. მაგრამ სანამ ვესლის „იუნაიტედის“ მაისურა აცვია, გუნდის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მონდომებული წევრია. **გარი ნევილის** არყოფნაში ის მარჯვენა ფლანგზე თამაშობს და საკმაოდ შთამბეჭდავადაც. **პოლ ჯუელის** შეგირდებმა დანებება არ ისურვეს. 76-ე წუთზე ჰოვარდმა პრესტიჟის გოლი გაიტანა...

**ანდრეი შევჩენკომ** ძირითადში დაბრუნება გოლით აღნიშნა (მეორე გოლი პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში). თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე **დიდიე დროგბას** მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. მისი ადგილი უკრაინელს ერგო. მიმდინარე სეზონში შევამ ძირითადში მხოლოდ მეხუთედ ითამაშა. დროგბამ შვებულება გამოიწერა. გამოჯანმრთელების შემდეგ ის აფრიკის თასზე უნდა გაემგზავროს. შევჩენკოს ძირითადში კიდევ არა ერთხელ ვიხილავთ. უნდა ვივარაუდოთ, რომ სპეკულაციები მისი მოსალოდნელი აბარგების შესახებ არ დადასტურდება. უფრო სავარაუდოა, რომ შევჩენკო სეზონს ლონდონში ჩაამთავრებს. მეორე გოლი **ფრენკ ლემპარდმა** პენალტით გაიტანა. 11-მეტრიანი ალექსის წაქცევისათვის დაინიშნა. დენი ჰიგინბოთემი მეტოქის მცველს ოდნავ მიაწვა, ბრაზილიელი კი ისე წაიქცა, რომ მსაჯს პენალტის დანიშვნაზე ბევრი არ ეფიქრა. „სანდერლენდმა“ მთელი თამაშის განმავლობაში ერთი ხეირიანი იერიშიც კი ვერ განახორციელა. თამაშის მიწურულს კი რიცხოვრივ უმცირესობაშიც დარჩა. **კლაუდიო პისაროსთან** უხეშობისათვის **ლაიამ მილერს** წითელი ბარათი აუფრიალეს...

ტურის მეორე სენსაცია იყო „ლივერპულის“ მარცხი „რედინგთან“. არბიტრმა **ანდრე მარინერმა** უხეში შეცდომები დაუშვა. მან მასპინძლებს პენალტი აჩუქა, სტუმრებს კი სამ, ბევრად უფრო აშკარა 11-მეტრიანზე უთხრა უარი. ანგარიში მე-17 წუთზე გაიხსნა. **ჯეიმი კარაგერმა ბრინიარ გუნარსონი** წააქცია. ლივერპულელმა მცველმა საჯარიმოს გარეთ იუხეშა. მარინერმა კი პენალტის ნიშნულისაკენ გაიშვირა ხელი. **ჰანტმა** ზუსტად დაარტყა, 1:0. 28-ე წუთზე **სტივ ჯერარდმა** მეტოქის მცველთა შეცდომით ისარგებლა და წონასწორობა აღადგინა. რამდენიმე წუთში „ლივერპულს“ მეორე გოლის გატანა შეეძლო. **ინგიმარსონმა** საკუთარ საჯარიმოსთან ბურთი ჯერარდს ჩააბარა. სტუმართა კაპიტანმა **ფერნანდო ტორესს** გაუკეთა პასი. ესპანელი საჯარიმოში შეიჭრა, მას **სონკო** ჩაუხტა ფეხებში და წააქცია. მსაჯმა კი თამაში არ გააჩერა. შესვენებამდე სონკოს კიდევ ერთი უხეშობა შერჩა. ამჯერად, მომო სისოკოს წინააღმდეგ. შესვენების შემდეგ იმავე სონკომ ტორესს გამოსდო ფეხი. ვიდეოჩანაწერში ნათლდა ჩანდა, რომ სამივე ეპიზოდში თავისუფად შეიძლებოდა 11-მეტრიანის დანიშვნა. მაგრამ მსაჯის სასტვენი ჯიუტად დუმდა. ლივერპულელი ფეხბურთელები აღშფოთებას ვერ მალავდნენ. ამას მოჰყვა შვიდწუთიანი მონაკვეთი, როცა „რედინგმა“ „ლივერპული“ ორჯერ დაამწუხრა. გოლები გაიტანეს **დოილმა** და **ჰარპერმა**. მერსისაიდელებს შეუძლიათ, არბიტრის უსამართლობაზე გაუთავებლად ისაუბრონ, მაგრამ ფაქტი ერთია: ისინი ვერც ამ სეზონში მოახერხებენ გაჩემპიონებას...

„პორტსმუთმა“ ვილა პარკზე 37-წლიანი ლოდინის შემდეგ გაიმარჯვა. **ჰარი რედნაპის** შეგირდებმა სტუმრად ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგეს. მათი წაუგებელი სერია უკვე 11 თამაშს მოიცავს. ევერტონელმა **იაკუბუმ** „ფულჰემთან“ ჰეთ თრიკი შეასრულა (მე-9 გოლი ამ სეზონში). „ევერტონის“ ფეხბურთელს უკანასკნელი ჰეთ თრიკი ხუთი წლის წინ, „ლიდსთან“ შეხვედრაში ჰქონდა გატანილი. „ნიუკასლმა“ შვიდმატჩიანი ლოდინის შემდეგ გაიმარჯვა. **სემ ედარდაისის** შეგირდებს 22 ოქტომბრის შემდეგ არ მოეგოთ. გუშინ კი „ბირმინგემი“ დაამარცხეს.




რედინგი-ლივერპული. იბრაჰიმა სონკომ ფერნანდო ტორესი ორჯერ წააქცია, მაგრამ ორჯერვე გადაურჩა პენალტს

### მომდევნო ტური

15 დეკემბერი. **არსენალი-ჩელსი, ბირმინგემი-რედინგი, დერბი-მიდლსბრო, ფულჰემი-ნიუკასლი, ლივერპული-მანჩესტერ იუნ, მანჩესტერ სიტი-ბოლტონი, პორტსმუთი-ტოტენჰემი, სანდერლენდი-ასტონ ვილა, ვესტ ჰემი-ევერტონი, ვიგანი-ბლექბერნი.**

### ასტონ ვილა-პორტსმუთი 1:3

**ვილა:** კარსონი, ბუმა (54. ბერგერი), ნაიტი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, გარდნერი (70. ჰერვუდი), რეო-კოკერი, აგბონლაორი, ქერიუ, იანგი.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, სოლ კემპბელი, დესტენი, გლენ ჯონსონი, პამარო, დიოპი, კრანჩარი (88. ტეილორი), მუნტარი, პედრო მენდესი, უტაკა (64. კანუ), მვარუვარი.

**გოლები:** 0:1 კრეიგ გარდნერი (10-საკ.კარში), 0:2 მუნტარი (40), 0:3 მუნტარი (61), 1:3 ბერი (72-პენ).

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 15(6)-14(8); **ჯარიმა:** 18-23; **კუთხური:** 8-5; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 35 790

### ჩელსი-სანდერლენდი 2:0

**ჩელსი:** კუდიჩინი, ალექსი, ბელეტი, ეშლი კოული, ტერი, ჯო კოული (85. სიდველი), ლემპარდი, ობი მიკელი, რაიტ-ფილიპსი, კალუ (66. პისარო), შევჩენკო.

**სანდერლენდი:** ვორდი, კოლინზი, ჰელფორდი, ჰიგინბოთემი, მაკშეინი, ეტუჰუ, ლიდბიტერი (70. სტოუკსი), მილერი, უოლესი, უაითჰედი, ჯოუნსი (67. დერილ მერფი).

**გაძევება:** მილერი (88. სანდერლენდი)

**გოლები:** 1:0 შევჩენკო (23), 2:0 ლემპარდი (75-პენ).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 12(4)-9(2); **ჯარიმა:** 6-12; **კუთხური:** 10-2; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 41 707

### ევერტონი-ფულჰემი 3:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, ბაინესი (23. ჟაგიელკა), ლესკოტი, ფილ ნევილი, იობო, არტეტა, კაჰილი (82. ჯონსონი), კარსლი, ოსმანი, პიენაარი, იაკუბუ (82. მაკფადენი).

**ფულჰემი:** ნიემი, ჰიუზი, კონჩესკი, ომოზუსი, სტეფანოვიჩი, საიმონ დეივისი, სტივ დევისი, დემპსი (64. ჰილი), დენი მერფი (74. კი ჰიეონი), დიომანსი კამარა, კუკი.

**გოლები:** 1:0 იაკუბუ (51), 2:0 იაკუბუ (61), 3:0 იაკუბუ (79).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 15(11)-6(4); **ჯარიმა:** 9-9; **კუთხური:** 12-7; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 32 703

### მანჩესტერ იუნ.-დერბი 4:1

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, დრაუნი, ევრა, რიო ფერდინანდი (71. ოში), ვიდიჩი, ანდერსონი (62. ფლეტჩერი), ქერიკი, გიგზი (64. საა), რონალდო, რუნი, ტევესი.

**დერბი:** ბაივოტერი, კლოდ დევისი, გრიფინი, ლიკოკი, მაკევილი (46. ჰოვარდი), მური, ბარნესი (61. ტილი), ოუკლი, პერსონი, ფეგანი (46. მიერსი), კენი მილერი.

**გოლები:** 1:0 გიგზი (40), 2:0 ტევესი (45), 3:0 ტევესი (60), 3:1 ჰოვარდი (76), 4:1 კრისტიანო რონალდო (90-პენ).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 25(12)-11(6); **ჯარიმა:** 12-12; **კუთხური:** 9-3; **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 75 725

### ნიუკასლი-ბირმინგემი 2:1

**ნიუკასლი:** გივენი, ბეიე, როზენალი, სტივ ტეილორი, ბარტონი, ბატი (31. ვიდუკა), ჯერემი (72. ემრე), მილნერი, ნზოგბია, მარტინსი (90. ხოსე ენრიკე), სმიტი.

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, კელი, რიჯველი, სედლერი, შმიტცი, დე რიდერი (76. ფორსელი), ლარსონი, მაკშეფრი (62. კაპო), მუამბა, ნაფტი, ჯერომი.

**გოლები:** 0:1 ჯერომი (9), 1:1 მარტინსი (37-პენ), 2:1 ბეიე (90).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 18(9)-7(4); **ჯარიმა:** 10-8; **კუთხური:** 6-5; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 49 948

### რედინგი-ლივერპული 3:1

**რედინგი:** ჰანემანი, ინგიმარსონი, მერტი (90. სისე), შორი, სონკო (81. ბიკეი), კონვეი (88. ლიტა), გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი, დოილი, კიტსონი.

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი (82. ჰიიპია), ჰობსი, ჯერარდი (71. ბაბელი), მასკერანო, რიისე, სისოკო, კრაუჩი, ტორესი (61. კიუელი), ვორონინი.

**გოლები:** 1:0 ჰანტი (17-პენ), 1:1 ჯერარდი (28), 2:1 დოილი (60), 3:1 ჰარპერი (67).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 8(4)-15(5); **ჯარიმა:** 10-10; **კუთხური:** 7-7; **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 24 022

### მიდლსბრო-არსენალი 2:1

**მიდლსბრო:** ტერნბული, როგატეცი, ვიტერი, ვუდგეიტი (73. ჰუთი), იანგი, ბოატენგი, დაუნინგი, ონილი, როშემბაკი, ალიადიერი (81. არკა), თუნჯაი (90. ჯონსონი).

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, ებუე (61. უოლკოტი), გალასი, სანია, კოლო ტურე, ჟილბერტო სილვა, ლასანა დიარა (60. დენილსონი), როსიცკი, ადებაიორი, ედუარდო (46. ბენდტნერი).

**გოლები:** 1:0 დაუნინგში (4-პენ), 2:0 თუნჯაი (74), 2:1 როსიცკი (90).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 15(7)-7(4); **ჯარიმა:** 15-13; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 26 428

### ბოლტონი-ვიგანი 4:1

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ობრაიენი, კამპო (90. სპიდი), გარდნერი, გუტრი, ნოლანი (90. იანაკოპულოსი), ანელკა, კევინ დევისი, დიუფი (77. მაკენი).

**ვიგანი:** კერკლადი, ბოისი, ბრემბლი, გრანკვისტი, შარნერი, კილბეინი, კუმასი, ლანდზაატი, ვალენსია, მარკუს ბენტი, ჰესკი (72. ბრაუნი).

**გოლები:** 1:0 შარნერი (3-საკ.კარში), 1:1 ლანდზაატი (14), 2:1 ნოლანი (37), 3:1 კევინ დევისი (70), 4:1 ანელკა (89).

*24-ე წუთზე ანელკამ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 8(6)-13(7); **ჯარიმა:** 13-11; **კუთხური:** 5-11; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 309

### ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი 2:1

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, დოსონი, კაბული, ლი, ჯენასი, ლენონი (67. ბოატენგი), მალბრანკი, ზოკორა, დარენ ბენტი (77. დეფო), ბერბატოვი (90. ტაინიო).

**სიტი:** ისაკსონი, კორლუკა, დანი, გარიდო, რიჩარდსი, უელსონი, ირლანდი, ჯონსონი, მარტინ პეტროვი, ეტუჰუ (58. ბიანკი), ვასელი (84. ჯოვანი).

**გოლები:** 1:0 შიმბონდა (45), 1:1 ბიანკი (61), 2:1 დეფო (83).

**გაძევება:** ირლანდი (82. სიტი)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 12(8)-8(3); **ჯარიმა:** 7-13; **კუთხური:** 2-6; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 35 646

### ბლექბერნი-ვესტ ჰემი 0:1

**ბლექბერნი:** ფრიდელი, მოკოენა (46. სევიჯი), ოოიერი, სამა, უორნოკი, დანი (70. რიდი), ემერტონი, თუგაი, პედერსენი (76. რობერტსი), მაკარტი, სანტა კრუსი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, გეწილინი, მაკარტნი, ნილი, აპსონი, ეთერინგტონი (46. ეშტონი), მულინსი, პარკერი, სოლანო (76. სპექტორი), ბოა მორტე, ბოლტონ კოული (88. ანრი კამარა).

**გოლი:** 0:1 ეშტონი (52)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 15(7)-11(5); **ჯარიმა:** 15-17; **კუთხური:** 9-5; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 20 807

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 16 | 11 | 4 | 1 | 33-14 | 37 |
| 2. მანჩესტერ იუნ | 16 | 11 | 3 | 2 | 29-8 | 36 |
| 3. ჩელსი | 16 | 10 | 4 | 2 | 24-9 | 34 |
| 4. ლივერპული | 15 | 8 | 6 | 1 | 27-9 | 30 |
| 5. პორტსმუთი | 16 | 8 | 6 | 2 | 28-14 | 30 |
| 6. მანჩესტერ ს | 16 | 9 | 3 | 4 | 20-17 | 30 |
| 7. ევერტონი | 16 | 8 | 3 | 5 | 29-16 | 27 |
| 8. ასტონ ვილა | 16 | 8 | 3 | 5 | 27-19 | 27 |
| 9. ბლექბერნი | 16 | 7 | 5 | 4 | 20-19 | 26 |
| 10. ვესტ ჰემი | 15 | 6 | 4 | 5 | 20-12 | 22 |
| 11. ნიუკასლი | 16 | 6 | 4 | 6 | 23-26 | 22 |
| 12. რედინგი | 16 | 5 | 2 | 9 | 21-33 | 17 |
| 13. ტოტენჰემი | 16 | 3 | 6 | 7 | 28-29 | 15 |
| 14. ბოლტონი | 16 | 3 | 5 | 8 | 16-23 | 14 |
| 15. ბირმინგემი | 16 | 4 | 2 | 10 | 17-26 | 14 |
| 16. მიდლსბრო | 16 | 3 | 5 | 8 | 15-28 | 14 |
| 17. ფულჰემი | 16 | 2 | 7 | 7 | 18-27 | 13 |
| 18. სანდერლენდი | 16 | 3 | 4 | 9 | 15-31 | 13 |
| 19. ვიგანი | 16 | 2 | 3 | 11 | 12-30 | 9 |
| 20. დერბი | 16 | 1 | 3 | 12 | 6-38 | 6 |

**ბომბარდირები:** 9 - რონალდო (მანჩესტერ იუნ), ადებაიორი (არსენალი); 7 - ბენჯანი (პორტსმუთი), ანელკა (ბოლტონი), კინი (ტოტენჰემი), აიეგბენი (ევერტონი); 6 - ფაბრეგასი (არსენალი), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), ჯერარდი (ლივერპული), ტევესი (მანჩესტერ იუნ), მარტინსი (ნიუკასლი).

### ჩემპიონშიპი

XXI ტური

**ბარნსლი-კრ. პალასი 0:0**

**კარდიფი-კოლჩესტერი 4:1**

გოლები: 0:1 ჯექსონი (45), 1:1 ტომპსონი (52), 2:1 უიტინგემი (57), 3:1 ჰასელბანკი (66), 4:1 ვირგო (70-საკ. კარში)

**ჩარლტონი-იფსვიჩი 3:1**

გოლები: 1:0 ემბროუზი (5), 2:0 ივეალომუ (30), 3:0 ემბროუზი (39), 3:1 კუნაგო (70)

**ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი 1:2**

გოლები: 0:1 გერა (31), 1:1 ჰუმი (75), 1:2 ბიტი (88)

**ნორვიჩი-შეფილდი 1:0**

გოლი: 1:0 ევანსი (10)

**პლიმუტი-ბრისტოლი 1:1**

გოლები: 1:0 ებენქ-ბლეიკი (23-პენ), 1:1 ტიმარი (71-საკ. კარში)

**პრესტონი-ბლეკპული 0:1**

გოლი: 0:1 ჰულეჰენი (68)

**სკანთორპი-ქუინზ პარკი 2:2**

გოლები: 0:1 ბუაკი (12), 1:1 პატერსონი (24), 1:2 ბუაკი (42), 2:2 ფორტი (55)

**უენსლი-კოვენთრი 0:0 შეწყდა**

**საუთჰემპტონი-ჰალი 4:0**

გოლები: 1:0 ბ. რაიტ-ფილიპსი (43), 2:0 შ. ჯონი (58), 3:0 შ. ჯონი (76), 4:0 შ. ჯონი (78)

**ვულვზი-ბარნლი 2:3**

გოლები: 0:1 ბლეიკი (20), 1:1 გიბსონი (24), 1:2 ლაფერტი (30), 1:3 უორდი (42-საკ. კარში), 2:3 ელიოტი (60-პენ)

**სტოკი-უოტფორდი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უოტფორდი | 21 | 12 | 4 | 5 | 36-27 | 40 |
| 2. ვესტ ბრომვიჩი | 21 | 11 | 5 | 5 | 42-23 | 38 |
| 3. ჩარლტონი | 21 | 11 | 4 | 6 | 30-22 | 37 |
| 4. ბრისტოლი | 21 | 9 | 8 | 4 | 26-24 | 35 |
| 5. სტოკი | 21 | 9 | 7 | 5 | 30-24 | 34 |
| 6. ვულვზი | 21 | 9 | 6 | 6 | 22-19 | 33 |
| 7. ბარნლი | 20 | 8 | 8 | 4 | 30-25 | 32 |
| 8. პლიმუტი | 21 | 8 | 7 | 6 | 29-23 | 31 |
| 9. ბარნსლი | 21 | 8 | 7 | 6 | 24-25 | 31 |
| 10. საუთჰემპტონი | 21 | 9 | 3 | 9 | 31-36 | 30 |
| 11. იფსვიჩი | 20 | 8 | 5 | 7 | 34-28 | 29 |
| 12. ქოვენთრი | 20 | 8 | 4 | 8 | 25-30 | 28 |
| 13. შეფილდი | 21 | 7 | 6 | 8 | 27-27 | 27 |
| 14. ჰალი | 21 | 7 | 6 | 8 | 25-27 | 27 |
| 15. კრ. პალასი | 21 | 5 | 10 | 6 | 23-24 | 25 |
| 16. უენსლი | 20 | 7 | 3 | 10 | 24-27 | 24 |
| 17. კარდიფი | 20 | 5 | 8 | 7 | 26-28 | 23 |
| 18. ბლეკპული | 20 | 5 | 8 | 7 | 22-26 | 23 |
| 19. სკანთორფი | 21 | 5 | 8 | 8 | 23-29 | 23 |
| 20. ლესტერი | 20 | 4 | 10 | 6 | 19-17 | 22 |
| 21. ნორვიჩი | 21 | 6 | 3 | 12 | 19-30 | 21 |
| 22. კოლჩესტერი | 21 | 4 | 8 | 9 | 33-38 | 20 |
| 23. პრესტონი | 21 | 4 | 6 | 11 | 19-26 | 18 |
| 24. ქუინზ პარკი | 20 | 3 | 8 | 9 | 18-32 | 17 |

**ბომბარდირები:** 12 - ბიტი (შეფილდი); 11 - გრეი (ბარნლი); 10 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი), კინგი (უოტფორდი); 9 - მიფსუდი (ქოვენთრი), შტერნ ჯონი (საუთჰემპტონი), ჰენდერსონი (უოტფორდი); 8 - ჰოვარდი (ბარნსლი), ებენქს-ბლეიკი (პლიმუტი), კუნაგო (იფსვიჩი), ივეალუმო (ჩარლტონი), მორისონი (კრ. პალასი), უოლტერსი (იფსვიჩი).

### I დივიზიონი

XIX ტური

**ბრაიტონი-ნოტინგემი 0:2; როვერსი-სუონსი გადაიდო; ქრიუ-უოლსოლი 0:0; ჯილინგემი-პორტ ვეილი 1:2; ლიდსი-ჰადერსფილდი 4:0; ლეიტონი-ჩელტენემი 2:0; ლუტონი-მილუოლი გადაიდო; ნორთჰემპტონი-კარლაილი 2:2; ოლდჰემი-დონკასტერი 1:1; საუთენდი-სუინდონი 2:1; ტრანმერი-ბორნმუთი 3:1; იეოვილი-ჰარტლპული 3:1.**

### II დივიზიონი

XIX ტური

**ბარნეტი-მაკლსფილდი 2:2; ბრენტფორდი-გრიმსბი 0:1; ჩესტერი-პიტერბრო 1:2; ჩესტერფილდი-ბრედფორდი 1:1; დაგენჰემი-რექსჰემი 3:0; ჰერეფორდი-ლინკოლნი 3:1; მილტონი-აკრინგტონი 5:0; მენსფილდი-ბერი გადაიდო; მორეკამბი-დარლინგტონი 0:0 შეწყდა; ნოტსი-შრიუსბერი 2:1; როტერჰემი-როჩდეილი 2:4; სტოკპორტი-უიკომბი 6:0.**

### კონფერენცია

XXII ტური

**ალდერშოტი-სტეფორდი 4:3; ბარტონი-ფორესტ გრინი 1:1; ქროული-გრეისი გადაიდო; დროილსდენი-რაშდენი 1:4; გრავესენდი-იორკი 1:2; ჰალიფაქსი-ექსეტერი 0:3; ჰისტონი-უოკინგი 0:1; ნორთვიჩი-ოქსფორდი 1:0; სტევენეიჯი-სალისბერი 3:1; ტორკი-ალტრინჩემი გადაიდო; უეიმაუთი-ფარსლი გადაიდო.**




ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XV ტური

# HALA MADRID!

## რეალი ზედიზედ სამი წელია ბილბაოს აოხრებს

„რეალის“ ფანტასტიკური თამაშის წყალობით შაბათს „სან მამესზე“ ძველი ლამაზი ფეხბურთი დაბრუნდა. სამეფო კლუბმა ბასკეთში მართლაც შესანიშნავად იასპარეზა და სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. „ბილბაო“ თავის მხრივ ძალიან ვაჟკაცურად და შეუპოვრად იბრძოდა, მაგრამ ძლევამოსილი მეტოქის დასამარცხებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. შაბათს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ **რუუდ ვან ნისტელროის** რთული სიტუაციებიდან მარტივი გამოსავლის მონახვის უბადლო უნარი შესწევს. ჰოლანდიელმა ფორვარდმა „ბილბაოსთან“ მატჩში მორიგი ულამაზესი გოლით დაგვამახსოვრა თავი. აქვე **იკერ კასილიასის** დამაჯერებელ თამაშსაც უნდა გაესვას ხაზი. დედაქალაქელთა მეკარემ საკუთარი გუნდი რამდენიმე გოლისგან იხსნა. ამ ყველაფრის შედეგად „რეალმა“ „სან მამესზე“ ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო.

**ბერნდ შუსტერმა** ძირითადი შემადგენლობის დაკომპლექტებისას მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა. მან **ჟულიო ბაპტიშტას** წყალობის თვალით გადახედა და შეუცვლელად ათამაშა. ბრაზილიელის გამოჩენა სიურპრიზი არავისთვის ყოფილა, რადგან „რეალის“ გერმანელმა დამრიგებელმა ერთ-ერთ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე პირდაპირ განაცხადა, ბაპტიშტა იმდენად კარგ ფორმაშია, რომ ძირითადში დაყენებას იმსახურებსო. ჟულიო მოედანზე **გუტის** ნაცვლად გავიდა. წინა ტურის დაპირისპირება ხოსე მარიამ დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. სასჯელი მხოლოდ ერთ შეხვედრაზე ვრცელდებოდა, მაგრამ შუსტერმა გუტი სათადარიგოთა სკამზე დასვა და როგორც გითხარით, ბაპტიშტაზე გააკეთა არჩევანი. გერმანელს ალბათ, არ უნანია, რადგან სამხრეთამერიკელმა მეტისმეტად სასარგებლო სამუშაო გასწია.

პირველი საგოლე მომენტი მერვე წუთზე შეიქმნა. **კანავაროს** შეცდომის გამო **დავიდ ლოპესი** კასილიასთან პირისპირ გავიდა, მაგრამ დუელი მეკარემ მოიგო. ბასკების ამ უმწვავეს გამოხდომას **რაულმა** და **რობინიომ** სახიფათო კომბინაციით უპასუხეს. მადრიდელებს **არანსუბიამ** აჯობა. **ვესლი სნაიდერი** უჩვეულოდ სუსტად თამაშობდა. ჰოლანდიელი ორთაბრძოლებს აგებდა და არაზუსტ გადაცემებს აკეთებდა. ის დიდების ბრძოლაში შემთხვევით მოხვედრილ პატარა ბავშვს ჰგავდა. მისგან განსხვავებით, კასილიასს კონცენტრაცია წამითაც არ დაუკარგავს. 30-ე წუთზე იკერმა **ფერნანდო ლორენტეს** ურთულესი თავური დარტყმა აუღო. ბასკები დიდ ხანს ვერ იჯერებდნენ, რომ სტუმართა მეკარემ ბურთი მოიგერია. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე **სერხიო რამოსმა** გოლი გაიტანა, მაგრამ **მედინა კანტლეხომ** თამაშგარე მდგომარეობის გამო ის სრულიად სამართლიანად გააუქმა.

მეორე ტაიმში თამაში უფრო სწრაფად და დინამიკურად წარიმართა. სტუმრებმა შეტევა გააძლიერეს და მალე სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. რაულისა და ვან ნისტელროის ეფექტური კომბინაცია ჰოლანდიელი ფორვარდის ლამაზი გოლით დასრულდა. როგორც შემდეგ გაირკვა, რუუდი გამარჯვების მომტანი ბურთის ავტორი გახდა.

ბერნდ შუსტერი სამი ქულითა და თამაშის ხარისხით ძალიან კმაყოფილი დარჩა: *„მიხარია, ვამაყობ და ბედნიერი ვარ, რომ შესანიშნავი გამარჯვება ვიზეიმეთ. „სან მამესზე“ სამი ქულის მოპოვება ნებისმიერი გუნდისთვის რთულია. მიუხედავად ამისა, დიდი ბრძოლისუნარიანობის ფასად მაქსიმუმი შევძელით. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ტანჯვის, თავგანწირვის, ბრძოლისა და ტკივილის გარეშე არაფერი მიიღწევა. მართლაც ძალიან მიხარია, რომ ჩემს გუნდს ეს ყველაფერი აღმოაჩნდა. ბიჭებს მადლობას მოვახსენებ. რა თქმა უნდა, იმ გულშემატკივრებსაც, რომლებიც ბილბაოში წამოგვყვნენ და გაგვამხნევეს.“*

„ლა რომარედაზე“ დაუვიწყარი ორთაბრძოლა გაიმართა. „ესპანიოლმა“ „სარაგოსასთან“ გასვლით შეხვედრაში ფაქტობრივად, მოგებული შეხვედრა ფრედ დაასრულა. გენიალური **დიეგო მილიტოსა** და შეცვლაზეშესული **რიკარდო ოლივეირას** მეცადინეობით არაგონელები გარდაუვალ მარცხს გადაურჩნენ. როცა ყველას მიერ ათვალწუნებულმა **ვიქტორ ფერნანდესმა კარლოს დიოგოს** ნაცვლად ოლივეირა გაიყვანა, სტადიონი სტვენით კინაღამ დაინგრა. გულშემატკივრებმა მთავარ მწვრთნელს ამით აგრძნობინეს, რომ შეცვლა ძალიან დაგვიანებული იყო, თუმცა თავად სენიორ ფერნანდესს სრულიად სხვა მოსაზრება გააჩნდა. აღმოჩნდა, რომ მან მართლაც იცოდა რას აკეთებდა. რიკარდომ მცირე დროში დუბლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ასისტენტობა მას მილიტომ გაუწია. დიეგომ შეხვედრის დებიუტში თავადაც შეაგდო და ანგარიში გახსნა, მაგრამ სულ რაღაც 10 წუთიან მონაკვეთში **ტამუდომ, ვალდომ** და **საბალეტამ** სამჯერ გაიტანეს და არაგონელები კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააგდეს. მეორე ნახევარში მასპინძლებს **პეტერ ლუქსენი** გაუძევეს. ერთი შეხედვით, ამით „სარაგოსას“ ყველა შანსი დასამარდა, მაგრამ რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ფერნანდესის ბიჭები სწორედ ლუქსენის გაძევების შემდეგ გამოცოცხლდნენ და სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში გვაჩვენეს. ძნელი სათქმელია, ეყოფა თუ არა ვიქტორ ფერნანდესს ერთი ქულა. წინა კვირაში ხელმძღვანელობამ მას ულტიმატუმი წაუყენა, თუ „ესპანიოლს“ არ დაამარცხებ, სამსახურს დაკარგავო... ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ „სარაგოსის“ შეფები.

ზუსტად ექვსი თვის წინ, ისევე როგორც ახლა **პაკო ჩაპარომ** განადგურებული „ბეტისი“ ჩაიბარა და პრიმერა დივიზიონში ადგილი შეუნარჩუნა. როგორც იცით, სენიორ ჩაპაროს ექტორ კუპერის პოსტი ჩააბარეს. სადებიუტო შეხვედრა წარმატებული გამოდგა. ანდალუსიელებმა „ვილიარეალს“ ურთულესი გასვლითი მატჩი მოუგეს. გასაოცარია, მაგრამ სენიორ პაკომ უმცირეს დროში დაცვის დაუჯერებლად გაძლიერება შეძლო. ყოველ შემთხვევაში, აშკარა გახლდათ, რომ უკანა ხაზი ძალიან გამართულად ასპარეზობდა. იგივეს თქმა შეიძლება **რიკარდოზეც**, პორტუგალიელმა მეკარემ არაერთი ურთულესი დარტყმა მოიგერია და საერთო საქმეში ლომის წილი შეიტანა. გამარჯვების გოლი კი **კაპის** ანგარიშზე ჩაიწერა. სხვათა შორის, ჩაპარომ კუპერისგან განსხვავებით ის ძირითადშიც დააყენა და მოქმედებისთვის სრული თავისუფლებაც მიანიჭა. შედეგი სახეზეა. სევილიელებმა ზედიზედ ორი წაგების შემდეგ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმეს. „ვილიარეალმა“ კი ზედიზედ მეორე მარცხი იგემა. მართლდება იმ სპეციალისტთა პროგნოზი, რომლებიც „ყვითლების“ აღმაფრენის დასრულებასა და მათ გუნდში კრიზისის ხანის დადგომას წინასწარმეტყველებდნენ.

ზედიზედ სამი მარცხისა და „ოსასუნასთან“ გადადებულ მატჩში მიღწეული ფრის შემდეგ „სევილიამ“ როგორც იქნა მოიგო. როგორც მოსალოდნელი იყო, ანდალუსიელებს „მურსიას“ დამარცხება არ გასჭირვებიათ. პრიმერას დებიუტანტებმა „სანჩეს პისხუანზე“ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე უსახური პაექრობა გამართეს.

„ატლეტიკოს“ შეჩერებას ველარავინ ახერხებს. მადრიდელებმა პრიმერა დივიზიონში ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს. თუ უეფას თასზე ჩატარებულ დაპირისპირებებსაც გავითვალისწინებთ, უნდა აღინიშნოს, რომ „როხიბლანკომ“ ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო. **ხავიერ აგირე** „ხეტაფეს“ დამარცხებით, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი დარჩა, თუმცა მექსიკელ სპეციალისტს მეტოქის დამსახურებებსა და საკუთარი შეგირდების მიერ დაშვებულ შეცდომებზეც არ დავიწყებია ხაზის გასმა.

### მომდევნო ტური

**15 დეკემბერი. ესპანიოლი-ლევანტე, ვალენსია-ბარსელონა; 16 დეკემბერი. ვალიადოლიდი-სევილია, ბეტისი-ალმერია, ხეტაფე-ვილიარეალი, დეპორტივო-სარაგოსა, მალიორკა-ბილბაო, მურსია-რასინგი, რეკრეატივო-ატლეტიკო, რეალი-ოსასუნა.**

### ოსასუნა-ვალენსია 0:0

**ოსასუნა:** რიკარდო, კრუჩაგა, მიგელ ფლანიო, კორალესი, ხავი გარსია, ასპილიკუეტა, პუნიალი, ველა, პლასილი (74. ხუანფრანი), ექტორ ფონტი (88. მარგარაისი), პორტილიო (61. დადი).

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, მორეტი, მარჩენა, ივან ელგერა (89. ედუ), სანი, ვისენტე (72. ხოაკინი), არისმენდი, სილვა, ვილია (73. მორიენტესი).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 18(5)-7(3); **კუთხური:** 1-4; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 21-17; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 26 000

### ბილბაო-რეალი 0:1

**ბილბაო:** ანასუბია, აიტორ ოსიო, ამორებიეტა, კოიკილი, უსტარიტსი (41. ორბაისი), ირაოლა, დავიდ ლოპესი, იესტე, ხავი მარტინესი (61. ადურისი), ეჩებერია (68. გაბილონდო), ლორენტე.

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო, ტორესი, ჟულიო ბაპტიშტა, დიარა, სნეიდერი (75. გახო), რაული, რობინიო (89. რობენი), ვან ნისტელროი (83. გუტი).

**გოლი:** 0:1 ვან ნისტელროი (54)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 17(5)-14(5); **კუთხური:** 5-0; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 14-18; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 37 000

### ალმერია-ვალიადოლიდი 1:0

**ალმერია:** კობენიო, კარლოს გარსია, პულიდო, ბრუნო, მანე, სორიანო, ხუანიტო, კრუსატი, ხუანმა ორტისი (63. ორტისი), ნეგრედო (77. კალუ უჩე), კორონა (81. კაბრერა).

**ვალიადოლიდი:** სერხიო ასენსხო, პედრო ლოპესი, ოსკარ სანჩესი, გარსია კალვო, რაფა, ვივარ დორადო, ალვარო რუბიო, სისი, სესმა (81. ბორხა), ლორენტე, ვიქტორი (87. ესტოიანოფი).

**გოლი:** 1:0 ნეგრედო (75)

**გაძევება:** გარსია კალვო (75. ვალიადოლიდი)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 14(4)-14(3); **კუთხური:** 3-7; **თამაშგარე:** 7-3; **ჯარიმა:** 20-19; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 16 000

### ვილიარეალი-ბეტისი 0:1

**ვილიარეალი:** ვიერა, ფუენტესი, გოდინი, კაპდევილა, სენა, კასორლა, ანხელი (75. პირესი), ბრუნო (46. კანი), მატი ფერნანდესი, ფრანკო, ტომასონი (63. ნიჰათი).

**ბეტისი:** რიკარდო, ილიჩი, ხუანიტო, რივასი, ბაბიჩი, რივერა, არსუ, მარკ გონსალესი (35. დამია), ედუ, ჩისკო, კაპი (59. მელი).

**გოლი:** 0:1 კაპი (8)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 19(8)-6(2); **კუთხური:** 6-1; **თამაშგარე:** 4-5; **ჯარიმა:** 11-26; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 27 000

### ლევანტე-რეკრეატივო 0:2

**ლევანტე:** სტორარი, ბრუნო, ალვარო, ხოსე სერანო, ტომაზი, ხავი ფუეგო, სავიო, რუბიალესი (68. კურტუა), ხუანმა (46. გეიხო), რიგანო, რიგა.

**რეკრეატივო:** სორენტინო, იაგო ბუსონი, მარტინ კასერესი, პოლი, პამპა კალვო (71. კიკე ალვარესი), კარლოს მარტინსი, ხესუს ვასკესი, აიტორი, კამუნასი, ხავი გერერო (85. ბარბერი), სინამა პონგოლე (87. კონგო).

**გოლები:** 0:1 კამუნასი (38), 0:2 ხესუს ვასკესი (54)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 14(4)-11(5); **კუთხური:** 3-6; **თამაშგარე:** 11-1; **ჯარიმა:** 14-25; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 20 000

### სარაგოსა-ესპანიოლი 3:3

**სარაგოსა:** სესარი, აიალა, სერხიო, პარედესი, დიოგო (75. ოლივეირა), საპატერი, დ'ალესანდრო (69. ოსკარი), ლუქსენი, სერხიო გარსია, დიეგო მილიტო, აიმარი (69. სელადესი).

**ესპანიოლი:** კამენი, ტორეხონი, ლაკრუსი, კლემენტე როდრიგესი, საბალეტა, ანხელი, ვალდო, მოისეს ურტადო (64. ლოლა), რიერა (88. მოა), ლუის გარსია, ტამუდო (78. კორო).

**გოლები:** 1:0 დიეგო მილიტო (5), 1:1 ტამუდო (7), 1:2 ვალდო (10), 1:3 საბალეტა (14), 2:3 ოლივეირა (85), 3:3 ოლივეირა (89)

**გაძევება:** ლუქსენი (48. სარაგოსა)

**გაფრთხილება:** 6-3; **დარტყმა:** 21(7)-9(4); **კუთხური:** 10-1; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 18-25; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 39 000

### რასინგი-მალიორკა 3:1

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი, ორიოლი, ლუის ფერნანდესი, გარაი (82. მორატონი), დუშერი, კოლსა, ხორხე ლოპესი, მუნიტისი (86. აიოსე), სერანო, სმოლიარეკი (77. ჩიტე).

**მალიორკა:** ლუქსი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, ექტორი (73. ვიქტორი), იონასი, იბაგასა, პერეირა (60. ბორხა ვალერო), არანგო (33. ბასინასი), გუისა, ვებო.

**გოლები:** 0:1 ვებო (11), 1:1 ხორხე ლოპესი (18), 2:1 დუშერი (29), 3:1 მუნიტისი (83)

**გაძევება:** ვებო (22. მალიორკა), სერანო (32. რასინგი)

**გაფრთხილება:** 6-2; **დარტყმა:** 12(5)-9(2); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 5-1; **ჯარიმა:** 18-15; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 21 000

### სევილია-მურსია 3:1

**სევილია:** პალოპი (90. დე სანქტისი), დანიელ ალვეში, ფასიო, მოსკერა, დრაგუტინოვიჩი, კეიტა, ხესუს ნავასი, დუდა, მარესკა (75. რენატო), ლუიშ ფაბიანო, კერჟაკოვი (71. კანუტე).

**მურსია:** ნოტარიო, [illegible] ოა, პენია, ასრო, მოვილა, [illegible] ჩი (81. გალიარდო), [illegible] (52. [illegible] რო), გოიტომი (62. ბაიანო).

**გოლები:** 1:0 ლუის ფაბიანო (4), 2:0 მარესკა (58-პენ), 2:1 ბაიანო (65), 3:1 ლუის ფაბიანო (90+1)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 19(7)-11(1); **კუთხური:** 9-7; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 27-24; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 45 000

### ატლეტიკო-ხეტაფე 1:0

**ატლეტიკო:** აბაიტი, ანტონიო ლოპესი, პერეა, ელერი, პერნია, რაულ გარსია, მანიშე, მაქსი როდრიგესი (89. კლებერ სანტანა), სიმაო (60. რეიესი), ფორლანი (91. ლუის გარსია).

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კატა დიასი, კორტესი (66. კონტრა), მარიო (46. ბელენგერი), პაბლო ერნანდესი, გრანერო, ალბანი, კასკერო (76. კეპა), ლიხტი, დე ლა რედი, მანუ დელ მორალი.

**გოლები:** 1:0 ფორლანი (19)

**გაძევება:** აგუერო (66. ატლეტიკო), ლიხტი (73. ხეტაფე), აბონდანსიერი (77. ხეტაფე), რეიესი (78. ატლეტიკო)

**გაფრთხილება:** 5-9; **დარტყმა:** 7(3)-14(4); **კუთხური:** 3-12; **თამაშგარე:** 1-7; **ჯარიმა:** 22-22; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 40 000

### ბარსელონა-დეპორტივო 2:1

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ძამბროტა (46. დეკუ), პუიოლი, გ. მილიტო, სილვინიო, მარკესი, ჩავი, ინიესტა, მესი, ეტოო (64. კრკიჩი), რონალდინიო.

**დეპორტივო:** მუნუა, მანუელ პაბლო, ადრიან ლოპესი, კოლოჩინი, ფილიპე ლუისი, ანტონიო ტომასი (58. სერხიო), ვერდუ, გუარდადო, დე გუსმანი, კრისტიანი (76. ლაფიტა), ჩისკო (64. ტაბორდა).

**გოლები:** 0:1 კრისტიანი (2), 1:1 რონალდინიო (41-პენ), 2:1 ჩავი (71)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 19(12)-8(5); **კუთხური:** 10-0; **თამაშგარე:** 0-0; **ჯარიმა:** 18-18; **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 80 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 15 | 11 | 2 | 2 | 34-14 | 35 |
| 2. ბარსელონა | 15 | 9 | 4 | 2 | 29-12 | 31 |
| 3. ატლეტიკო | 15 | 9 | 3 | 3 | 30-17 | 30 |
| 4. ვილიარეალი | 15 | 9 | 1 | 5 | 26-22 | 28 |
| 5. ესპანიოლი | 15 | 7 | 6 | 2 | 23-18 | 27 |
| 6. რასინგი | 15 | 7 | 5 | 3 | 15-13 | 26 |
| 7. ვალენსია | 15 | 8 | 1 | 6 | 20-23 | 25 |
| 8. მალიორკა | 15 | 5 | 5 | 5 | 25-24 | 20 |
| 9. სევილია | 15 | 6 | 1 | 8 | 28-22 | 19 |
| 10. სარაგოსა | 15 | 5 | 4 | 6 | 24-25 | 19 |
| 11. ალმერია | 15 | 5 | 4 | 6 | 13-15 | 19 |
| 12. ხეტაფე | 15 | 5 | 3 | 7 | 16-18 | 18 |
| 13. რეკრეატივო | 15 | 5 | 3 | 7 | 11-19 | 18 |
| 14. ოსასუნა | 15 | 4 | 5 | 6 | 17-18 | 17 |
| 15. ბილბაო | 15 | 4 | 5 | 6 | 15-17 | 17 |
| 16. ვალიადოლიდი | 15 | 4 | 4 | 7 | 21-27 | 16 |
| 17. მურსია | 15 | 3 | 6 | 6 | 11-15 | 15 |
| 18. ბეტისი | 15 | 3 | 5 | 7 | 14-22 | 14 |
| 19. დეპორტივო | 15 | 3 | 4 | 8 | 14-23 | 13 |
| 20. ლევანტე | 15 | 2 | 1 | 12 | 11-31 | 7 |

ბომბარდირები: 10 - ლუიშ ფაბიანო (სევილია); 8 - რაული (რეალი), მესი (ბარსელონა); 7 - გუისა (მალიორკა), ტამუდო (ესპანიოლი), ვან ნისტელროი (რეალი), დ. მილიტო (სარაგოსა), აგუერო (ატლეტიკო), ოლივეირა (სარაგოსა), კანუტე (სევილია), როსი (ვილიარეალი); 6 - მორიენტესი (ვალენსია), ლორენტე (ვალიადოლიდი), ვიქტორი (ვალიადოლიდი), ფორლანი (ატლეტიკო), რონალდინიო (ბარსელონა).

### II დივიზიონი

XVI ტური

**ლას პალმასი-ეიბარი 1:0**
გოლი: 1:0 ადრიანი (90)

**ელჩე-კასტელონი 1:0**
გოლი: 1:0 რ. მარტინი (19)

**ალბასეტე-ალავესი 0:3**
გოლები: 0:1 სერხიო (76), 0:2 კასარი (83), 0:3 აგანსო (86)

**ხიმნასტიკი-მალაგა 1:1**
გოლები: 0:1 სალვა ბალესტა (79), 1:1 არპონი (89)

**სპორტინგი-ტენერიფე 0:1**
გოლი: 0:1 სისილია (58)

**სელტა-სევილია A 2:1**
გოლები: 0:1 კოსტა (44), 1:1 პერერა (88), 2:1 ქუინსი (90)

**ეხიდო-ერკულესი 0:0**

**სოსიედადი-კადისი 0:0**

**ხერესი-კორდობა 0:0**

**ნუმანსია-სალამანკა 1:0**
გოლი: 1:0 პინო (74)

**ფეროლი-გრანადა 1:3**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნუმანსია | 16 | 10 | 3 | 3 | 25-13 | 33 |
| 2. მალაგა | 16 | 10 | 2 | 4 | 26-16 | 32 |
| 3. სპორტინგი | 16 | 8 | 3 | 5 | 23-14 | 27 |
| 4. ელჩე | 16 | 7 | 5 | 4 | 20-15 | 26 |
| 5. სელტა | 16 | 6 | 7 | 3 | 19-15 | 25 |
| 6. გრანადა | 16 | 7 | 4 | 5 | 20-17 | 25 |
| 7. სევილია B | 16 | 6 | 7 | 3 | 16-14 | 25 |
| 8. ერკულესი | 16 | 6 | 6 | 4 | 24-18 | 24 |
| 9. სოსიედადი | 16 | 5 | 7 | 4 | 14-13 | 22 |
| 10. ტენერიფე | 16 | 5 | 7 | 4 | 19-19 | 22 |
| 11. კორბოდა | 16 | 4 | 9 | 3 | 19-20 | 21 |
| 12. ეიბარი | 16 | 6 | 3 | 7 | 15-17 | 21 |
| 13. ხიმნასტიკი | 16 | 5 | 5 | 6 | 19-19 | 20 |
| 14. ალავესი | 16 | 5 | 5 | 6 | 17-18 | 20 |
| 15. სალამანკა | 16 | 5 | 4 | 7 | 21-21 | 19 |
| 16. კადისი | 16 | 5 | 4 | 7 | 13-16 | 19 |
| 17. კასტელონი | 16 | 4 | 6 | 6 | 16-15 | 18 |
| 18. ფეროლი | 16 | 4 | 5 | 7 | 18-24 | 17 |
| 19. ეხიდო | 16 | 4 | 4 | 8 | 13-25 | 16 |
| 20. ხერესი | 16 | 2 | 8 | 6 | 15-22 | 14 |
| 21. ალბასეტე | 16 | 3 | 4 | 9 | 9-19 | 13 |
| 22. ლას პალმასი | 16 | 3 | 4 | 9 | 15-26 | 13 |

## საფრანგეთი

### XVII ტური

| | |
|---|---|
| კაენი-ლიონი | 1:0 |
| ლანსი-ლე მანი | 1:3 |
| ლორიანი-სოშო | 2:1 |
| მარსელი-მონაკო | 2:0 |
| ნანსი-ვალანსი | 0:0 |
| სტ. ეტიენი-მეცი | 2:0 |
| სტრასბური-რენი | 3:0 |
| ტულუზა-ლილი | 1:0 |
| ნიცა-ბორდო | 1:1 |
| ოსერი-პსჟ | 0:1 |

### II დივიზიონი

### XVIII ტური

| | |
|---|---|
| ბასტია-ანჟერსი | 0:1 |
| ბრესტი-შატორუ | 2:1 |
| კლერმონი-რეიმსი | 4:1 |
| დიჟონი-ნიორი | 1:3 |
| გენიონი-გინგამი | 0:1 |
| ლიბურნი-სედანი | 1:1 |
| ნანტი-ამიენი | 3:1 |
| ტრუა-აიაჩო | 0:1 |
| გრენობლი-ბულონი | 1:2 |
| ჰავრი-მონპელიე | დღეს |

## ჰოლანდია

### XIV ტური

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი-როდა | 2:4 |
| ჰერაკლესი-გრააფსხაპი | 2:0 |
| ვიტესი-ტვენტე | 2:2 |
| ვილემი-აიაქსი | 2:3 |
| ექსელსიორი-ბრედა | 0:3 |
| ვენლო-ფეიენოორდი | 0:0 |
| ალკმაარი-უტრეხტი | 2:1 |
| ჰერენვეენი-გრონინგენი | 4:2 |
| სპარტა-ნიიმეგენი | 1:0 |

### II დივიზიონი

### XX ტური

| | |
|---|---|
| ტელსტარი-ეინდჰოვენი II | 2:0 |
| ემენი-იგლზი | 3:1 |
| დენ ბოში-აპელდოორნი | 3:1 |
| ფორტუნა-როსენდალი | 0:0 |
| დორდრეხტი-კამბური | 2:3 |
| ვაალვიკი-ომნივორლდი | 1:1 |
| ცვოლე-ჰაარლემი | 3:0 |
| ვეენდამი-ვოლენდამი | 3:3 |
| დენ ჰააგი-მაასტრ. | 0:3 შეწყდა |
| ჰელმონდი-ტოპ ოსი | 0:1 |

## ბელგია

### XV ტური

| | |
|---|---|
| ვესტერლო-მეხელენი | 1:1 |
| სტანდარდი-შარლერუა | 5:1 |
| ბეერსხოტი-მონსი | 2:0 |
| ვარეგემი-დენდერი | 1:2 |
| სერკლი-მუსკრონი | 3:0 |
| გენტი-ლოკერენი | 4:2 |
| რუზელარე-ბრიუგე | 1:2 |
| სტ. ტრუიდენი-ანდერლეხტი | 4:3 |
| ბრიუსელი-გენკი | გადაიდო |

### II დივიზიონი

### XV ტური

| | |
|---|---|
| გეელი-ანტვერპენი | 2:1 |
| ლიერსი-ბევერენი | 0:2 |
| ნამენი-ჰამე | 4:1 |
| ოლ. შარლერუა-ტიენენი | 0:3 |
| ტურნე-ტუბიკე | 0:1 |
| ვაასლანდი-ეუპენი | 1:1 |
| ვირტონი-დაინცე | 2:2 |
| კორტრიიკი-ლომელი | 2:0 |
| ჰავერლე-სტ. ჟილი | 1:1 |

## შოტლანდია

### XVI ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი-კილმარნოკი | 2:1 |
| სელტიკი-სტ. მირენი | 1:1 |
| ფალკირკი-დანდი იუნ | 3:0 |
| ჰარტსი-მოზერველი | 1:2 |
| ინვერნესი-ჰიბერნიანი | 2:0 |

### I დივიზიონი

### XV ტური

| | |
|---|---|
| დანდი-სტირლინგი | 3:1 |
| დანფერმლაინი-კლაიდი | 1:1 |
| ლივინგსტონი-ჰამილტონი | 2:0 |
| ქუინი-პარტიკი | 1:2 |
| სტ. ჯონსტონი-მორტონი | 2:2 |

### II დივიზიონი

### XV ტური

| | |
|---|---|
| ეირდრი-კოუდენბითი | 3:1 |
| ალოა-როსი | 3:1 |
| ბერვიკი-ქუინზ პარკი | 1:1 |
| პიტერჰედი-ეირი | 3:0 |
| რეითი-ბრეჩინი | 1:1 |

### III დივიზიონი

### XIV ტური

| | |
|---|---|
| დამბარტონი-სტრანრაერი | 0:2 |
| ისტ სტირლინგი-ალბიონი | 4:5 |
| ელჯინი-არბროა | 1:3 |
| ფორფარი-ისტ ფაიფი | 0:2 |
| მონროუზი-სტენჰაუზმუირი | 1:0 |

## ავსტრია

### XXII ტური

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-ალტახი | 3:3 |
| ზალცბურგი-რიდი | 2:0 |
| ტიროლი-რაპიდი | 1:1 |
| ლინცერი-ავსტრია (კ) | 4:0 |
| ავსტრია (ვ)-შტურმი | 1:2 |

## საბერძნეთი

### XI ტური

| | |
|---|---|
| პაოკ-ვერია | 2:0 |
| ოლიმპიაკოსი-ლევადია | 4:0 |
| ერგოტელისი-ატრომიტოსი | 0:0 |
| ქსანთი-ოფი | 1:0 |
| აეკ-აპოლონი | 4:0 |
| ლარისა-არისი | 1:0 |
| ასტერასი-პანიონიოსი | 1:0 |
| ირაკლისი-პანათინაიკოსი | 0:1 |

## შვეიცარია

### XVIII ტური

| | |
|---|---|
| არაუ-სტ. გალენი | 2:2 |
| ლუცერნი-ტუნი | 1:2 |
| ბაზელი-ქსამაქსი | 0:1 |
| გრასჰოპერსი-ციურიხი | 2:1 |
| იანგ ბოიზი-სიონი | 1:0 |

### ჩელენჯლიგა

### XVIII ტური

| | |
|---|---|
| კიასო-ფონდსი | 0:2 |
| ბელინცონა-სერვეტი | 2:1 |
| ჩამი-კრინსი | 1:2 |
| გოსაუ-დელემონი | 5:1 |
| ვადუცი-ლუგანო | 3:2 |
| ვილი-შაფჰაუზენი | 1:1 |
| ლოზანა-ვინტერტური | 1:3 |
| ივერდონი-ლოკარნო | 3:0 |

## თურქეთი

### XV ტური

| | |
|---|---|
| ბურსა-ბეშიქთაში | 0:1 |
| ანკარაგიუჯუ-ქასიმფაშა | 2:2 |
| რიზე-ქაისერი | 0:0 |
| ფენერბაჩე-გალათასარაი | 2:0 |
| ოფთასი-ანკარა | 0:0 |
| ისთანბული-გენჩლერი | 0:0 |
| ქონია-მანიშა | 4:2 |
| შივასი-დენიზლი | 2:0 |
| ტრაბზონი-გაზიანთეფი | 3:2 |

## ხორვატია

### XIX ტური

| | |
|---|---|
| სლავენი-დინამო | 5:2 |
| ზაგრები-ზადარი | 7:2 |
| მედიმურიე-ინტერი | 2:3 |
| ოსიეკი-სიბალია | 5:1 |
| რიეკა-შიბენიკი | 2:0 |
| ვარტექსი-ჰაიდუკი | 1:3 |

## ჩეხეთი

### XVI ტური

| | |
|---|---|
| კლადნო-სლავია | 0:1 |
| ბოჰემიანსი-ლიბერეცი | 1:0 |
| ბრნო-ვიქტორია | 3:1 |
| ბუდეიოვიცე-ზლინი | 1:0 |
| ბოლესლავი-სიგმა | 1:1 |
| მოსტი-ბანიკი | 0:2 |
| იაბლონეცი-ტეპლიცე | 1:0 |
| სპარტა-პლზენი | დღეს |

## პოლონეთი

### XVII ტური

| | |
|---|---|
| რუხი-კრაკოვია | 2:0 |
| ლეხი-კორონა | 1:0 |
| სოსნოვეცი-ოდრა | 0:2 |
| გროცლინი-იაგიელონია | 3:1 |
| პოლონია-ლკს | 0:1 |
| ბელხატოვი-ვიძევი | 3:1 |
| ვისლა-ზაგლებე | 2:1 |

## სერბეთი

### XVI ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-მლადოსტი | 2:0 |
| ბანატი-ჩუკარიჩკი | 1:3 |
| ჰაიდუკი-სმედერევო | 3:1 |
| პარტიზანი-ოფკ | 5:1 |
| ვოივოდინა-ნაპრედაკი | 2:0 |
| ბეჟანია-ცრვენა ზვეზდა | 0:1 |

## უკრაინის თასი

| | |
|---|---|
| დინამო-ტავრია | 3:0 |
| ვორსკლა-შახტარი | 0:3 |
| ილიჩივეცი-ჩერნომორეცი | 2:1 |

## არგენტინა

### XIX ტური

| | |
|---|---|
| როსარიო-არგ. ხუნიორსი | 1:1 |
| ესტუდიანტესი-ოლიმპო | 2:0 |
| რივერი-ბანფილდი | 0:2 |
| რასინგი-კოლონი | 1:0 |
| სან მარტინი-ნიუელსი | 0:1 |
| არსენალი-ინდეპენდიენტე | 3:2 |
| სან ლორენსო-ხიმნასია (ხ) | 4:1 |
| ველესი-ურაკანი | გვ. დას. |

## ჩილე

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| აუდაქსი-კობრელოა | 1:0 |
| კოლო კოლო-ო'ჰიგინსი | 1:1 |
| უნ. კონსეპ.-უნ. კატოლიკა | 2:0 |
| უნ. ჩილე-კობრესალი | გვ. დას. |

## [illegible]

### XV ტური

| | |
|---|---|
| მირამარი-სენტრალი | 3:1 |
| რამპლა-პენიაროლი | 3:2 |
| ხუვენტუდი-რივერი | 3:1 |
| სერო-ნასიონალი | 1:1 |
| დანუბიო-პროგრესო | 9:1 |
| დეფენსორი-ბელა ვისტა | 2:1 |
| ლივერპული-ტაკუარემბო | 0:0 |
| მონტევიდეო-ფენიქსი | 1:1 |

## პორტუგალიის თასი

| | |
|---|---|
| შავეში-პორტუ | 0:2 |
| ლეიქსოეში-ტორენსე | 1:0 |
| ნასიონალი-კოვა | 3:0 |
| სპორტინგი-ლელუტანო | 4:0 |
| ბელენენს.-ფერეირა | 2:2 პენ. 4:5 |
| ატლეტიკო-გიმარაეში | 0:1 |
| კარეგადო-ოლანენსე | 1:2 |
| ფეირენსე-ლუზიტანია | 4:1 |
| ლაგოა-სანტა კლარა | 3:2 |
| ოლივეირენსე-მონდინენსე | 4:0 |
| ოპერარიო-სეტუბალი | 0:1 |
| რეალ სპორტი-ავეში | 0:1 |
| სერზედელო-ნავალი | 0:3 |
| ვალდევესი-ტოჩა | 1:1, დ.დ. 3:1 |
| აბრანტესი-მონსანტო | 0:0, პენ. 6:5 |
| ამადორა-ფატიმა | 2:2, დ.დ. 4:2 |
| ანადია-ფრეამუნდე | 1:0 |
| ბეირა მარი-მონკორვო | 0:0, პენ. 3:2 |
| კამაჩა-ბრაგა | 2:3 |
| ინფესტა-ევორა | 1:2 |
| ლეირია-ნელაში | 2:0 |
| მესინენსე-ეილ ვის. | 0:0, დ.დ. 0:2 |
| მორეირენსე-მარიკო | 4:0 |
| პენაფიელი-ვიზელა | 2:1 |
| სერტანენსე-პორტიმ. | 1:1, დ.დ. 2:1 |
| რიუ ავე-რებორდოსა | 6:1 |
| ბენფიკა-აკადემიკა | გვ. დას. |

ჩელსი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# ლემპარდი იუვენტუსს მოურიგდა?

## ტურინელებმა შევჩენკო არ დაადასტურეს, დროგბამ კი ოპერაცია გაიკეთა...



ფრენკ ლემპარდს იუვენტუსში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ

**ფრენკ ლემპარდის** „იუვენტუსში" ტრანსფერის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. ამ ინფორმაციას იტალიური სააგენტოები ავრცელებენ. ტურინელებს ინგლისელი ნახევარმცველის შეძენა ჯერ კიდევ მაშინ სურდათ, სანამ მთავარ მწვრთნელად **კლაუდიო რანიერის** დანიშნავდნენ. რანიერის მისვლისთანავე ამ ფრონტზე მუშაობა ერთ-ორად გააქტიურდა. იტალიელი მწვრთნელი ლემპარდს „ჩელსიდან" იცნობს. ფრენკმა არისტოკრატებთა ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცადა. მას სარფიან ხელშეკრულებას სთავაზობდნენ. თანხმობის შემთხვევაში, ლემპარდი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდებოდა, მაგრამ შეთანხმება არ შედგა. მართალია, მხარეებს არც მოლაპარაკებათა ჩაშლის თაობაზე გაუკეთებიათ განცხადება, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე თვეა, კონსულტაციები უშედეგოდ მიმდინარეობს. „ჩელსიდან" **ჟოზე მოურინიოს** აზარგების შემდეგ მოლაპარაკებები ფაქტობრივად ჩიხში შევიდა. „იუვენტუსი" ფეხბურთელს ოთხწლიანი ხელშეკრულებას და წლიურად 4 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ლემპარდს ცოტა მეტს ითხოვს. იტალიელი მიმომხილველების ცნობით, ტრანსფერის თაობაზე პრინციპული შეთანხმება მიღწეულია. ფინანსური საკითხები გადაუწყვეტელ პრობლემად არ უნდა იქცეს. წელიწადში 4 მილიონი გირვანქა „იუვენტუსში" მაქსიმალური ხელფასია. კლუბის ლიდერი **ჯანლუიჯი ბუფონს** სწორედ ამდენს უხდიან. თუ ლემპარდი უფრო შემოსავლიან კონტრაქტს გააფორმებს, დღის წესრიგში ავტომატურად დადგება ბუფონის პირობების გაუმჯობესების საკითხიც. ამას სხვა ვარსკვლავების პრეტენზიები მოჰყვება. ამიტომაც უნდა „ბებერ ქალბატონს", ლემპარდი 4 მილიონზე დაითანხმოს. მოსალოდნელ გარიგებსთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

„ჩელსისა" და „იუვენტუსს" შორის კიდევ ერთ გარიგებას წინასწარმეტყველებენ. გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია **ანდრეი შევჩენკოს** ტურინში შესაძლო ტრანსფერის შესახებ. უკრაინელი ლონდონში 2006 წლის ზაფხულში გადავიდა. „მილანმა" მის სანაცვლოდ 30 მილიონი გირვანქა მიიღო. ტრანსფერიდან ერთი წლის განმავლობაში შევჩენკოს ფასი თითქმის სამჯერ შემცირდა. „ნიუს ოფ ზე უორლდი" იუწყება, რომ „არისტოკრატები" შევას 12 მილიონ გირვანქადაც სიამოვნებით დათმობენ. გუშინ იმავე გამოცემამ „იუვენტუსის" გენერალური დირექტორის, **ლაპო ელკანის** კომენტარი გაავრცელა. ტურინელმა მაღალჩინოსანმა შევჩენკოთი დაინტერესების ამბავი არ დაადასტურა და განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია მანაც გაზეთებიდან შეიტყო.

შაბათს „ჩელსის" საუკეთესო ბომბარდირ **დიდიე დროგბას** მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. ქირურგიულმა პროცედურამ გართულებების გარეშე ჩაიარა. ფეხბურთელის დაბრუნების თარიღი უცნობია. ვარაუდობენ, რომ დიდიე აფრიკის თასის დაწყებამდე გამოჯანმრთელდება. ტურნირი განაში 20 იანვარს დაიწყება და 10 თებერვლამდე გასტანს. დროგბას არყოფნა „ჩელსისათვის" დიდი დანაკლისია. აფრიკის თასისას „არისტოკრატებს" **მიკაელ ესიენი** და **სალომონ კალუც** გამოაკლდებიან. მთავარი მწვრთნელი **ავრაამ გრანტი** დროგბას შემცვლელის ყიდვას აპირებს. ის „არსენალის" დანიელი თავდამსხმელით **ნიკლას ბენდტნერით** დაინტერესდა. „ჩელსის" სპორტულ დირექტორ **ფრანკ არნესენს** ტრანსფერზე მუშაობის დაწყება დაევალა. არნესენიც დანიელია. ის ბენდტნერის მშობლებს კარგად იცნობს. ამიტომ დავალების შესრულება არ გაუჭირდება. ბენდტნერი „არსენალის" სკოლის აღზრდილია. შარშანდელ სეზონში ის იჯარით „ბირმინგემ სიტიში" თამაშობდა. გასულ ზაფხულს ნიკლასი ლონდონში დაბრუნდა. ის დროის უმეტეს ნაწილს თადარიგში ატარებს და უმეტესად სათასო ტურნირებში ასპარეზობს. „ჩელსიში" ტრანსფერი გარანტირებულ სათამაშო დროს არ ნიშნავს. იმთავითვე ნათელია, რომ მას დროგბას დუბლიორად ყიდულობენ. სპორტული თვალსაზრისით „სტემფორდ ბრიჯზე" გადასვლა წინ გადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება, თუმცა ის, შესაძლოა, ფინანსური პირობებით დააინტერესონ. „არსენალი" 19 წლის მოთამაშეში 12 მილიონ ევროს ითხოვს. „ჩელსი" სხვა კანდიდატურებზეც ფიქრობს. გრანტის სიაშია მოსკოვის ცსკას ბრაზილიელი გოლეადორი **ვაგნერ ლავიც**. ეს უკანასკნელი რუსებისაგან დაჟინებით ითხოვს ტრანსფერზე დაყენებს.

კიდევ ერთი ცნობა „არისტოკრატების" ბანაკიდან. გადაწყდა, რომ ზაგრების „დინამოს" ნახევარმცველი **ლუკა მოდრიჩი** „ჩელსიში" ჩაირიცხება. ახალგაზრდა სერბი ფეხბურთელი ლონდონელებთან ხანგრძლივ კონტრაქტს გააფორმებს, შემდეგ კი ეინდჰოვენში გაემგზავრება. „ჩელსი" და „ეინდჰოვენი" პარტნიორი კლუბები არიან. პსვ-ში თამაშობდა ბრაზილიელი მცველი **ალექსიც**. „ჩელსიმ" ის 2005 წლის ზაფხულში იყიდა, თუმცა ორი წლის განმავლობაში ჰოლანდიაში ჰყავდა გაშვებული. ლონდონელები კიდევ ერთი თინეიჯერის, **მარკო მიტროვიჩის** შეძენას აპირებენ. ის შვედეთის ახ... გაზრდული ნაკრების წევრია. მიტროვიჩი „არსენალსა" და „ბლექბერნსაც" სურთ.

## ფერგი: სპორტული დირექტორი არ ვიქნები

**სერ ალექს ფერგიუსონი** „მანჩესტერის" სპორტულ დირექტორად არ იმუშავებს. გადადგომის შემდეგ ის კლუბის ელჩი გახდება და იმავე ფუნქციებს შეითავსებს, რასაც სერ ბობი ჩარლტონი: *„იუნაიტედის" განვრთნა ურთულესი საქმეა. მწვრთნელს მოქმედების სრული თავისუფლება სჭირდება. ჩემი დირექტორობა მომავალი დამრიგებლის თავისუფლების ხარისხს აუცილებლად შეზღუდავდა."* სერ ალექსი „დეილი მირორს" გაესაუბრა. მან აღიარა, რომ „იუნაიტედის" დატოვებაზე ფიქრი ძალიან უჭირს: *„როცა ამ კლუბში დიდხანს მუშაობ, მისი განუყრელი ნაწილი ხდები და მტკივნეულია იმის გაფიქრება, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახლში წასვლა მოგიწევს. მაგრამ ეს გარდაუვალია. ამიტომ პენსიონერობას თანდათან უნდა შევეგუო."* ფერგის ყველაზე მეტად იმაზე სწყდება გული, რომ ბრიტანელის გარეთ მუშაობის საშუალება არ ჰქონია: *„მანჩესტერში რომ არ მემუშავა, აუცილებლად წავიდოდი საზღვარგარეთ. სხვათა შორის, თავის დროზე „ბარსელონა" ჩემს კანდიდატურას განიხილავდა, მაგრამ ტერი ვენეიბლზი იქ კიდევ ერთი წლით დარჩა. შემდეგ „ინტერი" მეპატიჟებოდა. მე კი სამსახურის შეცვლა ზედმეტად მივიჩნიე. აქაურობას მიჩვეული ვიყავი და იმიტომ."*

## სიომინმა კიევს მიაშურა

**კიევის** „დინამოს" მთავარ მწვრთნელად **იური სიომინი** დაინიშნა. მოსკოვის „ლოკომოტივის" ყოფილ დამრიგებელსა და პრეზიდენტს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს, თუმცა მისი ეტალები არ გახმაურებულა. სიომინმა **იოჟეფ საბო** შეცვალა. საბომ ამ პოსტზე სულ რაღაც ერთი თვე გაატარა. ის დროებითი დამრიგებელი იყო. მან **ანატოლი დემიანენკოს** ადგილი დაიკავა. დემიანენკო კი ჩემპიონთა ლიგაში უსახური გამოსვლისათვის გაათავისუფლეს. სიომინმა „დინამოში" დანიშვნის შემდეგ პირველი პრესკონფერენცია მოსკოვში გამართა. მან თქვა, რომ უკრაინაში სამუშაოდ დიდი სიამოვნების მიემგზავრება, რომ კიეველთა შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება და დარწმუნებულია, რომ კლუბის მისი დახმარებით მცირე კრიზისს სწრაფესად დაასრულებს.

## ვან ბასტენი რაიკაარდის ნაცვლად?

**მარკო ვან ბასტენი,** შეიძლება, „ბარსელონაში" დაინიშნოს. ამ ინფორმაციას ესპანური სააგენტოები ავრცელებენ. ვან ბასტენს ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება. ის თანამშრომლობის გაგრძელებას არ აპირებს. მარკომ ამის შესახებ ერთი კვირის წინ განაცხადა, თუმცა სამომავლო გეგმებზე არაფერი უთქვამს. ესპანელმა ჟურნალისტებმა ის „ბარსელონის" მწვრთნელობის უმთავრეს პრეტენდენტად გამოაცხადეს. კატალონიელთა დღევანდელი დამრიგებლის, **ფრანკ რაიკაარდის** საკითხი ჰაერშია გამოკიდებული. პერიოდულად ვრცელდება ინფორმაციები კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოებების შესახებ. მწვრთნელს პრობლემები აქვს წამყვან ფეხბურთელებთანაც, რაც მისი პოზიციებს საგრძნობლად ასუსტებს. **იოჰან კრუიფი** ვან ბასტენს ურჩევს, „აიაქსზე" არ იფიქროს და „ბარსელონაში" წავიდეს. კლუბში ახალი ჰოლანდიელი მწვრთნელის დანიშვნა იმას ნიშნავს, რომ კლუბის ...ელწერა არ შეიცვლება და ის ისევ შემტევ ფეხბურთს ითამაშებს.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლიპარტელიანი ტალანტია

პირველი გვერდიდან

| 60 კგ |
|---|
| 1. დავით სიმონიშვილი (აფხაზეთი) |
| 2. ბეთქილ შუკვანი (რაჭა-ქვ.სვანეთი) |
| 3. უშანგი კუზანაშვილი (აჭარა) |
| 3. ამირან პაპინაშვილი (აჭარა) |

**ნესტორ ხერგიანის** გარდა, ამ წონაში **ვახტანგ ხოსიტაშვილიც** ისვენებდა, რამაც შეჯიბრება ახალგაზრდების ასპარეზად აქცია, თუმცა ალბათ, სამბისტის გამარჯვებას ნაკლებად წარმოიდგენდნენ. არადა, ნახევარფინალური ეტაპი სწორედ სამბოსა და ძიუდოს დაპირისპირებად იქცა - აქეთ **პაპინაშვილ-სიმონიშვილის** წყვილი, იქით - **შუკვან-კუზანაშვილისა**, რომელიც ამ შემოდგომაზე სამბოში მსოფლიო ჩემპიონიც გახდა. პაპინაშვილი ბოლო წლებში ანგარიშგასაწევ ფალავნად იქცა, თითქოს ურიგოდ არც ნახევარფინალამდე უჭიდავია, მაგრამ სიმონიშვილთან ვერაფერს გახდა. სამაგიეროდ, წონაში ახალთაობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელი შუკვანი იოლად გაუსწორდა მსოფლიო ჩემპიონს. მთლიანობაში, შუკვანს საყვედური არ ეთქმის - იგი სამომავლოდ კვლავაც რჩება ერთ-ერთ იმედად, მაგრამ ფინალი მაინც სიმონიშვილისა გამოდგა, რომელმაც გამოცდილების ხარჯზე დაჯაბნა მეტოქე. მან სწრაფად აილო იუკო, რასაც მალე მოგვერდით ვაზარიც მიაყოლა. პრაქტიკულად, შეხვედრაც აქ დამთავრდა და ბოლოსკენ შუკვანის მიერ მოპოვებულმა კოკამ ვერაფერი შეცვალა.

ახალგაზრდებიდან კიდევ შეიძლება რამდენიმეს გამორჩევა. მაგალითად, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩემპიონი, მეხუთეზე გასული გორელი **პაატა მერებაშვილი,** რომელმაც ჭაბუკებიდან და იქაური 55 - დან ახალ წონაში ცოტა ხნის წინ გადმოინაცვლა. ამის მიუხედავად, დამამშვიდებლის ფინალში მაინც გავიდა და იქ პაპინაშვილთან წააგო. იგივე ეტაპზე დამარცხდა ასევე სამბისტი **ავთანდილ ცინცაძე,** რომელმაც აქაურები გვარიანად შეავიწროვა.

| 66 კგ. |
|---|
| 1. უჩა ხუციშვილი (რაჭა-ქვ. სვანეთი) |
| 2. დავით ასუმბანი (ქვემო ქართლი) |
| 3. ალექსანდრე იაკობაშვილი (ქვ. ქართლი) |
| 3. ზებედა რეხვიაშვილი (აფხაზეთი) |

**უჩა ხუციშვილმა** შარშანდელი ბრინჯაო წლეულს ოქროზე გადაცვალა. თანაც, შარშან ნახევარფინალში **ალექსანდრე იაკობაშვილთან** დამარცხებისთვის ღირსეული რევანში აილო - ისინი წლეულსაც იგივე ეტაპზე შეხვდნენ, თუმცა დაძაბული და უშელავათო ბრძოლა ამჯერად მისი გამარჯვებით დასრულდა. შარშანდელთან შედარებით, მისი პროგრესი საგრძნობია და ჩემპიონობაც ალალია. ალსანიშნავია, რომ იგი ოქტომბერში გამართულ 23-წლიანთა ქვეყნის ჩემპიონატზე უმედლოდ დარჩა. სამაგიეროდ, ის ტურნირი **დავით ასუმბანმა** მოიგო, რომელმაც მაშინ პირველად იჭიდავა 66-ში. მისი გამოსვლა იმთავითვე კარგად შეფასდა და ახლაც დაგვიტოვა სამომავლო ოპტიმიზმი -შეიძლება ითქვას, ასუმბანმა ამ წონაში დაიმკვიდრა ადგილი. მისი და ხუციშვილის შეხვედრა ყველაზე ხანგრძლივი ფინალი გამოდგა - ლამის 10 წუთი გაგრძელდა და ხუციშვილმა იპონი დამატებითი დროის მიწურულს მიითვალა.

ამ წონაში ძალიან კარგად იჭიდავა ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონმა და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის გამარჯვებულმა **ზებედა რეხვიაშვილმა.** იგი ნახევარფინალში ასუმბანთან დამარცხდა, მეტოქეც გვარიანად ანერვიულა და გაცემული ავანსებიც სრულად გაამართლა. ის ჯერ კიდევ პატარაა და თუ გულმოდგინედ იმუშავებს, წინ უამრავი წარმატება ელოდება. ლიდერებში დარჩენა ისევ მოახერხა იაკობაშვილმა, რომელმაც სარშან ვერცხლი მოიპოვა. სამაგიეროდ, ამჯერად უმედლოს დარჩა ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი **სერგო ციხელაშვილი.**

| 73 კგ. |
|---|
| 1. თენგიზ პაპოშვილი (კახეთი) |
| 2. დავით კუპრაშვილი (ქვ. ქართლი) |
| 3. კახა მამულაშვილი (აჭარა) |
| 3. ზურაბ დილებაშვილი (შიდა ქართლი) |



90 კილოგრამის დაჯილდოება: ბესიკ ტყემალაძე, ვარლამ ლიპარტელიანი, დავით ლორიაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**თენგიზ პაპოშვილმა** 23-წლიანთა ჩემპიონატში ვერცხლი მოიპოვა, ახლა კი ბევრად მაღალ საფეხურზე შედგა. წლევანდლამდე იგი შედეგებით არ გამოირჩეოდა, ახლა კი ნელ-ნელა, მაგრამ მყარად ყალიბდება წონის ლიდერად. **დავით კუპრაშვილი** პრიზიორებში აქამდეც მოხვედრილა და მედალოსნებში მის გამოჩენას მოულოდნელს ვერ დავარქმევთ. მისასალმებელია ახალგაზრდების - **კახა მამულაშვილისა** და **ზურაბ დილებაშვილის** წარმატება. სამბისტმა მამულაშვილმა ქვეყნის შარშანდელი პირველობის ფინალისტები დატოვა უმედლოდ - ძირითადში ჩემპიონი **ბექა ბაიდაური** დაამარცხა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში - ვიცე-ჩემპიონი და მეტად გამოცდილი **დავით ბოდაველი,** ამ გამარჯვებებამდე კი დილებაშვილსაც მოუგო. დილებაშვილის წარმატებათაგან ალსანიშნავია იგივე ბაიდაურის დამარცხება და **ზვიად ბაზანდარაშვილთან** მოგება ბრინჯაოსთვის შეხვედრაში. ბაზანდარაშვილმა წლეულს ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე ვერცხლი მოიპოვა და მას ახლაც ინტერესით აკვირდებოდნენ, როგორც ახალთაობის ნიჭიერ ფალავანს. უმედლოდ დარჩენის მიუხედავად, სასაყვედურო ფალავანი არც ესაა. მისასალმებელია, რომ აქ ამდენი ნი იერი ახალგზარდა გამოჩნდა. იმედია, ახლო მომავალში რომელიმე მათგანი **დავით ქევხიშვილს** ღირსეულ კონკურენციას გაუწევს.

| 81 კგ. |
|---|
| 1. საბა გავაშელიშვილი (კახეთი) |
| 2. გრიგოლ მამრიკიშვილი (იმერეთი) |
| 3. ხვიჩა ხუციშვილი (თბილისი) |
| 3. ლევან წიკლაური (აჭარა) |

აქ ალსანიშნავია **გრიგოლ მამრიკიშვილის** დაბრუნება, თუმცა იგი სასურველი ფორმისგან ჯერ შორსაა. ეს არცაა გასაკვირი - ბეჭის ტრავმამ მას ლამის სრული სეზონი გააცდენინა. დასამალი არაა, მამრიკიშვილის რამდენიმე მოგებით მაყურებელი სერიოზულად უკმაყოფილო დარჩა. მას თითქმის ყველა შეხვედრაში გაუჭირდა და ფინალამდე უძნელესი გზა გაიარა. მისი ბედი რამდენჯერმე ეკიდა ბეწვზე, მაგრამ გამოცდილებამ მაინც გაიტანა თავისი - მაგალითად, ნახევარფინალში ბრაუნშვაიგის ტურნირის მომგებ **ლევან წიკლაურთან.** შეხვედრა წიკლაურმა აქტიურად, სრაფ ტემპში დაიწყო და რამდენჯერმე გდებები ლამის წარმატებით დააბოლოვა, მაგრამ მამრიკიშვილმა სწორედ გამოცდილების ხარჯზე იუკოვაზარი აართვა და მოიგო. მდგომარეობის გამოსასწორებლად მას დრო საკმარისად რჩება და ვიმედოვნებთ, თბილისის ტურნირზე თუ სხვა შეჯიბრებებზე ძველებურად აჭიდავდება.

გამარჯვების მიუხედავად, **საბა გავაშელიშვილმა** შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა. სავარაუდოდ, ამის მიზეზი წონის დაკლებაა - ლამის 7 კილოგრამი დაიკლო, რაც ეტყობოდა მის გამოსვლას. რაკილა თბილისის ტურნირზე გამოსვლა გაინაღდა, გვპირდება, რომ წონას სისტემატურად გააკონტროლებს და იქ ძველებურად აჭიდავდება. მან 5 შეხვედრა ჩაატარა და აქედან 4 წმინდად მოიგო. გავაშელიშვილს ყველაზე მეტად ნახევარფინალში გაუჭირდა **ხვიჩა ხუციშვილთან,** რომელმაც ასევე კარგად წარმოაჩინა თავი. ადრე იგი 73-ში ჭიდაობდა და ერთხანს ნაკრებშიც მოხვდა, მაგრამ მერე რატომლაც დაიკარგა, ახლა კი ახალ წონაში გამოჩნდა. იგი 66-ის გამარჯვებულ უჩა ხუციშვილის ძმაა და რომ არა გავაშელიშვილი, იქნებ ოჯახში მეორე ოქროც შეეტანა. მათი ნახევარფინალი დაძაბული კი გამოდგა, მაგრამ ძირითად დროში მეტოქეებმა ქულა ვერ გააკეთეს. თუმცა საამისოდ თავი ნამდვილად არ დაუზოგავთ, დამატებითის დაწყებიდან მალევე კი გავაშელიშვილმა მოხდენილი გდებით იუკო მიითვალა. ეს ილეთი საპროტესტო გახდა, მაგრამ ვიდეოფირმა გავაშელიშვილის უპირატესობა დაადასტურა.

ფინალი თავიდანვე გავაშელიშვილის უპირატესობით დაიწყო და წუთზე ოდნავ მეტ დროში მისივე გამარჯვებით დასრულდა. იგი ფონს „წისქვილით" გავიდა - სხვა ილეთი არც უცდია. პირველად ამან იუკო მოუტანა, მეორედ - იპონი, თუმცა შუალედში კიდევ რამდენჯერმე სცადა მისი გაკეთება და მიზანს მუდამ ცოტათი დააცილა. მთლიანობაში, შეხვედრა ძალზე მაღალ ტემპში წარიმართა და საინტერესო სანახაობა ვიხილეთ.

ამავე წონაში პირველი ჰანტეიც ვიხილეთ და ისიც ხუციშვილთან - მეოთხედფინალში მან და **ზაზა დავაძემ** სიქა გააძრეს ერთმანეთს, მაგრამ ვერც ძირითადში და ვერც დამატებითში გდება ვერ გააკეთეს. რატომლაც მსაჯებს გაფრთხილებებიც „დაავიწყდათ" და შეხვედრაც სრული 10 წუთი გაგრძელდა. არადა, ლამის მთელი დამატებითი დრო დავაძე უფრო პასიურობდა - ხუციშვილმა, რომელიც ადრეც გამოირჩეოდა კარგი ფიზიკური მომზადებით, იგი აშკარად მოღალა. კიდევ კარგი, მსაჯებმა ალმები მაინც ასწიეს სამართლიანად და გამარჯვება ხუციშვილს დარჩა. უეჭველია, ისიც და წიკლაურიც ლიდერობისთვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებმებიან და სხვებს იოლად არაფერს დაუთმობენ. საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა იგივე დავაძემ და **ნიკოლოზ კუციამ,** რომელიც მამრიკიშვილთან წასაგებად ნაღდად შეგეცოდებოდათ. საყურადღებოა დავაძის სტატისტიკა - 6 ჩატარებული შეხვედრიდან 4 მოიგო და აქედან სამი - წმინდად. თანაც, ამ სამი შეხვედრის მოსაგებად 3 წუთიც არ დასჭირვებია.

მოკლედ, აქ ისეთი კონკურენცია გამოიკვეთა, სავსებით სამართლიანად, ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი ლიდერთა ექვსეულზე ალაპარაკდა. ბუნებრივია, თბილისის ტურნირზე ყველა ვერ გამოვა, მაგრამ ზოგს უცხოეთში გამოცდიან.

| 90 კგ. |
|---|
| 1. ვარლამ ლიპარტელიანი (რაჭა-ქვ. სვანეთი) |
| 2. ბესიკ ტყემალაძე (მცხეთა-მთიანეთი) |
| 3. დავით ლორიაშვილი (ქვემო ქართლი) |
| 3. იოსებ მსხალაძე (შიდა ქართლი) |

**ვარლამ ლიპარტელიანმა** წლეულს ყველგან გაიმარჯვა, სადაც კი იჭიდავა - ახალგაზრდებში საქართველოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე, 23-იანთა საქართველოს პირველობაზე. მან გუშინაც საუკეთფესოდ წარმოაჩინა თავი. ახალგაზრდობის მიუხედავადა, იგი პრაქტიკულად, ჩამოყალიბებული მოჭიდავეა, რომელიც ნამდვილად სერიოზულად შეებრძოლება წონის ლიდერებს - მსოფლიო ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძესა** და ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურს.** ამათი მეტოქეობით ძიუდოს ქომაგთ წინ დიდი სიამოვნება გველოდება. ისიც სხადია, რომ ეს ბიჭი ძალიან დიდ წარმატებებს მოიპოვებს. გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ზვიადაურის შემდეგ ასეთი ტალანტი არ გვინახავს. გაგვაოცა მისმა სისწრაფემ თუ ტექნიკურობამ, თუმცა ეს **გურამ მოდებაძის** შეგირდებს საერთოდ ახასიათებთ. თან, ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული. მაგალითად, ფიზიკურად ბევრად მაღალსა და ჯანიან **დავით ლორიაშვილს** ისეთი გდებები გაუკეთა. რამდენჯერმე თითქოს უიმედო, განწირული მდგომარეობიდან მოხერხებულადაც დაიძვრინა თავი.

ერთი სიტყვით, ლიპარტელიანის მიმართ მხოლოდ სამადლობელი თუ გვეთქმის. თუმცა ფინალი **ბესიკ ტყემალაძის** შეტევით დაიწყო და ერთხელ მიზანსაც კინალამ უწია, მაგრამ ამით გაბრაზებულმა ლიპარტელიანმა მალევე აიტაცა და სუფთაზე დასცა.

ტყემალაძემაც კარგად იჭიდავა და ნახევარფინალში ძალზე საინტერესო ბრძოლა მოუგო **იოსებ მსხალაძეს.** გარკვეულწილად, სკანდალურიც. ამ შეხვედრაში მსხალაძე ვაზარით დაწინაურდა, თუმცა მალე ტყემალაძემ ანგარიში გაათანაბრა და იქვე მეტოქესაც ბოჭავდა, მაგრამ რატომლაც მთავარმა მსაჯმა არც გდება შეაფასა, შეხვედრაც შეაჩერა და დგომიდან გაგრძელება ბრძანა. ბუნებრივია, ამას დიდი აურზაური მოჰყვა, რაც საბოლოოდ ვაზარის დაფიქსირებით დასრულდა, მაგრამ უცნაურად გაგრძელდა - მსაჯებმა შებოჭვის გაგრძელებაც ბრძანეს. წარმოიდგინეთ, ფეხბურთში რომ სადაო ბურთი თამაშდება, რალაც ამგვარი მოინდომეს, მაგრამ ძიუდოში ეს, ვგონებთ, უპრეცედენტო შემთხვევაა. საბოლოოდ ეს ხელახლა გადათამაშებული შებოჭვა ჩაიშალა, მსხალაძე მეტოქეს დაუძვრა. მისდამი დიდი სიმპატიების მიუხედავად, ტყემალაძე მოგებას ალალად იმსახურებდა. მსხალაძემ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში წმინდად დაამარცხა **ალექსანდრე მაისურაძე.** მათი მეტოქეობა ჯერ კიდევ იმ დროიდან მოდის, როცა ორივენი 81-ში ჭიდაობდნენ და ერთხელ საქართველოს ახალგაზრდული პირველობის ფინალში მაისურაძემ მოუგო კიდეც მსხალაძეს. მას შემდეგ მაისურაძე როგორლაც დაიკარგა და მისასალმებელია, ახლა ისევ რომ გამოჩნდა.

დასახელებულთა გარდა, აქ იგივე ლორიაშვილი და **გიორგი ცოციაშვილიც** კარგად გამოვიდნენ.

| 100 კგ. |
|---|
| 1. გიორგი ყიზილაშვილი (კახეთი) |
| 2. ლევან რაზმაძე (მცხეთა-მთიანეთი) |
| 3. ზურაბ ტოპეშაშვილი (თბილისი) |
| 3. მინდია ბოდაველი (მცხეთა-მთიანეთი) |

შეიძლება ითქვას, **გიორგი ყიზილაშვილი** ხელმეორედ დაუბრუნდა ნაკრებს - მისი გამოსვლა მხოლოდ ალმატებულ ხარისხში უნდა შევაფასოთ, რადგან ის ძველი ფალავანი გაგვახსენა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ. მანაც 5 შეხვედრა გამართა და აქედან მხოლოდ გიორგი **დულაშვილს** მოუგო ქულებით, სხვებს კი წმინდად აჯობა. ფინალის ჩათვლით, მისი უპირატესობა ყველა შეხვედრაში აშკარა იყო.

ცოტა მეტს ველოდით **რაზმაძისგან** - ფინალში კი გავიდა, მაგრამ ჭიდაობის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, მეტი შეუძლია. სასიამოვნო სიურპრიზი იყო **ზურაბ ტოპეშაშვილის** კარგი გამოსვლაც. იგივე შეიძლება ითქვას **მინდია ბოდაველზეც,** რომელმაც პირველად იჭიდავა 100 კილოში და ძველებურად ძლიერად, სწრაფად, შემართებით, ტექნიკურად.

| +100კგ. |
|---|
| 1. ზვიად ჩინჩალაძე (ქვემო ქართლი) |
| 2. ადამ ოქრუაშვილი (მცხეთა-მთიანეთი) |
| 3. ლევან მუქერია (რაჭა-ქვ. სვანეთი) |
| 3. გიგა გუბელაძე (იმერეთი) |

ლიდერთა არყოფნაში აქაც სამბისტმა ივარგა - **ზვიად ჩინჩალაძემ** ფინალში **ადამ ოქრუაშვილი** დააიპონა. მან ნახევარფინალში კიდევ ერთი პერსპექტიული ახალგაზრდა, ევროპის ახალგაზრდული პირველობის ვიცე-ჩემპიონი **ლევან მუქერია** დაამარცხა. ამ კონკურენციაში მისასალმებელია მუქერიას და **გიგა გუბელაძის** ალმოჩენა, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდებისა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ **შოთა ხაბარელმა** თბილისის ტურნირზე გამოსაყვანი შემადგენლობებიც დაასახელა: **ნესტორ ხერგიანი, დავით სიმონიშვილი, ბეთქილ შუკვანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი** (ყველა - 60), **ზაზა კედელაშვილი, მინდია ხომიზური, უჩა ხუციშვილი, დავით ასუმბანი** (66), **თენგიზ პაპოშვილი, დავით კუპრაშვილი, კახა მამულაშვილი, ზურაბ დილებაშვილი** (73), **საბა გავაშელიშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური, ვარლამ ლიპარტელიანი, ბესიკ ტყემალაძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი, გიორგი ყიზილაშვილი, ლევან რაზმაძე** (100), **ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ზვიად ჩინჩალაძე, ადამ ოქრუაშვილი** (+100). ხაბარელი ზოგიერთ წონაში ცვლილებებს არ გამორიცხავს. მაგალითად, შეიძლება 66-ში ხომიზური შეცვალოს, რადგან მან ოპერაცია გაიკეთა და საეჭვოა, ალიდგენს თუ არა ფორმას. ასევე არაა გამორიცხული შემადგენლობაში **დავით ქევხიშვილის** (73) ჩართვა, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემების გამო უპირებენ დასვენებას. 100 კილოში მეოთხე მონაწილეს საკონტროლო შეხვედრები გაარკვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიურ კომიტეტში



# სესია არ გაიმართება, თოფაძე პრეზიდენტად ერთი წლით რჩება

**ინტერვიუ** სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ გოგი თოფაძესთან.

**- ბატონო გოგი, ცნობილი გახდა, რომ 14 დეკემბერს დაგეგმილი სეოკ-ის საანგარიშო სესია აღარ ჩატარდება...**

- დიახ, მართალია. როდესაც ამ საკითხს ვიხილავდით, გავითვალისწინეთ ყველა ის გარემოება, რაც ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში მოხდა. ჩვენ გვქონდა წინასწარი კონსულტაციები სეოკ-ის ალმასკომის წევრებთან, მათ შორის სპორტის სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელებთან, სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტებთან და სხვებთან, რის შემდეგაც საჭიროდ ჩავთვალეთ 14 დეკემბრის სესია არ ჩატარებულიყო. ეს წინადადება შევთავაზეთ ალმასკომის წევრებს და მათგანაც სრული მხარდაჭერა მივიღეთ...

**- და მაინც, რა იყო კონკრეტული არგუმენტები?**

- გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებულ იქნა საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შედეგად შექმნილი სიტუაცია, აუცილებელი იყო პოლიტიკურ ბატალიებში სპორტული სამყაროს არაჯანსაღი ჩართვის შესაძლო შედეგების თავიდან აცილება, რაიმე ფორმით საბაბი არ უნდა მიგვეცა, რომ ეჭვის ქვეშ დამდგარიყო ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში სტაბილურობის შენარჩუნების საკითხი. და, რაც მთავარია, უნდა უზრუნველვყოთ ზაფხულის XIX ოლიმპიური თამაშების სპორტსმენთა მზადების პერიოდში საქმიანი, მშვიდი ატმოსფეროს შექმნა.

**- ე.ი. გამოდის, რომ დეკემბერში სეოკ-ის საანგარიშო სესიის ჩატარება მიზანშეწონილი არ არის?**

- შეკრების სახით, როგორც ეს ადრე ხდებოდა არა, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ სეოკ-ის სუბიექტებს გასაცნობად მივაწოდოთ ოლიმპიური კომიტეტის 2007 წლის საქმიანობის ანგარიში. ასე რომ, სეოკ-ის წესდების ეს მოთხოვნა ამ ფორმით შესრულდება.

**- ყოველწლიური საანგარიშო სესიის ჩატარების მიზანშეუწონლობა საერთაშორისო ოლიმპიურ სტრუქტურებთან შეთანხმების გარეშე შესაძლებელია?**

- რა თქმა უნდა, არა. სოკ-ი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტები აუცილებლად უნდა იყვნენ საქმის კურსში და ეს ასეც არის. ახლახან სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი ესწრებოდა ესპნეთის ქალაქ ვალენსიაში გამართულ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეას, სადაც როგორც სოკ-ის ასევე ეოკ-ის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ და მათგანაც სრული თანხმობა მიიღო.

**- მოდით დავკონკრეტდეთ - როგორც ჩანს, მიმდინარე ოლიმპიური ციკლის ბოლომდე თქვენ დაგეკისრებათ სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობა.**

- ადრე მე არაერთხელ დავაფიქსირე, რომ ჩემი დიდი დაკავებულობის გამო არ მქონდა სურვილი მეზიდა სეოკ-ის პრეზიდენტობის ტვირთი. თუმცა სეოკ-ის ალმასკომმა 24 ოქტომბერს მიილო გადაწყვეტილება, რომლითაც დამეკისრა სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება.

შექმნილი კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, იმის გააზრებით, რომ თამაშებამდე 7-8 თვეღა დარჩა და ახლა სეოკ-ში კარდინალური ცვლილებების ჩატარების დრო ნამდვილად არ არის, მე სეოკ-ის ალმასკომის გადაწყვეტილებას გაგებით ვეკიდები და მზად ვარ, ჩემს თავზე ეს პასუხისმგებლობა ავილო, მით უმეტეს, რომ მე ვგრძნობ როგორც სპორტის სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელების, ისე სეოკ-ისა და ფედერაციების მხარდაჭერას.

**- ე.ი. ქართული ოლიმპიური მოძრაობს თავკაცი 2008 წლის ბოლომდე ანუ ოლიმპიური ციკლის დასრულებამდე თქვენ იქნებით?**

- ასე გამოდის. ამ ოლიმპიური ციკლის ბოლომდე ასე იქნება.

**- როგორ მიმდინარეობს პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება?**

- ბუნებრივია, ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი თუ არ შეუშალა, არც შეუწყო თამაშებისთვის მზადების პროცესს. ოლიმპიადამდე დარჩენილ 8 თვეში ჯერ კიდევ მოასაპოვებელია ლიცენზების თითქმის ნახევარზე მეტი და თან პარალელურად მიმდნარეობს სპორტსმენთა მზადება. იმედია, ეროვნულ ფედერაციათა ხელმძღვანელები, მწვრთნელთა კორპუსი, სამედიცინო პერსონალი ამ ამოცანის გადაჭრას წარმატებით გაართმევენ თავს და ჩვენ შევძლებთ ჩინეთის დედაქალაქში 36-38 სპორტსმენით ასპარეზობას. თუმცა კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ, რომ ლიცენზიათა ნახევარი გაისად ჯერ კიდევ მოსაპოვებელია.

**- მზადების ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით რას იტყვით?**

- ამ კუთხით მდგომარეობა უფრო რთულადაა, მაგრამ არა გადაუჭრელად. სეოკ-ში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ ბევრი პროექტი შეჩერდა, გადაიდო მოლაპარაკებები და ახლა იძულებულნი ვართ, ბევრი რამ თავიდან დავიწყოთ.

გარკვეული სიძნელეები შეძლება შეიქმნას პეკინში გუნდის სპორტულ ეკიპირებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ კუთხით სპორტის დეპარტამენტთან აქტიურად ვთანამშრომლობთ და ვფიქრობ, ყველაფერი გაკეთდება, რათა ჩვენი ათლეტები ცნობილი ბრენდით და კარგი გემოვნებით იყვნენ შემოსილნი. რაც შეეხება ცივილურ აღკაზმულობას, იგი სავარაუდოდ თბილისში დამზადდება.

ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს უკრაინისა და თურქეთის ავიახაზებთან გუნდის პეკინში გადაყვანის თაობაზე. ამ მხრივ თავისი სამსახური შემოგვთავაზა უკრაინის ეოკ-ის პრეზიდენტმა, სოკ-ის ალმასკომის წევრმა სერგეი ბუბკამ.

როგორც სპორტის სახელმწიფო სტრუქტურების, ისე ჩვენი დიდი სურვილია, რომ პეკინში ფუნქციონირებდეს ქართული სახლი და ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი გაკეთდება, რათა ეს რეალობად იქცეს.

**- დაფინანსების მხრივ როგორ არის საქმე?**

- ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადებისა და მასში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ყველა პროექტის დაფინანსება გარანტირებული იქნება.

**- დაბოლოს, დღევანდელი გადასახედიდან როგორია თქვენი პროგნოზი ოლიმპიურ თამაშებში ქართველ სპორტსმენთა გამოსვლასთან დაკავშირებით?**

- ძალიან ძნელია პროგნოზების კეთება, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ჩვენი სპორტსმენების პოტენციალი გვაძლევს სამივე სინჯის მედლებზე ფიქრის საფუძველს.

**კახა ბერიძე**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრთა საყურადღებოდ: 2007 წლის 14 დეკემბერს დანიშნული სეოკ-ის საანგარიშო სესია აღარ ჩატარდება.**

სეოკ-ის ალმასკომი

## ჩოგბურთი

### იანვრის ბოლოს ბუდაპეშტის ხალიჩაზე

საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრები მომავალი წლიდან „ფედერაციის თასზე" ევროპა-აფრიკის I ზონაში იასპარეზებს. ეს უფლება ჩვენმა გუნდმა შარშან ნორვეგიის, ბოსნიის და სამხრეთ აფრიკის ნაკრებების ძლევით მოპოვა. მაშინ გუნდში **მაკა ჩახნაშვილი, სოფიო ქვაცაბაია, ოქსანა კალაშნიკოვა** და **ეკა გორგოძე** თამაშობდნენ. 2008 წელს პირველ ზონაში 15 ნაკრები ითამაშებს (სერბეთი, შვეიცარია, ბელარუსი, ჰოლანდია, შვედეთი, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, სლოვენია, ლუქსემბურგი, დანია, რუმინეთი, უნგრეთი, პორტუგალია და საქართველო). ტურნირი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში დარბაზში გაიმართება, 28 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით. ცნობისათვის, მეორე ზონას ტალინი (ესტონეთი) უმასპინძლებს, მესამეს - ერევანი (სომხეთი). უნგრეთში ოთხი ჯგუფი იქნება, აქედან ერთში სამგუნდიანი, საქართველო მეოთხე კალათშია. საქართველოს ნაკრები 765 ქულით 49-ე ადგილზეა მსოფლიო კლასიფიკაციაში.

### ნახევარფინალი ორანჯ ბოულზე

15 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილმა რიგით 61-ე „ორანჯ ბოულზე" 16-წლამდელთა ნახევარფინალში დაასრულა ასპარეზობა, ის მანამდე ორგზის გამარჯვებულმა ავსტრალიელმა **ბერნარდ ტომიჩმა** გამოთიშა, რომელიც წლეულს პირველ ნორმად იყო განთესილი - 3:6, 1:6. ტომიჩი ფინალში გავიდა, სადაც ბრაზილიელ **ჟოზე პერეირა და სილვას** შეხვდა. შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილმა ფლორიდაში ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირშიც, ერთი კვირის წინათ, ნახევარფინალს უწია. შარშან ბასილაშვილმა 14-წლამდელთა „ორანჯ ბოულზე" შეძლო ნახევარფინალში გასვლა.



ნიკოლოზ ბასილაშვილი



სოფიო შაფათავა

### პირველ ნომრად განთესეს

ჩეხეთის ქალაქ ვალასკე მეჟირიჩიში სტარტი აიღო 25-ათასიანმა საჩოგბურთო ტურნირმა, რომლის საკვალიფიკაციო წრეში ორი ქართველი სპორტსმენი მონაწილეობს. **სოფიო შაფათავას** არ გაუმართლდა, მას რეიტინგმა ძირითად ბადეში მოხვედრის შანსი ბოლოს წაართვა, ქართველი პირველ ჩოგნად განთესეს საკვალიფიკაციო ბადეში. ამავე ბადეში მერვე ნომრად განთესეს **თინათინ ყავლაშვილი**. ორივე ჩვენებური პირველ წრეში ისვენებდა. მეორე წრეში შაფათავა 17 წლის სლოვაკ **ლენკა ჟურიკოვას** შეხვდება. თინათინ ყავლაშვილი ახალზელანდიელ **დიან ჰოლენდს** (707) შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## თეთილი



**გიორგი სიხარულიძე.** 09.12.1909, თბილისი - 23.04.1975, იქვე. ქართული სპორტის ცნოილი მოღვაწე, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე 1954-73 წლებში. მისი თაოსნობით აშენდა არაერთი მნიშვნელოვანი სპორტული ნაგებობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სპორტის განვითარებას, საერთაშორისო სპორტული კავშირების გაფართოებას.

**შოთა ხინჩაგაშვილი.** დაიბადა 10.12.1951, დუშეთი. ფეხბურთი, მცველი. თამაშობდა რუსთავის „მეტალურგსა" (1968-69) და თბილისის „დინამოში" (1970-82). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 11 მატჩი, სსრკ უმაღლეს ლიგაში - 241. ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1981), სსრკ ჩემპიონი (1978), მეორე (1977) და ოთხგზის მესამე (1971, 76-გაზაფხული, 76-შემოდგომა, 81) პრიზიორი, სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1976, 79) და ფინალისტი (1970, 80). იყო თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსი (1986), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ველომრბოლი და ველოსპორტსმენთა თაობების აღმზდელი, საქართველოს და სსრკ დამსაურებული მწვრთნელი

**გურამ ჯოხაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 11, 12 XII; გამოსვენება 13 XII, 14 სთ; მისამართი ქურდიანის 4.

გურამ ჯოხაძე დაიბადა 1932 წლის 10 აპრილს, თბილისში. იყო ველოსპორტში საქართველოს მრავალგიზს ჩემპიონი, სსრკ ნაკრების წევრი. 1966-69; 1972 და 1978-81 წლებში მუშაობდა ტრეკზე მოასპარეზეთა მწვრთნელად სსრკ ნაკრებში; ხოლო 1966-69 წლებში - საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელად. იყო ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, მსოფლიო ჩემპიონის და ორგზის რეკორდსმენის, სსრკ ათგზის ჩემპიონის ომარ ფხაკაძის პირადი მწვრთნელი. გარდა ამისა, აღზარდა საერთაშორისო კლასის 6 და სსრკ 49 სპორტის ოსტატი.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



მაკაბი-ენერჯი ინვესტი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი. VIII ტური

# დინამო გუნდური გუნდია

8 დეკემბერი. სპორტის სასახლე

| ვითა-დინამო | 73:78 |
|---|---|

21:14, 19:17, 10:24, 23:23

ვითა: ნ. ნოზაძე (7ქ), მ. ბერიშვილი (22ქ, 9მ, 3პ), მარხვაშვილი (2ქ), ბ. ბერიშვილი (4ქ), მარკოიშვილი (16ქ), ბერძენიშვილი (8ქ), წივწივაძე (5ჩ), გვიმრაძე (7ქ), ლ. ნოზაძე (2ქ)

დინამო: გულისაბედაშვილი (9ქ), ნანაიტაშვილი, ჟღენტი (22ქ), სიგუა (6ქ), მაისურაძე (4ქ), ათანელიშვილი (12ქ, 9მ), ახალკაცი (25ქ, 10მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

| მაკაბი-ენერჯი | 79:94 |
|---|---|

16:26, 17:27, 22:18, 24:23

მაკაბი: დ. ბერიშვილი (2ქ), ი. ბერიშვილი (14ქ), სორდია (6ქ), გ. შერმადინი (29ქ), პირველაშვილი (4ქ), ვაშაკიძე (5ქ), კორკოტაძე (6ქ), ს. შერმადინი (8ქ), კოლუაშვილი (5ქ)

ენერჯი: გამყრელიძე (15ქ), ბაბიაშვილი (12ქ), სტეფანოვი (11ქ), ბოისა (11ქ), დიდია (6ქ), ლეჟავა (15ქ), ცეკვავა (8ქ), გოგობერიშვილი (12ქ), ტუჯანი (4ქ), ჭოჭუა (3ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

| ავიამშენი-თსუ | 78:85 |
|---|---|

18:19, 22:13, 20:28, 18:25

ავიამშენი: მინაშვილი (2ქ), შანიძე (6ქ), ხოშტარია (12ქ), ნიკოლაძე (27ქ), კვიმსაძე (5ქ), ტულუში (12ქ), იმნაძე (7ქ), ნინიაშვილი (5ქ), როდუმტა (2ქ), ბარბაქაძე, სუხიშვილი

თსუ: ფანჩულიძე (6ქ), ჩიტაშვილი (10ქ), მათიაშვილი (21ქ), კოხრეიძე (5ქ), ყველაშვილი (4ქ), ტყეშელაშვილი (2ქ), კეიდია (17ქ), ხეცურიანი (20ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი-ინვესტი | 7 | 7 | 0 | 14 |
| 2. ვითა | 7 | 4 | 3 | 11 |
| 3. თსუ | 7 | 3 | 4 | 10 |
| 4. დინამო | 7 | 3 | 4 | 10 |
| 5. მაკაბი | 7 | 2 | 5 | 9 |
| 6. ავიამშენი | 7 | 2 | 5 | 9 |

**ტურის მოვლენა: სიცივე.** მერვე ტურის ცენტრალური მატჩის წინასამატჩო პრესკონფერენციას დავარქვით - „ხალხნო, მოდით კალათბურთზე!" მაგრამ თურმე ვის და სად ვეპატიჟებოდით: სპორტის სასახლეში შაბათს ისე ყინავდა, რომ პინგვინებსაც შესცივდებოდათ. დაგვპირდნენ, რომ გასულ უქმეებამდე დარბაზში გათბობის სისტემა დამონტაჟდებოდა, მაგრამ ეტყობა, ვერ მოესწრო. იმედი დავიტოვოთ, რომ მომდევნო ტურის მატჩებამდე არენა გათბება და მიმოხილვის სიცივეზე საუბრით დაწყება აღარ მოგვიწევს.

**ტურის ფრაზა: ყველა-ყველაზე!** ამ ფრაზას „დინამო"-"ვითას" მატჩის მიმოხილვაში შეხვდებით, მანამდე გეტყვით, რომ პირველი ტაიმი დამაჯერებლად ჩაატარა „ვითამ", რომელმაც 20-წუთიანი მონაკვეთი 40:31 მოიგო. მეორე ნახევარში მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, რომელსაც „დინამო" ერქვა.

დიდი შესვენებიდან დაბრუნებული დინამოელები დაცვაშიც მწყობრად ირჯებოდნენ და შეტევაშიც კომბინაციურ კალათბურთს თამაშობდნენ. 9:0 - ასეთი სპურტი **გულივერ ახალკაცმა** ორი ზუსტი საჯარიმოთი დაასრულა და ანგარიში გაათანაბრა(40:40). **ზაზა ცაგარეიშვილის** გუნდი არც მიღწეულზე გაჩერდა, წინახაზელებს მხარი ტანდაბლებმაც აუბეს და ბოლო რაუნდის წინ **არჩილ ჟღენტმა** ორქულიანით 55:50 დააფიქსირა.

ბევრს სჯეროდა, რომ „ვითას" თამაშის შემობრუნების შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ, თურმე ცდებოდა. **ზურაბ ტომარაძის** გუნდი ლიდერის **ვაკო ბეჟანიშვილის** გარეშე თამაშობდა, დინჯ **დავით ბერძენიშვილს** თამაში ჩვეულად არ წაუვიდა, მხოლოდ **გიორგი მარკოიშვილი** ცდილობდა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ანგარიშში ქულების მოგროვებას. მანუს ახალგაზრდა მიხეილ ბერიშვილი სამქულიანებით ეხმარებოდა, მაგრამ მხოლოდ ინდივიდუალური ოსტატობა გუნდურად მოთამაშე „დინამოს" დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

საფინალო სირენამდე 1 წუთით ადრე ტაბლოზე დილმელთა სასარგებლოდ 73:67 ეწერა. სწორედ ამ დროს მწვრთნელის მითითების მიხედვით ყველა დინამოელს პირზე „ყველა-ყველაზე" ეწერა, მაგრამ **რევაზ ათანელიშვილს მიშა ბერიშვილი** გაეპარა და ანგარიშში სხვაობა 3 ქულამდე შემცირდა. ბოლო წუთზე „ვითამ" განზრახ ჯარიმებს მიმართა, მაგრამ ვერც ამით იხეირა. მატჩის ბედი კი 22 წამით ადრე გადაწყდა, როცა რეზო ათანელიშვილმა მეტოქის ფარიდან ჟღენტის მიერ ჯარიმოდან ნატყორცნი ბურთი მოხსნა - 76:71. საბოლოოდ - 78:73.

**ტურის მოთამაშე: გულივერ ახალკაცი.** მისი შეჩერება ვითელებს ძალიან გაუჭირდათ. ეს მისი სტატისტიკიდანაც ჩანს - 25 ქულა, 10 მოხსნა, 2 დაფარება, 1 პასი, 1 ჩაჭრა.

„მაკაბი"-"ენერჯის" დაპირისპირება ტურის ცენტრალურ შეხვედრად კი მოინათლა, მაგრამ იმედები ვერ გაამართლა. უფრო სწორად „მაკაბიმ" ვერ გაამართლა, რომელმაც სწრაფად მოთამაშე რუსთაველებს დაცვაში ვერაფერი დაუპირისპირეს, ხოლო შეტევაში „ენერჯის" კალათს გასაღები ვერაფრით ვერ მოარგეს.

ტურის მესამე მატჩში თსუ-მ „ავიამშენი" სეზონში მეორედ დაამარცხა. სტუდენტებს წინა ტურში ორი ლიდერი **შიო ხეცურიანი** და **ირაკლი კეიდია** აკლდათ და „ენერჯისთან" თანაბარ ბრძოლაში დამარცხდნენ. შაბათისთვის კი ორივე მათგანი დაუბრუნდათ და შედეგიც შესაბამისი იყო - 85:78. „ავიამშენთან" ხეცურიანმა 20 ქულა ჩააგდო, ხოლო კეიდიამ - 17.

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი — ლეგიონერები

# კლერმონი იბრძვის

**სარაგბო** ევროთასების გათამაშებაში, ჯგუფური ეტაპის პირველი წრის ბოლო შეხვედრები გაიმართა. ჰაინეკენის თასზე, რომელიც უფრო პრესტიჟულია, ქართველ მორაგბეთა ერთადერთი გუნდი ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძვის.

მესამე ტურის შეხვედრაში E ჯგუფში მოასპარეზე **დავით ზირაქაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „კლერმონმა" ლიდერი ინგლისური „ვოსფსი" მიიღო საკუთარ მოედანზე და 37:27 დაამარცხა. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ ჯგუფიდან გასვლისთვის სამი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. „კლერმონს", „ვოსფს" და ირლანდიურ „მანსტერს", რომელმაც სტუმრად დაამარცხა უელსში „ჰლანეჰლი" 29:16, თითო წაგება აქვთ.

E ჯგუფი. **მანსტერი-10 ქულა, კლერმონი-9, ვოსფსი-9, ჰლანეჰლი-0.**

A ჯგუფი. ბენეტონი (იტ)-ნიუპორტი (უელ) 33:35, ლონდონ აირიში (ირ)-პერპინიანი (საფ) 24:16; **ლონდონ აირიში-13 ქულა, პერპინიანი-9, ნიუპორტი-6, ბენეტონი-1.**

B ჯგუფი. ოსფრიზი (ინ)-ოლსტერი (ირ) 48:17, ბურგუენი (საფ)-გლოსტერი (ინ) 7:31; **გლოსტერი-14 ქულა, ოსფრიზი-9, ბურგუენი-5, ალსტერი-1.**

C ჯგუფი. ჰარლიქვინზი (ინ)-ბრისტოლი (ინ) 3:17, სტად ფრანსე (საფ)-კარდიფი (უელ) 12:6; **სტად ფრანსე-9ქულა, ბრისტოლი-8, კარდიფი-8, ჰარლიქვინზი-2.**

D ჯგუფი. სარასენზი (ინ)-ვიადანა (იტ) 71:7, გლაზგო (შოტ)-ბიარიცი (საფ) 9:6: **სარასენზი-11 ქულა, გლაზგო-10, ბიარიცი-9, ვიადანა-1.**

F ჯგუფი. ლენსტერი (ირ)-ედინბურგი (შოტ) 28:14, ლესტერი (ინ)-ტულუზი (საფ) 14:9; **ტულუზი-10 ქულა, ლესტერი-9, ლენსტერი-8, ედინბურგი-4.**

ჩელენჯ კაპის გათამაშებაში პირველი წრის შემდეგ თითქმის უშანსოდაა დარჩენილი **ირაკლი გიორგაძის** „დაქსი". ქართველ მორაგბეთა სხვა გუნდებს კი მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ გადასატანი აქვთ.

**A ჯგუფში მამუკა მაგრაქველიძის** „ოშმა" სტუმრად წააგო იტალიაში „ოვერმაკთან" 20:25. მამუკა განაცხადში არ იყო. ამავე ჯგუფში ფრანგული „ალბი" შინ დამარცხდა ინგლისის „ბასთან" 18:26; **ბასი-13 ქულა, ალბი-6, ოში-6, ოვერმაკი-5.**

**C ჯგუფში** დავით ხინჩაგიშვილის „ბრივმა" შინ დაამარცხა ესპანეთის „ელ სალვადორი" 71:0. ხინჩაგაშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ამავე ჯგუფში ირლანდიურმა „ქონოთმა" შინ დაამარცხა ინგლისური „ნიუკასლი" 16:13; **ნიუკასლი-10 ქულა, ბრივი-10, ქონოთი-9, ელ სალვადორი-0.**

**D ჯგუფში** ფბრძოლა მეორე ადგილისთვის მიმდინარეობს. მოცილეები ფრანგული კლუბები, **მამუკა გორგოძის** „მონპელიე" და **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონი" არიან. „მონპელიემ" სტუმრად დაამარცხა იტალიაში „პადოვა" 19:13. გორგოძის თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. „ბაიონმა" კი შინ წააგო ლიდერთან, ინგლისურ „სეილ შარქსთან" 12:51. კოპალიანმა თავიდან ბოლომდე ითამაშა; **სეილ შარკსი-15 ქულა, მონპელიე-8, ბაიონი-6, პადოვა-1.**

**E ჯგუფში** ერთმანეთის პირისპირ ძმები გიორგაძეების გუნდები დადგნენ. მასპინძელი **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი" იყო, რომელმაც **ირაკლის** „დაქსს" 25:15 მოუგო. ძმებს ერთმანეთის წინააღმდეგ არ უთამაშიათ. ამავე ჯგუფში, ინგლისში „ლიდსმა" იტალიის „კალვიზანოს" სძლია 45:5; **ლიდსი-14 ქულა, კასტრი-9, კალვიზანო-5, დაქსი-1.**

B ჯგუფი. ბუქარესტი (რუმ)-მონტობანი (საფ) 19:17, ვურსტერი (ინგ)-პარმა (იტ) 50:0; **ვურსტერი-14, მონტობანი-6, ბუქარესტი-6, პარმა-2.**

მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა საფრანგეთის ჩემპიონატის მე-2 დივიზიონში. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან გამარჯვებას მხოლოდ ერთმა მიაღწია.

**ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანი" სტუმრად ხვდებოდა აუტსაიდერ „ბლანიაკს" და 19:9 დაამარცხა. მაჩხანელი ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ მე-5 წუთზე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა.

გასვლით შეხვედრაში **ლევან ღვაბერიძის** „გრენობლთან" წაგებას გადურჩა **გია ლაბაძის** „ტულონი". გათამაშების ლიდერი ფრეს დასჯერდა 13:13. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ღვაბერიძე განაცხადში არ იყო.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა „მეტრო რასინგთან" **მერაბ კვირიკაშვილის** „პო" 6:11. კვირიკაშვილი განაცხადში არც ამჯერად ყოფილა. სტუმრად წააგეს თავიანთი შეხვედრები „ოიონაქსმა", „ორიიაკმა" და „ტარბმა". პირველმა „აჟენს" ვერაფერი მოუხერხა 3:16. ოიონაქსელთა შემადგენლობაში **დავით აშვეთია** 55-ე წუთიდან გამოჩნდა. ორიიაკელი **მალხაზ ურჯუკაშვილი** და „ტარბის" ბურჯი **იგორ ბარბაქაძე** კი განაცხადში არ იყვნენ. „ორიაკმა" 10:28 წააგო „ლა როშელთან", ხოლო „ტარბმა" „ლიმოჟთან" 3:6.

მეორე დივიზიონი. VII ტური. **ნარბონი-ბეზიე 8:20, აჟენი-ოიონაქსი 16:3, ლა როშელი-ორიაკი 28:10, პო-მეტრო რასინგი 6:11, ბორდო-ლიონი 9:12, ბლანიაკი-მონ დე მარსანი 9:19, ლიმოჟი-ტარბი 6:3, გრენობლი-ტულონი 13:13**

1. ტულონი-30 ქულა 2. მონ დე მარსანი-22, 3. აჟენი-21, 4. ლა როშელი-21, 5. მეტრო რასინგი-21, 6. გრენობლი-20, 7. ბეზიე-18, 8. ორიაკი-17, 9. პო-16, 10. ოიონაქსი-14, 11. ლიონი-14, 12. ნარბონი-13, 13. ლიმოჟი-12, 14. ტარბი-8, 15. ბორდო-7, 16. ბლანიაკი-3.

**ბესიკ ჯანგავაძე**



კლერმონი-ვოსფსი

კალათბურთი

## დანკანი ხვალ დაბრუნდება

„სან ანტონიო სპურსის" ლიდერი **ტიმ დანკანი** ამ კვირას დაუბრუნდება რეგულარულ ჩემპიონატს. ფორვარდი უკვე რამდენიმე დღეა, რაც გამოჯანმრთელდა, მაგრამ „სპურსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** ვერ გარისკა უიქ ენდზე თავისი გუნდის ლიდერის „სიეტლისა" და „იუტას" წინააღმდეგ შემადგენლობაში დაყენება.

სავარაუდოდ, დანკანი გუნდს ხვალ, „გოლდენ სტეიტთან" მატჩში დაუბრუნდება.

## სანტიაგო მეშვიდე ტურის რჩეულია

გასულ კვირას, ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მეშვიდე ტური გაიმართა და საუკეთესო მოთამაშედ ესპანეთის „უნიკახას" ცენტრალური თავდამსხმელი **დანიელ სანტიაგო** დასახელდა.

მართალია, მალაგას კლუბმა თურქულ „ეფეს პილსენთან" წააგო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია სანტიაგოსთვის ყველაზე მეტი - 34 სარეიტინგო ქულა დაეგროვებინა. იმ მატჩში კალათბურთელის ანგარიშზე იყო 25 ქულა (თამაშიდან 12-დან 8 ზუსტი ტყორცნა და 9-დან 9 ზუსტი საჯარიმო), 8 მოხსნა და 1 დაფარება.

ჩოგბურთი

## ფილიპუსისი შესარჩევს ითამაშებს

ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი **მარკ ფილიპუსისი** მომავალი სეზონში „დიდი სლემის" პირველ ტურნირში - ავსტრალიის ღია პირველობაში აპირებს მონაწილეობას. ამისთვის, ფილიპუსისს საკვალიფიკაციო ტურნირში თამაში მოუწევს, სადაც აგრეთვე განაცხადი აქვთ შეტანილი **რობერტ სმიტსს, ალან ჯონსს, ჯოზეფ სირანის, ნიკ ლინდალს** და სხვებს. ეს ტურნირი 15-21 დეკემბერს მელბურნში ჩატარდება.

ავსტრალიის ღია პირველობა 14 იანვარს დაიწყება და 27 იანვარს, მამაკაცების ფინალით დასრულდება.

## კანიასი ავსტრალიის ღიას გამოტოვებს

ამასობაში, ავსტრალიის ღია პირველობას ATP -ის საუკეთესო ოცეულის ერთი წევრი გამოაკლდა. „დიდი სლემის" პირველი ტიტულისთვის ვერ იბრძოლებს არგენტინელი გილერმო კანიასი - მას მაჯის ტრავმა აწუხებს და დიდი ხანი ვერ შეძლებს თამაშს.

გასულ სეზონში **როჯერ ფედერერის** ორგზის მძლეველი არგენტინელი, 2008 წლის აპრილისთვის აპირებს დიდ სპორტში დაბრუნებას.

## შარაპოვა ფედერაციის თასზე იქნება

ფედერაციის თასზე რუსეთის ნაკრების კაპიტანმა **შამილ ტარპიშჩევმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ გაისად გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზე დებიუტი ექნება **მარია შარაპოვას**.

ტარპიშჩევის თქმით, უკვე მიღწეულია შეთანხმება ჩოგბურთელთან და მის აგენტებთან. ასე რომ, მარია გაისად ისრაელის ნაკრებს დაუპირისპირდება.

## მალისე დევისის თასს უბრუნდება

მომავალ წელს, დევისის თასზე გაძლიერებული შემადგენლობით იასპარეზებს ბელგიის ნაკრები. ამ გუნდში ბრუნდება ქვეყნის პირველი ნომერი **ქსავიე მალისე**. თუმცა ეს უკანასკნელი ტრავმის გამო გამოტოვებს ჩეხეთთან პირველი წრის შეხვედრას და თავის გუნდს მომდევნო რაუნდებში შეუერთდება.

აქამდე, მალისემ დევისის თასის წინა გათამაშებები ტრავმებისა და მწვრთნელებთან უთანხმოების გამო გამოტოვა.

ფორმულა 1

## რალფი ფორმულას ემშვიდობება?

ესპანეთის ხერესში გამართულ ტესტებზე, გერმანელი **რალფ შუმახერი** ფორმულა 1-ის ახალი გუნდის, „ფორს ინდიას" ბოლიდით ასპარეზობდა და ყველაზე უარესი დრო აჩვენა. სატესტო სერიის შემდეგ, უმცროსი შუმახერი ჟურნალისტებს გაესაუბრა და განაცხადა, რომ შესაძლოა, გასულ კვირას ის ბოლოჯერ იჯდა ფორმულა 1-ის მანქანის საჭესთან. რალფის თქმით, ის ამაზე ჯერ კიდევ 2007 წლის სეზონის შუაში დაფიქრდა.

*„არა მგონია, რომ მომავალ წელს „ფორს ინდიაში" ადგილი მერგოს. დღეს ჩემთვის ოპტიმალური გადაწყვეტილება უნდა მივიღო. მინდა კარიერა ფორმულა 1-ში გავაგრძელო, მაგრამ ეს არ არის ჩემთვის აუცილებელი"*, - აცხადებს შუმახერი.

როგორც იცით, გერმანელი ამჟამად უგუნდოდ არის დარჩენილი და ის სხვა გამოცდილ პილოტებთან ერთად, „ფორს ინდიაში" მოსახვედრად იბრძვის.

ამასობაში, რალფის წარუმატებლობებს გამოეხმაურა მისი უფროსი ძმა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი. ავტოსპორტის ლეგენდა თვლის, რომ რალფი უნდა დაფიქრდეს, ღირს თუ არა აუთსაიდერ გუნდებში ტესტების გაგრძელება, როცა წინასწარ არის გარკვეული, რომ ბოლო ადგილს ვერ გაცდები. მიხაელმა ძმას ფორმულა 1-ის რბოლებისგან დასვენება ურჩია.

ცურვა

## ჰეკეტმა ღია წყალზე იმარჯვა

ლეგენდარულმა ავსტრალიელმა მოცურავემ, 1500 მეტრზე ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **გრანტ ჰეკეტმა** ავსტრალიის ჩემპიონატში ღია წყალზე 10-კილომეტრიანი დისტანცია მოიგო. მისი დრო იყო საათი, 54 წუთი და 39 წამი. მეორე ადგილზე გავიდა **კი ჰარსტი,** რომელიც გამარჯვებულს 4.5 წამით ჩამორჩა.

ახლა, ჰეკეტი და ჰარსტი მაისში, სევილიაში დაგეგმილ მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებენ. ის სპორტსმენები, რომლებიც ამ ტურნირზე პირველ ათ ადგილს დაიკავებენ, პეკინის ოლიმპიადის საგზურებს მოიპოვებენ.

ოლიმპიზმი

## მიუნხენი ზამთრის ოლიმპიადას უმიზნებს

გერმანიის ქალაქმა მიუნხენმა 2018 წლის ზამთრის თამაშების მასპინძლობაზე თავისი კანდიდატურა წამოაყენა.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გერმანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ჰამბურგში გამართულ სხდომაზე. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვოლფგანგ შოიბლემ** ფედერალური მთავრობის სახელით, მიუნხენის საგანაცხადო კომიტეტს სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

მიუნხენელთა გეგმით, თოვლზე ასპარეზობები გარმიშ-პარტენკირხენში გაიმართება (90 კილომეტრი მიუნხენიდან), ბობსლეიში, სკელეტონსა და ციგაობაში - ავსტრიის კურორტ კენიგზეეში (160 კმ). როგორც გერმანელები ვარაუდობენ, მიუნხენის ყველაზე ძლიერი კონკურენტი იქნება ჩრდილოეთ კორეის ქალაქი პიონჩანგი, რომელიც ზედიზედ მესამედ აპირებს თავისი კანდიდატურის წამოყენებას.

2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს 2011 წელს აირჩევენ.

კალათბურთი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

### 7 დეკემბერი

**სან ანტონიო-იუტა 104:98**

21:29, 29:22, 22:25, 32:22

**სან ანტონიო:** ჯინობილი (37 ქ. 8 მ. 6 პ. 3 ჩ), ტ. პარკერი (16 ქ. 7 პ. 2 ჩ), ფინლი (15 ქ. 5 მ), ბონერი (13 ქ), ობერტო (4 ქ. 11 მ. 3 პ. 2 ჩ).

**იუტა:** დ. უილიამსი (28 ქ. 10 პ), ბუზერი (28 ქ. 17 მ. 4 პ. 2 ჩ), რ. ბრიუერი (14 ქ. 5 მ).

**ვაშინგტონი-ფინიქსი 107:122**

26:30, 29:30, 21:40, 31:22

**ვაშინგტონი:** ბლატჩე (19 ქ. 10 მ), ჯეიმისონი (16 ქ. 11 მ), რ. მეისონი (15 ქ. 2 ჩ), ჰეივუდი (14 ქ), ნ. იანგი (13 ქ), კ. ბატლერი (12 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), ა. დენიელსი (12 ქ. 7 პ. 4 მ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (27 ქ. 8 მ. 2 დ), რ. ბელი (22 ქ. 5 პ), ბარბოსა (20 ქ. 7 პ. 4 მ), გ. ჰილი (18 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ), ნეში (12 ქ. 19 პ. 5 მ), მერიონი (12 ქ. 10 მ. 2 ჩ).

**ორლანდო-ინდიანა 109:115**

32:28, 30:26, 25:30, 22:31

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (30 ქ. 15 მ. 4 ჩ), რ. ლიუისი (24 ქ), ბოგანსი (14 ქ), თურქოღლუ (11 ქ. 5 პ. 4 მ. 2 ჩ), ნელსონი (11 ქ. 5 პ. 4 მ. 2 ჩ), მ. ევანსი (11 ქ. 2 ჩ).

**ინდიანა:** გრეინჯერი (27 ქ. 4 მ. 4 ჩ. 2 დ), ტინსლი (20 ქ. 10 პ. 7 მ. 2 ჩ), ჯ. ონილი (15 ქ. 6 მ. 2 ჩ. 2 დ), მ. დენიელსი (13 ქ. 7 პ. 4 მ), მ. დანლივი-უმცროსი (12 ქ. 6 მ. 2 ჩ), მერფი (12 ქ. 6 მ), ფოსტერი (!0 ქ. 8 მ. 2 ჩ).

**ფილადელფია-ნიუ იორკი 101:90**

26:27, 25:22, 21:18, 29:23

**ფილადელფია:** დალემბერი (20 ქ. 8 მ. 3 დ), იგუოდალა (15 ქ. 4 მ. 4 პ), ლ. უილიამსი (15 ქ. 6 პ. 2 ჩ), უ. გრინი (14 ქ), რ. ევანსი (11 ქ. 12 მ), ა. მილერი (9 ქ. 11 პ. 7 მ).

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (28 ქ. 8 პ. 4 მ), ლი (16 ქ. 11 მ. 3 ჩ), კ. რიჩარდსონი (15 ქ. 8 მ), კარი (12 ქ. 5 მ), ფ. ჯოუნსი (11 ქ).

**დეტროიტი-ჩიკაგო 91:98**

17:23, 26:22, 28:27, 20:26

**დეტროიტი:** ბილაპსი (27 ქ. 7 პ. 4 მ), რ. ჰამილტონი (24 ქ), რ. უოლასი (18 ქ. 7 მ. 3 პ. 3 დ. 2 ჩ).

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (22 ქ. 5 პ), დენგი (17 ქ. 9 მ), დიუჰონი (12 ქ), ნოა (11 ქ), გორდონი (11 ქ), ბ. უოლასი (10 ქ. 13 მ. 4 პ. 4 დ), ჯო სმიტი (6 ქ. 14 მ), ჰაინრიხი (9 ქ. 6 მ. 6 პ).

**ბოსტონი-ტორონტო 112:84**

27:16, 35:24, 29:15, 21:29

**ბოსტონი:** გარნეტი (23 ქ. 6 მ), პირსი (18 ქ. 6 პ. 5 მ. 2 დ), რ. ალენი (13 ქ. 6 მ), ე. ჰაუსი (13 ქ. 2 ჩ), პოუსი (10 ქ. 10 მ. 3 პ).

**ტორონტო:** ე. პარკერი (13 ქ. 5 მ. 4 ჩ), ტი. ჯეი. ფორდი (12 ქ), ჯ. გრემი (12 ქ. 6 მ), დიქსონი (12 ქ).

**ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი 89:96**

18:28, 15:20, 27:24, 29:24

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (32 ქ. 7 მ), რ. ჯეფერსონი (29 ქ. 2 ჩ), კიდი (10 ქ. 7 მ. 7 პ), ნახბარი (10 ქ).

**ჰიუსტონი:** მინი (25 ქ. 11 მ. 5 პ. 3 დ), მაკგრეიდი (24 ქ. 6 პ), ალსტონი (15 ქ. 2 ჩ), ბეტიე (12 ქ. 6 პ. 5 მ. 3 ჩ).

**ნ. ორლეანი-მემფისი 118:116 (ო)**

25:21, 30:26, 30:33, 22:27, 11:9

**ნიუ ორლეანი:** პოლი (43 ქ. 9 პ. 5 მ. 4 ჩ), დევიდ უესტი (27 ქ. 9 მ), ჩენდლერი (13 ქ. 19 მ).

**მემფისი:** გეი (31 ქ. 4 პ. 2 ჩ. 2 დ), გასოლი (26 ქ. 10 მ. 7 პ), მ. მილერი (26 ქ. 5 მ), ლოური (14 ქ. 9 მ. 9 პ).

**საკრამენტო-კლიპერსი 87:97**

28:22, 24:19, 18:30, 17:26

**საკრამენტო:** არტესტი (21 ქ. 2 ჩ), უდრიხი (13 ქ), მ. მური (13 ქ. 8 მ), ბ. მილერი (11 ქ. 7 მ. 5 პ), სალმონსი (10 ქ. 10 მ. 5 პ).

**კლიპერსი:** კამანი (26 ქ. 12 მ. 4 პ. 3 დ), მაგეტი (18 ქ. 9 მ. 2 ჩ), ტიმ ტომასი (17 ქ. 7 მ. 5 პ), მობლი (12 ქ), პატერსონი (10 ქ. 5 მ. 4 ჩ).

**გოლდ. სტ-მაიამი 120:113**

30:39, 26:27, 26:25, 38:22

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (28 ქ), ბ. დევისი (25 ქ. 7 პ. 4 ჩ), მ. ელისი (21 ქ. 5 მ. 4 პ), ბიედრინსი (14 ქ. 12 მ. 2 ჩ), აზუბუიკე (13 ქ. 7 მ), ე. ჰარინგტონი (12 ქ. 5 მ).

**მაიამი:** უეიდი (33 ქ. 10 პ), რ. დევისი (20 ქ. 10 მ), დ. რაიტი (19 ქ. 17 მ. 2 დ), შ. ონილი (13 ქ. 10 მ. 2 ჩ), ჰასლემი (10 ქ. 9 მ).

**სიეტლი-მილუოკი 104:98**

31:24, 22:25, 20:19, 31:30

**სიეტლი:** დიურანი (35 ქ. 8 მ. 5 დ), უილკოქსი (14 ქ. 13 მ), კოლისონი (12 ქ. 8 მ), შჩერბიაკი (12 ქ), უოტსონი (12 ქ. 9 პ. 5 მ), კურტ ტომასი (8 ქ. 11 მ).

**მილუოკი:** რედი (41 ქ. 3 პ), მო უილიამსი (13 ქ. 6 პ), ბოგუტი (13 ქ. 11 მ. 3 პ. 3 დ), ქსიანლიანი (13 ქ).

### 9 დეკემბერი

**ატლანტა-მემფისი 86:78**

25:10, 14:18, 29:23, 18:27

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (25 ქ. 7 მ. 3 პ. 3 ჩ), ჯო ჯონსონი (17 ქ), მერვინ უილიამსი (17 ქ. 10 მ. 3 პ. 3 ჩ), ჰორფორდი (8 ქ. 14 მ).

**მემფისი:** გეი (17 ქ. 11 მ. 4 პ), ლოური (15 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), უორიკი (14 ქ. 8 მ), გასოლი (13 ქ. 10 მ. 3 პ), კინსი (12 ქ).

**ჩიკაგო-ბოსტონი 81:92**

18:21, 25:26, 16:22, 22:23

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (16 ქ. 6 პ. 3 ჩ), დენგი (15 ქ. 7 მ. 4 პ), გორდონი (13 ქ), ჯო სმიტი (10 ქ), ბ. უოლასი (8 ქ. 14 მ. 3 პ. 2 დ).

**ბოსტონი:** რ. ალენი (21 ქ), რონდო (18 ქ. 7 მ. 5 პ), გარნეტი (16 ქ. 9 მ. 7 დ. 3 პ), პოუსი (11 ქ), პირსი (10 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), გ. დევისი (8 ქ. 11 მ).

**შარლოტი-კლივლენდი 96:93**

25:26, 26:25, 18:17, 27:25

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (22 ქ. 7 მ. 5 დ. 4 ჩ), ოკაფორი (19 ქ. 5 მ. 2 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (18 ქ. 8 მ. 3 პ. 3 ჩ. 2 დ), ფელტონი (15 ქ. 6 პ).

**კლივლენდი:** ჰიუზი (22 ქ. 2 ჩ), გიბსონი (15 ქ), ს. ბრაუნი (15 ქ), ნიუბლი (14 ქ. 5 მ).

**ნიუ იორკი-ფილადელფია 77:105**

19:24, 18:25, 20:26, 20:30

**ნიუ იორკი:** ნ. რობინსონი (25 ქ), ფ. ჯოუნსი (11 ქ. 2 ჩ), ლი (10 ქ. 11 მ. 3 ჩ).

**ფილადელფია:** უ. გრინი (18 ქ. 2 ჩ), იგუოდალა (17 ქ. 9 პ. 4 მ. 2 ჩ. 2 დ), კორვერი (14 ქ), ტ. იანგი (14 ქ. 5 მ), ა. მილერი (11 ქ. 10 პ. 3 ჩ), რ. ევანსი (6 ქ. 14 მ. 2 ჩ).

**მინესოტა-ფინიქსი 100:93**

28:32, 27:24, 32:24, 13:13

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (32 ქ. 20 მ. 4 ჩ), იარიჩი (19 ქ. 5 პ), კ. სმიტი (16 ქ. 8 მ), ტელფეირი (10 ქ. 6 პ), მაკკენტსი (10 ქ), კ. ბრიუერი (6 ქ. 11 მ. 4 პ).

**ფინიქსი:** მერიონი (18 ქ. 6 მ. 4 დ), ბარბოსა (17 ქ. 2 ჩ), ა. სტაუდმაიერი (16 ქ. 5 მ. 2 დ), ნეში (14 ქ. 15 პ. 4 მ), გ. ჰილი (13 ქ. 2 დ).

**დალასი-იუტა 125:117**

28:23, 30:25, 32:34, 35:35

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (47 ქ. 10 მ), დემპიე (21 ქ. 5 მ. 2 დ), ტერი (19 ქ. 5 პ. 2 ჩ), ნოვიცკი (16 ქ. 8 მ. 3 პ), დ. ჰარისი (10 ქ. 12 პ. 3 ჩ), სტექჰაუზი (10 ქ).

**იუტა:** დ. უილიამსი (41 ქ. 7 პ. 2 ჩ), ბუზერი (24 ქ. 5 მ. 4 პ), ჰარპრინგი (11 ქ. 6 მ), კირილენკო (10 ქ. 8 პ), ოქური (10 ქ).

**დენვერი-საკრამენტო 101:97**

34:34, 25:13, 18:31, 24:19

**დენვერი:** აივერსონი (23 ქ. 10 პ. 4 მ), კენიონ მარტინი (20 ქ. 12 მ. 5 დ. 3 ჩ), ე. კარტერი (17 ქ. 9 პ. 4 ჩ. 2 დ), ენტონი (14 ქ. 7 მ. 3 დ), კემბი (8 ქ. 13 მ. 4 პ. 3 დ. 2 ჩ).

**საკრამენტო:** სალმონსი (25 ქ. 6 მ. 4 ჩ. 3 პ), უდრიხი (24 ქ. 7 პ. 4 მ. 3 ჩ), გარსია (21 ქ. 4 ჩ), მ. მური (10 ქ. 13 მ), არტესტი (10 ქ. 11 პ. 5 ჩ).

ჩოგბურთი

WTA-ს ტური

## უილიამსებმა აქაც გაიმარჯვეს

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) ვებ-გვერდზე ჩატარდა გამოკითხვა, რომელსაც უნდა გამოევლინა ქალთა ჩოგბურთში გასული სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა. გამარჯვებულები გახდნენ დები **უილიამსები** - მათი ტრიუმფი უიმბლდონსა და ავსტრალიის ღია პირველობაზე ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად გამოაცხადდა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 4 ათასმა გულშემატკივარმა და მათგან 27 პროცენტმა თავიანთი ხმა ამერიკელ ჩოგბურთელებს მისცეს.

ავსტრალიის ღია პირველობაზე **სერენა უილიამსი** განუთესავ ჩოგბურთელებში მოხვდა. მან 7 მატჩი მოიგო, აქედან ხუთში განთესილი მეტოქეები დაამარცხა და ფინალში რუსი **მარია შარაპოვა** გაანადგურა.

ვენუს უილიამსმა უიმბლდონზე იმარჯვა. მანაც ერთ-ერთ მატჩში შარაპოვა დაამარცხა, ოღონდ უფრო ადრეულ ეტაპზე (1/8 ფინალი), ფინალში კი, იქ სენსაციურად გასულ ფრანგ **მარიონ ბარტოლის** ორ სეტში სძლია.

პოპულარობის მხრივ მეორე ვარიანტი იყო - „სერბების შემოსევა". მას გამოკითხულთა 23 პროცენტმა დაუჭირა მხარი. მართლაც, ამ სეზონში **ელენა იანკოვიჩი** და **ანა ივანოვიჩი** ძალიან ღირსეულად გამოვიდნენ. მათ ჯამში 7 ტიტული (ელენამ ოთხი, ანამ - სამი) მოიპოვეს. ივანოვიჩი როლან გაროსის ფინალში გავიდა. საბოლოოდ, იანკოვიჩმა წელი მესამე ჩოგანის რანგში დაასრულა, ივანოვიჩი - რეიტინგის მეოთხე ნომერია.

მესამე ვარიანტი უკავშირდებოდა ბელგიელ **ჟუსტინ ანენს**. მსოფლიოს პირველ ნომერს ხმების 21 პროცენტი ერგო. მეოთხე მოვლენაა - შვილის გაჩენის შემდეგ, ამერიკელი **ლინდსი დავენპორტის** დიდ ჩოგბურთში დაბრუნება (15 პროცენტი), **მარიონ ბარტოლის** წარმატებული სეზონი (8%) და **კარა ბლეკისა** და **ლიზელ ჰუბერის** წყვილის ბრწყინვალე თამაში.



სკანდალის გამოხმაურება

## მაკინროის მაფიის ეშინია



ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **ჯონ მაკინროი** Daily Telegraph-სთვის მიცემულ ინტერვიუში ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებულ ბოლოდროინდელ სკანდალებს გამოეხმაურა. კერძოდ, მაკინროი აცხადებს, რომ როგორც ჩანს, ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფი აშანტაჟებდა და ემუქრებოდა ჩოგბურთელებს და მათი ოჯახის წევრებს, შესაბამისად, მოთამაშეებს მატჩების შეგნებულად დათმობა უწევდათ.

*„ჩემ გულისტკივილს იწვევს ის, რომ ამ ფაქტებთან შეიძლება დაკავშირებული იყვნენ მაგალითად რუსული მაფიის წარმომადგენლები. და ეს ყველაფერი შეიძლება ძალიან ბნელ და საშინელ ისტორიაში გადაიზარდოს.*

*ვფიქრობ, რომ, როცა საქმე საუბარი ეხება ჩაწყობილ თამაშებს, არავინ განიხილავს ამ პრობლემას სწორედ ამ ჭრილში. იქნებ, რომელიმე მოთამაშეს ემუქრებოდნენ და ისიც ამის გამო გაეხვა ამ უსიამოვნო სიტუაციაში. ჩემი აზრით, ეს თამაშის „დათმობის" უფრო რეალური ახსნაა, ვიდრე გამდიდრების მომენტი.*

*როცა საუბარია ჩოგბურთის ვარსკვლავებზე, სისულელეა მათი მხრიდან ფულის გამო მატჩის გაყიდვა, ისინი ხომ იმ ყველაფერით რისკავენ, რისთვისაც ცხოვრებაში მიუღწევიათ. მხოლოდ გიჟი და სულელი წავა ფულის გულისთვის ასეთ რისკზე. უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მათ დაემუქრნენ და ამიტომაც წააგეს ესა თუ ის მატჩი.*

*მაგრამ არსებობენ ბიჭები, რომელთა რაოდენობაც .100-200 გახლავთ, რომლებიც წელიწადში მაქსიმუმ 50 ათას ფუნტს გამოიმუშავებენ. და თუ ვინმე მათ დამატებით 50 ათასს შესთავაზებს, ჩემი აზრით, ისინი არც დაფიქრდებიან, ისე აიღებენ ამ თანხას.*

*ისეთი. მაღალი დონის მოთამაშე, როგორიც ნიკოლაი დავიდენკოა, დიდ ფულს შოულობს და არ სჭირდება დამატებითი შემოსავლისთვის რისკზე წასვლა. თუ მას არაპატიოსან თამაშში გამოიჭერენ, ეს რუსის ჩოგბურთელის კარიერის დასასრული იქნება. საერთოდ კი, ძნელი დასამტკიცებელია, რომ ვინმემ თამაში გაყიდა, თუ არ მოისმენ მის სატელეფონო ჩანაწერებს და არ შეამოწმებ პირად ელფოსტას"*, - ამბობს ჯონი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბები




ვენსან ლეკავალიე

### ტამპა ლეკავალიეს გაუშვებს?

„ტამპა ბეი ლაითნინგი" კვალიფიციური მცველების დეფიციტს განიცდის. კლუბის ხელმძღვანელობამ დაცვითი ხაზის გასაძლიერებლად ტრანსფერზე დააყენა სათადარიგო მეკარე **მარკ დენი**, მაგრამ ამ უკანასკნელის პიროვნებით NHL-ის არცერთი კლუბი არ დაინტერესებულა.

გუშინ, გაზეთმა Toronto Sun-მა საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. როგორც აღმოჩნდა, „ტამპას" გენერალური მენეჯერი **ჯეი ფისტერი** მზად არის შეელიოს გუნდის ლიდერს, **ვენსან ლეკავალიეს** და მის ნაცვლად მაღალი დონის მცველი დაიმატოს.

აღსანიშნავია, რომ ლეკავალიეს კონტრაქტში არ არსებობს პუნქტი იმის შესახებ, რომ კლუბს ეკრძალება ჰოკეისტის გაცვლა. შეგახსენებთ, ლეკავალიე წლევანდელი რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირია. 29 მატჩში მის ანგარიშზე 45 ქულაა (19 გოლი+26 შედეგიანი პასი).

### სუნდინმა დეტროიტი იუარა

„ტორონტო მეიპლ ლივზის" კაპიტანმა **მატს სუნდინმა** უარი განაცხადა „დეტროიტში" გადასვლაზე. ამასთან, შვედმა ვეტერანმა მადლობა გადაუხადა „რედ უინგზის" ხელმძღვანელობას გამოჩენილი ინტერესის გამო.

Toronto Sun-სთვის მიცემულ ინტერვიუში სუნდინმა განაცხადა, რომ უკვე გარკვეული აქვს ის გუნდი, სადაც დაასრულებს კარიერას. *„თამაშს აქ, ტორონტოში დავასრულებ. არსად წასვლის სურვილი არ მაქვს"*, - თქვა შვედმა.

შეგახსენებთ, რომ „დეტროიტის" გენერალური მენეჯერი **კენ ჰოლანდი** სუნდინის გაფორმებას იმ შემთხვევაში აპირებდა, თუ რეგულარულის მეორე ნაწილში გაირკვეოდა, რომ „ტორონტო" ვერ ხვდება პლეიოფში.

### მინესოტა იყიდება

შესაბამისი წინადადების შემთხვევაში, „მინესოტა უაილდის" მფლობელები უარს არ იტყვიან კლუბის გაყიდვაზე - წერს სააგენტო „როიტერი. „უაილდი" ამჟამად ეკუთვნის ჰოდინგს, რომლის მფლობელობაშია NBA-ის კლუბი „მინესოტა ტიმბერლვულვზი".

ამ კლუბის მიმართ ინტერესს რამდენიმე ბიზნეს-ჯგუფი გამოთქვამს, მაგრამ ფავორიტი „ნეშვილ პრედატორზის" ყოფილი მეპატრონე **კრეიგ ლეოპოლდია**.

### რუჩინსკი მწყობრშია, მაგრამ ვერ თამაშობს

მალე დაუბრუნდება ყინულს „სენტ ლუის ბლუზის" ერთ-ერთი ლიდერი **მარტინ რუჩინსკი**. ჩეხმა ფორვარდმა ერთი კვირის წინ მიიღო ხელის ტრავმა და ახლა უკვე გამოჯანმრთელდა, მაგრამ როგორც კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, ის ჯერ ვერ შეძლებს უახლოეს ტურებში თამაშს.

ამ სეზონში 36 წლის ჰოკეისტმა 19 მატჩში 10 ქულა (3+7) დააგროვა.

### ტორონტომ ლეგიონერები გაუშვა

„ტორონტო მეიპლ ლივზმა" თავისი ორი ჰოკეისტი გაუშვა ფარმ-კლუბში. კანადური კლუბისთვის დროებით გამოუსადეგარი გახდა ორი ლეგიონერი - ჩეხი ფორვარდი **ირჟი ტლუსტი** და შვედი მცველი **სტეფან კრონვალი**.

ტლუსტიმ ამ სეზონში 13 მატჩი ჩაატარა და 5 ქულა (2+3) დააგროვა. კრონვალმა კი, 10 შეხვედრაში ორი საჯარიმო წუთით გამოიჩინა თავი.

### განიეს მსოფლიოზე არ უშვებენ

„ედმონტონ ოილერზის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე არ გაუშვას ფორვარდი **სემ განიე**. ეს ჰოკეისტი წელს NHL-ში თავის პირველ სეზონს ატარებს.

*„გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. ვფიქრობ, ნაკრების გულშემატკივრები და თავად განიე ამას გაგებით შეხვდებიან"*, - განაცხადა „მენავთობეების" გენერალურმა მენეჯერმა **კევინ ლოუმ**.

წლევანდელ ჩემპიონატში განიემ 28 მატჩი ჩაატარა და 11 ქულა (2+9) დააგროვა.

### რეკი ატლანტამ აიყვანა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, „პიტსბურგ პინგვინზმა" ტრანსფერზე დააყენა ვეტერანი ფორვარდი **მარკ რეკი**. თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ამ ჰოკეისტს მსურველი არ გამოუჩნდა და შესაბამისად, „პინგვინების" შეფობამ ცნობილი თავდამსხმელი ფარმ-კლუბში, ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL) მოთამაშე „უილქს-ბერიში" გაუშვა.

და აი, გუშინ გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ რეკიმ „ატლანტა ტრეშერზთან" გააფორმა კონტრაქტი. ახლა, NHL წესების თანახმად, „ატლანტა" 1.75-მილიონიანი კონტრაქტის ნახევარ თანხას გადაუხდის ფორვარდს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მეორე ნაწილი, თავად „პიტსბურგმა" სეზონის ბოლოს უნდა გადაიხადოს.

ამ სეზონში 40 წლის მარკ რეკის 19 მატჩში 8 ქულა (2+6) დაუგროვდა.

### ლეგვანდი ნეშვილში რჩება

„ნეშვილ პრედატორზმა" ახალი კონტრაქტი გააფორმა თავის ერთ-ერთ ლიდერთან, **დევიდ ლეგვანდთან**. ხელშეკრულება ექვსწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს და ჰოკეისტი ამ ხნის განმავლობაში 27 მილიონ დოლარს მიიღებს.

კონტრაქტი მას შემდეგ გაფორმდა, რაც „ნეშვილი" ამ უიქენდზე ახალმა მეპატრონემ ჩაიბარა. ეს კომპანიაა Predators Holdings LLC, რომელმაც კლუბში 192 მილიონი დოლარი გადაიხადა.

27 წლის ლეგვანდი 1998 წელს დრაფტის მეორე ნომერი იყო. მას მთელი კარიერა „ნეშვილში" აქვს გატარებული - ამ გუნდში 510 მატჩი ჩაატარა და 304 ქულა (113+191) მიითვალა.

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 7 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 3:2**

2:0, 0:0, 1:2

**გოლები:** 1:0 ვიშნევსკი-1, 2:0 ზუბრუსი-6 (ჯონტა-12, ელიაში-10), 2:1 სიომინი-2 (ბექსტრიომი-13), 3:1 ზაიაცი-5 (ბრუკბენკი-3, ლანგენბრუნერი-10), 3:2 ლეიჩი-5 (მოტცკო-2, ოვეჩკინი-13).

**ატლანტა-რეინჯერსი 4:2**

1:2, 1:0: 2:0

**გოლები:** 1:0 ბულტონი-2 (სლეიტერი-3, მაკარტი-1), 1:1 მარსელ ჰოსა-1 (გომესი-17, შენეჰანი-10), 1:2 დრური-7 (პრუხა-6, მ. სტაალი-3), 2:2 დუპუი-4 (ვიაჩ. კოზლოვი-8, სლეიტერი-4), 3:2 ვიაჩ. კოზლოვი-8 (ჰოლიკი-7, ტორნბერნი-2), 4:2 მარიან ჰოსა-12 (ტ7 უაიტი-10).

**ფლორიდა-აილენდერსი 3:0**

0:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 უეისი-4 (სალეი-9, ვოკოუნი-1), 2:0 ჰორტონი-8 (ალენი-3, პელტონენი-8), 3:0 ო. იოკინენი-15 (პელტონენი-9, სალეი-10).

**დეტროიტი-მინესოტა 5:0**

1:0, 3:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ზეტერბერგი-19 (დაციუკი-21, ჰოლმსტრიომი-14), 2:0 ზეტერბერგი-20 (ფრანცენი-2), 3:0 ჰუდლერი-7 (ფილპულა-6, ლებდა-6), 4:0 ფრანცენი-2 (კრონვალი-8, დაციუკი-22), 5:0 ზეტერბერგი-21 (დაციუკი-23, ლიდსტრიომი-21).

**ჩიკაგო-ანაჰაიმი 3:5**

1:1, 1:2, 1:2

**გოლები:** 1:0 ტეევზი-11 (ბიფიგლენი-4, კეინი-21), 1:1 პერი-15 (გეტცლაფი-19, პრონგერი-19), 2:1 შარპი-13 (ბოლანდი-4), 2:2 კუნიტცი-10 (პერი-8, გეტცლაფი-20), 2:3 შნაიდერი-4 (პაროსი-2, მეი-1), 2:4 გეტცლაფი-12 (ბოშემენი-11), 3:4 ლანგი-8 (პავლატი-2), 3:5 კუნიტცი-11.

**დალასი-ოტავა 2:4**

1:2, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 შუბერტი-4 (მაკამონდი-5, ვერმეტი-10), 1:1 ჰაგმანი-11 (მოროუ-17, ზუბოვი-21), 1:2 ვერმეტი-5 (ნილი-5, კელი-7), 1:3 ფიშერი-7 (რედენი-12, ალფრედსონი-21), 2:3 რიბეირო-12 (კონერი-2, მოროუ-18), 2:4 კელი-5 (ჰიტლი-20).

**კოლორადო-ფილადელფია 2:1**

0:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პლინკა-4 (ბრუნეტი-14, არნასონი-7), 1:1 ბრიერი-13 (კ. ტიმონენი-12, აპშოლი-4), 2:1 ჰეიდუკი-10 (რ. სმიტი-13, შჩასტნი-23).

**ედმონტონი-სენტ ლუისი 3:4**

1:1, 0:0, 2:3

**გოლები:** 0:1 ბოიესი-16 (სტემპნიაკი-11, მაკლემანი-3), 1:1 პორკოფი-13 (პემსკი-13), 1:2 ბოიესი-17 (ე. ჯონსონი-6, ტკაჩუკი-15), 1:3 უეიტი-1 (პერონი-4), 2:3 რ. ნილსონი-3 (სემ განიე-10), 2:4 კარია-8 (ტკაჩუკი-16), 3:4 რისონერი-3 (პორკოფი-17, პენერი-9).

**ფინიქსი-სან ხოსე 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი:** 0:1 მ. მიხალეკი-9 (ჯ. ტორნტონი-23, რიონიკი-8).

### 8 დეკემბერი

**ტორონტო-ბოსტონი 1:2**

1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ჯ. ბლეიკი-4 (კუბინა-12, გილი-11), 1:1 კობესიუ-12 (პანვიკი-1, ა. უორდი-5), 1:2 ვიდემანი-3 (ბოჩენსკი-5, მეტროპოლიტი-5).

**მონრეალი-კაროლინა 1:5**

0:2, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ე. კოული-5 (კულენი-22, რეი უიტნი-16), 0:2 ე. სტაალი-15 (ჯასტინ უილიამსი-19, ს. უოლკერი-4), 1:2 კოსტიცინი-4 (კოვალიოვი-12, პლეკანეცი-13), 1:3 ბრინდამორი-14 (ლაროუზი-6, ჯასტინ უილიამსი-20), 1:4 რეი უიტნი-13 (საიდენბერგი-8, კულენი-23), 1:5 რეი უიტნი-14 (ე. კოული-12, კულენი-24).

**ვაშინგტონი-ატლანტა 6:3**

2:0, 3:1, 3:3

**გოლები:** 1:0 ბექსტრიომი-3, 2:0 შულტცი-2 (სიომინი-3), 3:0 პეტინგერი-2 (ოვეჩკინი-14, ბექსტრიომი-14), 3:1 ტ. უაიტი-7 (მარიან ჰოსა-14, კოვალჩუკი-16), 4:1 ოვეჩკინი-21 (პოტი-8, ბექსტრიომი-15), 5:1 მ. გრინი-6 (ფლიშმანი-4), 6:1 მ. გრინი-7 (ვიქ. კოზლოვი-13, შ. მორისონი-6), 6:2 ტ. უაიტი-8 (პაველიდი-9, კოვალჩუკი-17), 6:3 პოლიკი-3 (ვიაჩ. კოზლოვი-9).

**კოლამბუსი-მინესოტა 1:2**

0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ვოროსი-5 (დემიტრა-8, გაბორიკი-13), 1:1 ფერდიოვი-11 (ჩიმერა-9, პეკა-10), 1:2 როლსტონი-9 (კ. იონსონი-6, ბუშარი-15).

**ტამპა ბეი-აილენდერსი 2:3 (ო)**

0:0, 0:1, 2:1, 0:1

**გოლები:** 0:1 გერენი-6 (კომრი-13), 1:1 ბ. რიჩარდსი-9 (დარში-4, პროსპალი-15), 1:2 ჰილბერტი-2 (ჰანტერი-7), 2:2 ბ. რიჩარდსი-10 (ულეტი-11, ლეკავალიე-26), 2:3 სილინჯერი-6 (კამპოლი-11, ვაშიჩეკი-4).

**ნეშვილი-ანაჰაიმი 4:2**

2:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ტუტუ-6 (ფიდლერი-7), 2:0 რადულოვი-6 (ფიდლიცკი-12, ბონკი-3), 3:0 სატერი-44 (ტუტუ-4, ფიდლერი-8), 3:1 ჰნიდი-1, 4:1 სმიტსონი-3 (ორტმაიერი-3), 4:2 გეტცლაფი-13 (კუნიტცი-10).

**ვანკუვერი-პიტსბურგი 1:2**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 სიკორა-10 (მალკინი-24, ლარაკი-4), 1:1 კესლერი-8 (ბარიუზი-6, ვ. მიტჩელი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** კრისტენსენი (პიტსბურგი), ლინდენი (ვანკუვერი), ლეტანგი (პიტსბურგი).

**ლოს ანჯელესი-ფინიქსი 2:4**

1:1, 0:1, 1:2

**გოლები:** 1:0 კოპიტარი-13 (დ. ბრაუნი-12, ვიშნოვსკი-16), 1:1 ტიარნკვისტი-1 (ჟოვანოვსკი-15, სიოსტრიომი-2), 1:2 ერბატა-11 (ჰანჟალი-10, სიოსტრიომი-3), 2:2 ჰანძუში-3 (კალდერი-4, უისლი-4), 2:3 ბალარდი-3 (დოუნი-14, მიულერი-7), 2:4 დოუნი-8 (სიოსტრიომი-4, ჰანჟალი-11).

**სან ხოსე-ბაფალო 1:7**

1:0, 0:4, 0:3

**გოლები:** 1:0 ოზოლინში-2 (პაველსკი-5, მარლო-8), 1:1 კოტალიკი-8 (დ. რუა-13, ლიდმანი-6), 1:2 ტ. კონოლი-4, 1:3 რაიანი-2 (მეირი-2, ლიდმანი-7), 1:4 გოსტადი-5 (ბ. კემპბელი-17, ტ. კონოლი-17), 1:5 დ. რუა-10 (სტეფორდი-7, ბ. კემპბელი-18), 1:6 გოსტადი-6 (აფინოგენოვი-7, პრატი-3), 1:7 ვანეკი-9 (პაეტში-4, პომინვილი-12).

## TV სპორტი

### 10 დეკემბერი. ორშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-არსენალი.
**15:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:15** საფრანგეთის ჩემპიონატი. ნიცა-ბორდო.
**19:05** გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ჰერტა.
**20:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:15** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:15** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:15** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:15** მსოფლიო ჩემპიონატი კლუბებს შორის. 1/4 ფინალი. სეპაჰანი (ირანი)-ურავა რედსი (იაპონია).

#### SPORT 1 (უკრაინა)

**08:10** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მალაიზია.
**09:08** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:37** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**10:05** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**10:19** მინი-მოედანი.
**10:36** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:05** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ტორონტო.
**12:55** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**13:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-არმინია.
**15:15** სპორტის სამყარო.
**15:44** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**16:14** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-პორტსმუთი.
**18:44** სპორტკლუბი.
**19:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სანდერლენდი.
**21:00** სპორტული ისტორიები.
**21:15** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ლივერპული.
**23:14** სპორტკლუბი.
**23:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა.
**01:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
**03:14** ფეხბურთი. Barca TV.
**03:21** სპორტის სამყარო.
**03:48** სპორტული ისტორიები.
**04:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-კაროლინა.
**06:40** მინი-მოედანი.
**06:55** სპორტდოსიე. კრიკეტი.
**07:21** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-არმინია.

#### EUROSPORT

**11:30** მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი. სეზონის მიმოხილვა.
**12:00** ევროსპორტის ჩემპიონები. ტაიგერ ვუდსი.
**12:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**13:30** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II დღე. ტელფორდი.
**14:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
**15:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**16:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
**17:30** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. III დღე. ტელფორდი (LIVE).
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:45** მულტისპორტი.
**22:00** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. III დღე. ტელფორდი (LIVE).
**02:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:45** მულტისპორტი.
**03:00** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. III დღე. ტელფორდი.

#### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
**14:00** ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. ვინტერბერგი. გერმანია (LIVE).
**14:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა 4x10 კმ. დავოსი. შვეიცარია.
**16:30** სუპერკროსი. შვეიცარია.
**17:00** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II დღე. ტელფორდი.
**19:30** ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
**20:00** მოტოკროსი. ბრიტანეთი.
**21:00** მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ასპენი. აშშ.
**22:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
**23:00** მულტისპორტი.
**23:30** ახალი ამბები.
**00:00** კიკბოქსინგი. რუსეთი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** სნოუბორდი.
**03:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| საბერძნეთი | |
|---|---|
| მარუსი-კოლოსოსი | 84:76 |
| რეთიმნო-პანიონიოსი | 66:57 |
| პანათინაიკოსი-ეგალეო | 91:75 |
| პანელინიოსი-ლარისა | 81:95 |
| ოლიმპიაკოსი-ოლიმპიადა | 100:58 |
| ოლიმპია-არისი | 58:74 |
| პაოკ-აეკ | 64:87 |
| **ესპანეთი** | |
| კახასოლი-ხუვენტუდი | 85:89 |
| უნიკახა-რეალი | 91:69 |
| ლეონი-ფუენლაბრადა | 65:64 |
| ბილბაო-ხირონა | 78:62 |
| ესტუდიანტესი-ვალიადოლიდი | 75:87 |
| გრანადა-გრან კანარია | 85:79 |
| მანრესა-ბარსელონა | 64:77 |
| მურსია-ტაუგრესი | 88:82 |
| ვალენსია-მენორკა | 85:69 |
| **იტალია** | |
| ბენეტონი-სკაფატი | 75:64 |
| კლიმამიო-კანტუ | 69:72 |
| აველინო-ნაპოლი | 89:77 |
| მილანი-ვირტუსი | 81:62 |
| მონტეგრანარო-ვარეზე | 79:73 |
| რიეტი-დ'ორლანდო | 98:100 (ო) |
| სკავოლინი-ტერამო | 81:77 |
| სნაიდერო-ბიელა | 78:84 |
| მონტეპასკი-რომა | 92:76 |
| **საფრანგეთი** | |
| პავრი-კლერმონი | 78:74 |
| ლე მანი-ნანსი | 90:81 |
| ორლეანი-პსჟ | 86:85 |
| რუანი-ვიში | 85:76 |
| ტულონი-დიჟონი | 86:84 |
| პო ორტეზი-შალონი | 68:56 |

### ხელბურთი

| მსოფლიო ჩემპიონატი | |
|---|---|
| ყაზახეთი-კონგო | 21:21 |
| პარაგვაი-ავსტრალია | 16:14 |
| ავსტრია-ტუნისი | 23:30 |
| ჩინეთი-დომინიკა | 35:16 |
| მაკედონია-ანგოლა | 25:33 |
| ს. კორეა-ესპანეთი | 26:28 |
| ნორვეგია-ხორვატია | 35:29 |
| რუმინეთი-უნგრეთი | 31:34 |
| უკრაინა-ბრაზილია | 24:21 |
| იაპონია-არგენტინა | 31:20 |
| გერმანია-პოლონეთი | 35:32 |
| საფრანგეთი-რუსეთი | 20:31 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| ტორპედო-ს. იულაევი | 3:5 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-მანჰაიმი | 7:2 |
| დიუსელდორფი-დუისბურგი | 2:4 |
| ინგოლშტადტი-კიოლნი | 1:5 |
| კრეფელდი-აუგსბურგი | 7:4 |
| ვოლფსბურგი-ფრანკფურტი | 4:5 |
| ნიურნბერგი-იზერლონი | 9:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ნიტრა | 1:1 |
| ნიტრა-სლოვანი | 0:1 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-იუვიასკიულა | 1:1 |
| ჰპკ-კერპეტი | 1:1 |
| კაიპა-ილვესი | 3:1 |
| საიპა-ლუკო | 3:0 |
| ტაპარა-პელიკანსი | 4:3 |
| ესეტი-ჰიფკ | 1:6 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 1:1, დ.დ. 1:2 |
| პარდუბიცე-სლავია | 1:4 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ცუგი | 6:6 |
| ბაზელი-კლოტენი | 1:2 |
| ბერნი-დავოსი | 4:1 |
| რაპერსვილი-სერვეტი | 4:4 |
| ლანგნაუ-ფრიბურგი | 8:5 |
| ციურიხი-ლუგანო | 4:0 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ვვ 71 | 4:0 |
| ლინჩოპინგი-ლულეა | 2:2 |
| სიოდერტალიე-მოდო | 4:1 |
| ფერიესტადი-იურგორდენი | 2:2 |
| მორა-ფრიოლუნდა | 3:3 |
| ტიმრე-ბრიუნასი | 0:2 |



მასიმილიანო ბლარდონე

მსოფლიო თასი

# იტალიელთა ავსტრიული ტრიუმფი

ავსტრიის სამთო კურორტმა ბად კლაიკირხჰაიმმა სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგ ეტაპს, გიგანტურ სლალომს უმასპინძლა, რომელიც იტალიელი **მასიმილიანო ბლარდონეს** გამარჯვებით დასრულდა. ორი ცდის ჯამში, მან 0.09 წამით აჯობა მეორეზე გასულ თავის თანამემამულე **მანფრედ მიოლეგს**, მესამეზე კი ამერიკელი **ტედ ლიგეტი** გავიდა, ვინც გიგანტური სლალომის კლასიფიკაციას სათავეში მოექცა.

რბოლა ლეგენდარული ავსტრიელი მოთხილამურის, **ფრანც კლამერის** სახელობის ტრასაზე, 1992 წლის შემდეგ პირველად ჩატარდა. პირველი ცდის შემდეგ ბლარდონეს მესამე შედეგი ჰქონდა, მაგრამ მეორეზე შესანიშნავად იასპარეზა და კარიერაში მეოთხედ მოიგო გიგანტური სლალომის რბოლა.

*"პირველ ცდაზე რამდენიმე შეცდომა დავუშვი. სამაგიეროდ, მეორეზე სუფთად ვისრიალე და მართალია, საუკეთესო დრო არ მქონია, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგე და მთავარიც იესაა"*, - განაცხადა ბლარდონემ.

ალსანიშნავია, რომ ლიგეტიმ, ვინც ოლიმპიური ჩემპიონია კომბინაციაში, კარიერაში მსოფლიო თასის ერთადერთი რბოლა (გიგანტური სლალომი) შარშან, სამხრეთ კორეაში მოიგო. პირველ ცდაზე მას მეექვსე შედეგი ჰქონდა, მეორეზე კი – მეორე. ალსანიშნავია, რომ ამ სეზონში მას გიგანტური სლალომი არ მოუგია, თუმცა ამ დისციპლინაში მაინც ლიდერია. ზოლდენში (ავსტრია) ის მეორე იყო, ბივერ კრიკში კი (აშშ, კოლორადო) – მეოთხე. აბსოლუტურ ჩათვლაში ის ჯერჯერობით მეხუთეა.

პარალელურად, აშშ-ის შტატ კოლორადოს სამთო კურორტმა ასპენმა ქალთა დაშვების მორიგ ეტაპს უმასპინძლა და ის კანადელი **ბრიტ იანიკის** გამარჯვებით დასრულდა.

ისევე როგორც რამდენიმე დღით ადრე ბივერ კრიკში, ასპენშიც მოთხილამურეებს საქმეს დიდთოვლობა და სლექი ნისლი უშლიდა ხელს. დაშვების რბოლა პარასკევს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ უამინდობის გამო ის შაბათს გადაიტანეს, როცა განრიგით სუპერგიგანტი იყო დაგეგმილი. უამინდობამ გავლენა იქონია ლიდერთა გამოსვლაზე. ბევრმა მათგანმა შეცდომები დაუშვა, რამდენიმემ კი ფინიშსაც კი ვერ მიაღწია.

*"რბოლამდე, ტრასა ფეხით ჩავიარე და კმაყოფილი დავრჩი. თოვლი ახალი დადებული და ნესტიანი იყო, რაც ჩემთვის მოსახერხებელია. მივხვდი, რომ კარგი შედეგის ჩვენება შემეძლო და მართლაც ასე მოხდა"*, - განაცხადა იანიკმა, ვინც კარიერაში პირველად მოიგო მსოფლიო თასის რბოლა, ამ ერთადერთი მოგებით კი დაშვების კლასიფიკაციას სათავეში მოექცა.

მეოთხე ადგილი დაიკავა ამერიკელმა **ლინდსი კილდოუ-ვონმა**, ვისაც ორივე ვარჯიშზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა და რბოლაშიც მთავარ ფავორიტად მოიაზრებოდა. მაგრამ, როგორც თავად განმარტა, ახალდადებულმა თოვლმა თავის შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის საშუალება არ მისცა.

როგორც ჩანს, მოპოვებულმა გამარჯვებამ იანიკს მადა გაუხსნა და ახლა მან ბროლის მცირე გლობუსზე დაიწყო ფიქრი. ამ ეტაპის მოგებით, ჩემი სასეზონო გეგმები იცვლება. კარგია, როცა ეტაპის გამარჯვებული ხარ, მაგრამ ნამდვილი ჩემპიონი მაშინ ხდები, როცა სეზონის ბოლოს გლობუსს მოიპოვებ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ასპენი (აშშ, კოლორადო)
ქალები. დაშვება

1. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:14.17; 2. მარლის შილდი (ავსტრია) 1:14.59; 3. რენატე გოჩლი (ავსტრია) 1:14.63; 4. ლინდსი კილდოუ-ვონი (აშშ) 1:14.68; 5. მარტინა შილდი (შვეიცარია) 1:14.70; 6. კელი ვანდერბეეკი (კანადა) 1:14.83; 7. კაროლინა რუის კასტილიო (ესპანეთი) 1:14.87; 8. ფრანცი აუფდენბლატენი (შვეიცარია) 1:14.95; 9. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 1:14.97; 10. მონიკა დიუმერმუთი (შვეიცარია) 1:15.13...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 343; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 226; 3. დენიზე კარბონი (იტალია) 209; 4. ბრიტ იანიკი (კანადა) 189; 5. ანია პერსონი (შვედეთი) 183; 6-7. ჯულია მანკუზო (აშშ) 180; 6-7. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 180; 8. მარია რიში (გერმანია) 175; 9. ლინდსი კილდოუ-ვონი (აშშ) 172; 10. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 167...

ბად კლაიკირხჰაიმი (ავსტრია).
კაცები. გიგანტური სლალომი

1. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) 2:10.75 (1:07.87, 1:02.88); 2. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 2:10.84 (1:07.83, 1:03.01); 3. ტედ ლიგეტი (აშშ) 2:10.92 (1:08.30, 1:02.62); 4. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:10.95 (1:08.03, 1:02.92); 5. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარი) 2:11.10 (1:07.90, 1:03.20); 6. კალე პალანდერი (ფინეთი) 2:11.64 (1:09.19, 1:02.45); 7. ბოდე მილერი (აშშ) 2:11.67 (1:08.77, 1:02.90); 8. შტეფან გიორგლი (ავსტრია) 2:11.90 (1:09.09, 1:02.81); 9. ალეს გორზა (სლოვენია) 2:12.01 (1:08.36, 1:03.65); 10. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 2:12.16 (1:08.86, 1:03.30)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 405; 2. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარი) 332; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 273; 4. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 262; 5. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 234; 6. ტედ ლიგეტი (აშშ) 230; 7. ბოდე მილერი (აშშ) 194; 8. მარიო შაიბერი (ავსტრია) 182; 9. კალე პალანდერი (ფინეთი) 180; 10. იან ჰუდეცი (კანადა) 175...



დაუმარცხებელთა ბრძოლა

# მეივეზერმა ჰატონი დასცა

ბრიტანელი **რიკი ჰატონის** დაუმარცხებელი სერია გუშინ, ლას ვეგასის სასტუმრო-კაზინო "MGM გრანდის" ჰოლში, სასტიკი მარცხით დასრულდა. მეათე რაუნდში ის ნოკაუტში ამერიკელმა, ასევე დაუმარცხებელმა **ფლოიდ მეივეზერ უმცროსმა** გაგზავნა, ვინც ამ გამარჯვებით, WBC-ს როქოს წონის ტიტული შეინარჩუნა.

ბრძოლის წინ, სახელოვანი ბრიტანელი, ზემძიმე წონაში მსოფლიოს ბოლო აბსოლუტური ჩემპიონი **ლენოქს ლუისი** ჰატონს ურჩევდა, თუ მოგება გინდა, ადრეულ რაუნდებშივე უნდა მორჩე საქმეს, თორემ მერე გაგიჭირდებაო. ჰატონმაც თითქოს მისი შეგონება მიიღო და საქმესაც გაბედულად შეუდგა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. თუმცა, ლუისის პროგნოზი მაინც არ გამართლდა. ის ვარაუდობდა, რომ ქულებით მეივეზერი მოიგებდა, ჰატონი კი მხოლოდ ნოკაუტით თუ მიაღწევდა სანადელს. მეივეზერმა კი ნოკაუტით მოიგო!

ბრიტანელმა ბრძოლა მისთვის ჩვეულ, აგრესიულ სტილში დაიწყო. მან სასტარტო გონგისთანავე ჯიქურ შეუტია ამერიკელს, მაგრამ პირველი დარტყმა თავად იწვნია – მეივეზერმა პირველივე წამებზე ცაცია ჰუკი შეაგება. ჰატონი ამ დარტყმას მყარად დაუხვდა, მერე კი თავად შეუტია და მანაც ცაცია მუშტით ისე ძლიერ დასცხო მეტოქეს, რომ ჩემპიონმა წონასწორობა ძლივს შეიკავა.

ბრძოლა ლას ვეგასში კი იყო, მაგრამ მაყურებლის უმეტესობა მაინც ბრიტანელს ქომაგობდა. ჰოდა, ჰატონმა რომ მეივეზერს მოსდო, იმ წამსვე დარბაზი მაყურებლის ყიჟინამაც შეაზანზარა. პირველ რაუნდში მეტოქეებმა არაერთი დარტყმა გაცვალეს, ბოლომ კი მიზანს მეივეზერმა მიაღწია, რომელმაც კვლავ მარცხენა მუშტი აძგერა პრეტენდენტს. პირველი რაუნდი მაინც ბრიტანელის უპირატესობით დასრულდა.

მანვე მეორე რაუნდიც აქტიურად დაიწყო. ჰატონმა რამდენჯერმე მოახერხა მეივეზერის კუთხისკენ გარიყვა და რამდენჯერმე ზუსტადაც დაარტყა. ჩემპიონი კი მეტოქის ძლიერ დარტყმებს კვლავ უძლებდა, თან მის ტაქტიკას ზვერავდა. დასაზვერი კი ბევრი რამ ჰქონდა – შეტევაში გართული ბრიტანელი ხშირად ივიწყებდა თავდაცვაზე ზრუნვას.

მესამე რაუნდიც ორმხრივი შეტევებით აღინიშნა. ერთ მომენტში, ჰატონმა ბაგირთან მიიმწყვდია მეტოქე, რომელმაც კლინჩითღა დაიცვა თავი. რაუნდის მიწურულს, ჯერ მეივეზერმა დასცხო თავისი ცაცია, შემდეგ ჰატონისგან არანაკლებ მძიმე პასუხი მიიღო. თუმცა, ჩემპიონმა გაუძლო და კვლავ შეუტია, რაც იმით დასრულდა, რომ გონგის ხმაზე ბრიტანელი თავისი კუთხისკენ მარჯვენა თვალდასისხლიანებული გაბრუნდა.

შესვენებაზე ჰატონს სისხლი გაუჩერეს. რინგზე დაბრუნებულმა ბრიტანელმა ჩემპიონს ტანში რამდენიმე მტკივნეული დარტყმა მიაყენა, მაგრამ მეივეზერმაც უპასუხა და აქედან მოყოლებული, ამერიკელი თანდათან დაეუფლა ინიციატივას.

მაგრამ ჰატონი ამით არ გატყდა. უფრო მეტიც, მეხუთე რაუნდში მან კვლავ აამოქმედა თავისი მცელავი მუშტები და რამდენჯერმე მეტოქეს უკან დაახევინა. "ჰიტმენმა" (ჰატონის მეტსახელია) მომდევნო რაუნდიც შეტევით დაიწყო. ერთხელ მან მარჯვენათი შეაზანზარა "ცუდი ბიჭი" (მეივეზერის მეტსახელი), მერე კი ისე გაცხარდა, ამერიკელს მუშტი კეფაში დაარტყა, რითაც ის ბაგირებს შორის შეაგდო. ამაზე ფლოიდმა სიმწრის ღიმილით, რეფერი **ჯო კორტესმა** კი ქულის დაკლებით უპასუხა.

ჰატონმა რეფერის გადაწყვეტილება გააპროტესტა – ზურგი შემაქცია და სახეში რომ უნდა მოხვედროდა, მუშტი კეფაში მოხვდაო. კორტესის ქმედებით განაწყენებულმა ჰატონმა ცოტა ხანს მეივეზერს ზურგით დაუდგა, მოდი, შენებურად ვიჩხუბოთო. მერე კი მაინც მიუბრუნდა და გაორმაგებული ძალით შეუტია. მაგრამ მეივეზერი თავსაც კარგად იცავდა და სუფთა დარტყმებიც უფრო ხშირად გამოსდიოდა.

მეშვიდე რაუნდი მეივეზერმა სუფთად მოიგო. ის თავისი გრძელი ხელებით ხშირად აღწევდა მიზანს. ოღონდ, დაარტყამდა თუ არა მაშინვე გაეცლებოდა ხოლმე მეტოქეს. ჰატონი აგრესიას კი ამჟღავნებდა, მაგრამ უფრო არეულად უტევდა და ხშირად მისი დარტყმები უმიზნო იყო. ეს რაუნდი მეივეზერმა მარჯვენათი განხორციელებული ზედიზედ ორი დარტყმით დაასრულა.

მერვე რაუნდში კი აგრესორი უკვე მეივეზერი იყო. მას ორივე ხელით რამდენიმე ძლიერი დარტყმა გამოუვიდა. რამდენჯერმე ნოკაუტის პერსპექტივაც გაჩნდა, მაგრამ ჰატონი ყოველთვის ახერხებდა ძალის აღდგენას და ყოველთვის თავადვე გაშმაგებით უტევდა. ოღონდ, თუ ბრძოლის დასაწყისში მიზანს საკმაოდ ხშირად აღწევდა, ამჯერად მისი კონტრშეტევები ხელების გაუაზრებელი ქნევაღა იყო.

მეცხრე რაუნდი მეივეზერი მეტოქეს კატა-თაგვობანას ეთამაშა – ჯაბით წაიმუშავებდა, მერე კი გაეცლებოდა. არც კლინჩი, არც შემხვედრი დარტყმები. ჰატონი ჯიქურ წინ მიიწევდა, მაგრამ ჩემპიონი კვლავ ჯებით უმასპინძლდებოდა, რის შემდეგაც კვლავ ეცლებოდა.

მეათე რაუნდი მეივეზერის შეტევით დაიწყო. ერთხელ მისი ცაცია ჰუკი ჰატონს ყბაში მძიმედ მოხვდა. ბრიტანელი შეტორტმანდა. ის წაქცევისგან კუთხის ბოძმა დაიცვა. რვის დათვლაზე ჰატონმა რეფერის აგრძნობინა, მზად ვარო. კორტესმაც ბრძოლა განაახლა, მაგრამ რამდენიმე წამი და მეივეზერმა ბრიტანელი კვლავ დასცა. ამჯერად, რეფერის თვლაც არ დაუწყია. თანაც, ჰატონის კუთხიდან რინგზე პირსახოციც გადმოვარდა. ბრძოლა შეწყდა. ჩემპიონმა ტიტული დაიცვა, მაგრამ ტრიბუნიდან კვლავ ჰატონის გასამხნევებელი შეძახილები ისმოდა...

ჰატონი თავის კუთხეში სეკუნდანტებმა მიაცილეს, მერე კი, სული რომ მოითქვა, გამარჯვებულს მიულოცა და თავის ფანებს მიმართა: ნუ შიშობთ, აუცილებლად დავბრუნდებიო. პრესკონფერენციაზე კი განაცხადა: *"ზედმეტად აგრესიული ვიყავი და სიფრთხილე სრულიად დავივიწყე. თავი არ დამიზოგავს, ფლოიდი კი ხელსაყრელ მომენტს ელოდა. წავაგე, მაგრამ რინგზე საქმე ჯერაც დასამთავრებელი მაქვს. მე აუცილებლად დავბრუნდები"*.

*"არ ვიცი, ქულა რის გამო დამაკლეს. ასეა თუ ისე, რინგზე უფრო საზრიანი გარჯა მმართებდა. ქულა რომ დამაკლდა, მერე უფრო შმაგად შევუტიე და ეს შეცდომა იყო, რადგან ხშირად ვიხსნებოდი, რაც ფლოიდს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ფლოიდი შესანიშნავი მოკრივეა. უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე მეგონა. მას მეტოქის სისუსტეების გამოყენება ბრწყინვალედ ეხერხება"*, - განაცხადა ჰატონმა და დასძინა, რომ ახლა რამდენიმე თვე დაისვენებს, რის შემდეგაც გადაწყვეტს, რა გზას დაადგეს.

მეივეზერმა, ვინც პროფესიულ რინგზე 39-ე გამარჯვება მოიპოვა, ბრძოლის შემდეგ მეტოქისადმი საქებარი სიტყვები არ დაიშურა: *"რიკი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოკრივეა მათ შორის, ვისთანაც კი ოდესმე საქმე მქონია. ვიცოდი, რომ მძიმე ბრძოლა მელოდა. საერთოდ, ჩემპიონს ნებისმიერ მეტოქესთან გამკლავება უნდა შეეძლოს. მოხარული ვარ, რომ მე ეს შევძელი. ამ ბრძოლის შემდეგ არ მიკვირს, რომ მას "ჰიტმენს" ეძახიან. ის ნამდვილი მებრძოლია. მზად ვარ, კიდევ ერთხელ შევხვდე. მან ეს დაიმსახურა"*.

მეივეზერი ამბობს, რომ ახლა დიდხანს დაისვენებს და თუ დაბრუნდა, მხოლოდ ისეთ მოკრივეებთან ბრძოლისთვის, როგორიც ჰატონია. სხვა შემთხვევაში, რინგზე ალარაფერი მესაქმებაო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ნამიც და ჰატონი რინგზე გაიშხლართება


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი



ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge



ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**